პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ბუქარესტის (რუმინეთი) პოლიციამ დაბეჭდა უნიტარული პროფკავშირების შენობა.
- ფაშისტების შეტაკება წითელფრონტელებთან.
- უგზო-უკვლოდ დაიკარგა ნორვეგიის გემი „ტორბერნი".
- ტოკიოში ჩავიდა კაზარინოვი, რომელმაც მოიგო მოგზაურობა დედამიწის გარშემო ავია-ლატარეაში.
- წყალდიდობა რუმინეთში.
- მოსკოვში ჩავიდნენ სუნ-იატ-სენის ქვრივი, [illegible] და ევგენი ჩენი.
- ინგლის - ფინეთის ჯაშუშების პროცესი.

ხუთშაბათი, 8 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 203 (1948)

ბალტიის სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი

სხვადასხვა პოლიტიკურ კომბინაციებს შორის, რომლებსაც აწყობენ ამჟამად ჟენევაში შეკრებილი იმპერიალისტები და მათი ფინიები, დღეს ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ბალტიის ქვეყნების ბლოკის შექმნის ცდაზე, რაზედაც დეპეშა გვაუწყებს. ამ მიზნით ერთა ლიგის სესიის დროს გაიმართება ფინეთის, ესტონეთის და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი.

ასეთი კავშირის შეკვრა შეადგენს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მუხლს, რომლის გასატარებლად ის დიდი ხანია მეცადინეობს. ამ კავშირში უნდა შესულიყო პოლონეთიც, რომელსაც ხელმძღვანელი როლი უნდა ეთამაშა მასში, და პოლონეთ - ლიტვა - ესტონია - ლატვია - ფინეთის გაერთიანება უნდა გამხდარიყო ინგლისის იმპერიალიზმის დასაყრდნობ ბაზად და იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეხლა პოლონეთი თითქო განზე დგას, ის იწრევა საფრანგეთის ორიენტაციისაკენ, საფრანგეთის, რომლის ურთიერთობა ინგლისთან ძალიან გამწვავდა ბოლო დროს, რის გამო პოლონეთი ამ მომენტში, როგორც ეტყობა ვერ თამაშობს წინანდელ როლს ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოლონეთ-ლიტვის შეურიგებლობა აგრეთვე აძნელებს პოლონეთის მონაწილეობით ბალტიის სახელმწიფოთა კავშირის დაარსებას. ბალტიის დანარჩენი ქვეყნებიც უარყოფითად არიან განწყობილი პოლონეთის ჰეგემონიის დამკვიდრებისადმი. ბოლოს, პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტი ასე თუ ისე მოგვარებულია და ვარშავა, შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის მთელი რიგი პირობების ზეგავლენით, ჯერ-ჯერობით იძულებულია თავი შეიკავოს აშკარა მტრულ გამოსვლებისაგან ჩვენს წინააღმდეგ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პოლონეთის პრესის კამპანიას ტრაიკოვიჩის მკვლელობასთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, ინგლისი ძველებურად გააგრძელებს ცდას პოლონეთის ჩასაბმელად ანტისაბჭოთა ბლოკში. ამავე დროს ის მუშაობს ამ მიმართულებით, აძლიერებს ფინეთში, ესტონიაში და ლატვიაში, ფინეთის მთავრობის ანტისაბჭოთა ნაბიჯების მოწმენი ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ. ფინეთის ტერიტორია გადაქცეულია ინგლისის ჯაშუშების სათარეშოდ, რომელთა ანტისაბჭოთა მოქმედებას აქტიურად უწყობს ხელს ფინეთის გენშტაბი. ლენინგრადში ეხლა მიმდინარე ჯაშუშთა გასამართლება ამას ადასტურებს. ამიტომაა, რომ ინგლისის მთავრობა მხარს უჭერს ფინეთის წარმომადგენლის კანდიდატურას ერთა ლიგის საბჭოში. ამ გზით მას სურს ფინეთი უფრო აქტიურად ჩააბას ანტისაბჭოთა კამპანიაში.

ამავე დროს ლონდონის დიპლომატია ენერგიულად მუშაობს ესტონეთშიც, რომელიც ინგლისის გავლენით ლატვიისაგან მოითხოვს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ესტონია-ლატვიის საბაჟო უნიის გაუტარებლობით. თვით ლატვიაში ამ ხელშეკრულებას მძლავრი მოწინააღმდეგენი ჰყავს მემარჯვენე ჯგუფების სახით, რომელნიც ეხლანდელი მთავრობის დამხობას ცდილობენ. საერთოდ, ლატვიის მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, პოლიტიკა, რომელიც ლამობს გარეშე გავლენისაგან განთავისუფლებას და საკუთარ გზით სვლას, ეს პოლიტიკა, რომელიც ერთად-ერთი უზრუნველჰყოფს ლატვიის სახელმწიფოებრივ და სამეურნეო დამოუკიდებლობას,—დიდ წინააღმდეგობას აწყდება როგორც ინგლისის იმპერიალიზმის, ისე მეზობელ და შინაურ რეაქციონურ ძალების მხრიდან.

რაც შეეხება ლიტვას, მასთან ჩვენ დადებული გვაქვს საგარანტიო ხელშეკრულება. ამ ფაქტთან სრულებით შეუთავსებელია ლიტვის ოფიციოზ „ლეტუვა"-ს განცხადება, რომ ბალტიის ქვეყნებს თითქო საფუძველი ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მხრით თავდასხმის ეშინოდეთ. ზედმეტია ამ დებულების უაზრობის მტკიცება. საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც ყველა ხალხთა დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღიარება-დაცვაში გამოიხატება, ჩვენ მიერ კერძოდ ლიტვის ეროვნულ უფლებების დაცვა, საერთოდ ჩვენი სამშვიდობო მისწრაფებანი განა ვინმეს საფუძველს აძლევს საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა აგრესიულ ზრახვებზე ილაპარაკოს? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ლიტვაშიც მოიპოვებიან „პოლიტიკოსები", რომელნიც დაკავშირებული არიან ინგლისის იმპერიალიზმთან და, წინააღმდეგ თავის ქვეყნის ინტერესებისა, ავრცელებენ ასეთ სულელურ აზრს.

„ლეტუვა" მაინც აღნიშნავს: ხსენებული „შიში" არ იძლევა საფუძველს, რომ ბალტიის სახელმწიფოები გულუბრყვილოთ წამოეგონ მესამე მხარიდან გადმოსროლილ ანკესზეო. ამავე დროს ის არჩევს ორ მიზანს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მათ კავშირს: ზოგიერთებისათვის ეს კავშირი ბალტიის სახელმწიფოების პოლიტიკურ დამოუკიდებლობის საშუალებაა, მეორეთათვის კი მხოლოდ იარაღია საბჭოთა კავშირთან საბრძოლველადო. ჩვენ, რათ ქმა უნდა, არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო, თუ ბალტიის ქვეყნები კავშირს შეკრავენ პირველი მიზნით, ე. ი. თავიანთი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ამ დამოუკიდებლობის ნამდვილი მტრებისაგან, რომლებიც, ცხადია, დასავლეთის იმპერიალისტები არიან, და არა საბჭოთა კავშირი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ კავშირის დადება სურთ სწორედ საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად. ამას მოწმობს ის ანტისაბჭოთა კამპანია, რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ, და ის ფაქტი, რომ ბალტიის სახელმწიფოების გაერთიანებას სცდილობს ინგლისი.

ჩვენ გვგონია, რომ ბალტიის ქვეყნების ბლოკის შექმნა ანტისაბჭოთა მიზნით ძნელი საქმეა, მიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი ცხოვლადაა დაინტერესებული ჩვენთან ეკონომიურ თანამშრომლობის აღდგენით და კეთილმეზობლურ პოლიტიკურ ურთიერთობის დამყარებით. ლატვიის მთავრობის პოლიტიკა და საგარანტიო ხელშეკრულება ლიტვასთან ამას ნათელჰყოფს. გარდა ამისა, ბალტიის სახელმწიფოების მშრომელი მასები ისწრაფვიან საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენისაკენ. და ეს გარემოება უეჭველათ ხელს უბორკავს ამ სახელმწიფოების რეაქციონურ ჯგუფების თავიანთ ანტისაბჭოთა ზრახვების გატარებაში. ბოლოს, მისაღებია მხედველობაში ბალტიის ქვეყნების ინტერესთა ურთიერთი წინააღმდეგობანი, რომლებიც დღემდე შეუძლებელს ხდიან ბალტიის ქვეყნების კავშირის განხორციელებას.

ყოველ შემთხვევაში, ბალტიის სახელმწიფოებისაგან ანტისაბჭოთა ბლოკის შედგენის ცდა მაინც ფაქტია, რასაც საბჭოთა მთავრობა ჯეროვან ანგარიშს გაუწევს.

ბოლდუინის დირექტივის მიხედვით

ედინბურგის კონგრესმა თავიდანვე გაამართლა მისტერ ბოლდუინის მოლოდინი. ინგლისის ბურჟუაზია იცნობს თავის ტრედ-იუნიონისტებს და მისტერმა ბოლდუინმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სწორედ ამიტომ გამოთქვა რწმენა, რომ პროფკავშირთა ხელმძღვანელები შესძლებენ აიღონ სწორი გეზი და სწორი ტონი მრეწველთა სასარგებლოდ. კონგრესის პირველ დღესვე გამოირკვა, რომ მიუხედავად მუშათა მასებში არსებულ უკმაყოფილებისა, ყრილობა არ ფიქრობს გასცილდეს იმ ფარგლებს, რომლებიც მას წინდაწინ დაუსახა ბოლდუინმა.

გენერალურ საბჭოს თავმჯდომარე ხიქსის სიტყვა შტრეიკბრეხერულია თავიდან ბოლომდე. ინგლისის მუშათა წრეები და მთელი ინგლისის პროფმოძრაობა მოელოდა პასუხს, მოელოდა, თუ როგორ პოზიციას დაიჭერდა კონგრესი და მისი თავმჯდომარე პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ ცნობილ კანონის მიმართ. რა სთქვა ჯორჯ ხიქსმა ამ საკითხის შესახებ, რომელიც ესოდენ მწვავეა მუშათა კლასისათვის? მან სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: „შესაძლოა რომელიმე ორგანიზაციამ მიმართოს სავსებით დასაბუთებულ პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებისთვისაც მხარი უნდა დაეჭირა ჩვენს მოძრაობას. ფორმალურად კანონიერების თვალსაზრისით ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ ასეთ მხარის დაჭერაზე. შესაძლოა ჩვენ სასწრაფოდ მოგვთხოვონ გამოვიდეთ იმ ამხანაგების დასაცავად, რომელნიც ულმობელად შევიწროებული იქნებიან ამ კანონით, მაგრამ ფორმალურ და კანონიერების თვალსაზრისით ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ ასეთ გამოსვლაზე".

ჩაუფიქრდეთ ერთი წუთით ამ საოცარ განცხადებას. ყრილობის თავმჯდომარე აშკარად ამბობს, რომ პროფკავშირებმა უარი უნდა სთქვან მებრძოლ მუშებისათვის მხარის დაჭერაზე და მათთვის სოლიდარობის გამოცხადებაზე, ე. ი. ყრილობის თავმჯდომარე ინგლისის პროფმოძრაობის შემდგომ მუშაობის საფუძვლად სდებს შტრეიკბრეხერების პრინციპს. მისტერმა ხიქსმა თავის სიტყვაში სცნო პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონი. მან სცნო ეს კანონი მით, რომ მოუწოდებდა ყრილობას სიფრთხილისაკენ, მით, რომ გააკეთა ასეთი შტრეიკბრეხერული განცხადება. მეტი რაღა უნდა ინგლისის ბურჟუაზიას? ის ხომ მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ მუშათა მოძრაობის ერთი რაზმი განემარტოვებია მეორესაგან. შეიძლება ითქვას, რომ მან მიიღო სრული ასპროცენტიანი დაკმაყოფილება. მეტი ლაქიობა ბურჟუაზიულ კანონის წინაშე, ესე იგი ბურჟუაზიის წინაშე, ძნელი წარმოსადგენია.

თავმჯდომარის შტრეიკბრეხერულმა სიტყვამ, რა თქმა უნდა, ტონი მისცა მთელ ყრილობას. ეს იყო გენსაბჭოს ოფიციალური დეკლარაცია, რომლიდანაც პირველ დღესვე გამოტანილი იქნა შესაფერი დასკვნები. ფეხსაცმელის მრეწველობის მუშათა კავშირმა შტრეიკბრეხერთა ქარტიის შესახებ შეიტანა შემდეგი წინადადება: „ყრილობა დაჟინებით მოითხოვს პროფკავშირებისაგან არ გაატარონ ცხოვრებაში პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონი მანამდე, სანამ მთავრობა არ დანიშნავს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და სანამ ამომრჩეველნი არ მოიწონებენ პოლიტიკას, რომლის გამომხატველიცაა კანონი პროფკავშირების შესახებ".

ეს წინადადება, რომელიც არ არის დამახასიათებელი თავის რევოლუციონერობით, შეტანილი იყო საორგანიზაციო კომისიაში, ე. ი. გენსაბჭოში და პირდაპირ მოიხსნა დღის წესრიგიდან. ამრიგად ტრედიუნიონების კონგრესმა თავისი მუშაობა დაიწყო შტრეიკბრეხერთა პარტიის სანქციიდან, რითაც სავსებით დააკმაყოფილა მთელი ინგლისის ბურჟუაზია და მისი ნოქარი მისტერი ბოლდუინი.

ყრილობის ასეთმა შტრეიკბრეხერულმა მიმართულებამ თავი იჩინა აგრეთვე საკითხში ცნობილ ხაველოკ ვილსონისადმი დამოკიდებულების შესახებ. ეს ვაჟბატონი, როგორც ცნობილია, აწყობდა საყოველთაო გაფიცვის საბოტაჟს. საყოველთაო გაფიცვის დროს მან სასამართლოს საშუალებით აუკრძალა მეზღვაურთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს საგაფიცვო დახმარების გაცემა. მეწარმეებთან ერთად მან მოაწყო განსაკუთრებული მშვიდობიანობის ლიგა მუშათა კლასიურ მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან მისცა ხელი მემაღაროეთა გაფიცვის ცნობილ შტრეიკბრეხერს ვინმე სპენსერს, რომელმაც შექმნა მემაღაროეთა პოლიტიკური, ე. ი. შტრეიკბრეხერული, კავშირი, ის არის წმინდა წყლის ფაშისტი. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ტიპი უნდა გაძევებული ყოფილიყო მუშათა კონგრესიდან თუნდაც სრულიად უბრალო ელემენტარულ ჰიგიენის თვალსაზრისით. მაგრამ როდესაც გარი პოლიტმა მოითხოვა ასეთ ფაშისტის გაძევება ტრედ-იუნიონების კონგრესიდან, ამ პროფკავშირთა მეკობრეს დასაცავად გამოვიდა თითონ მისტერი სიტრინი. ჯორჯ ხიქსის შტრეიკბრეხერულ სიტყვის შემდეგ ულოგიკობა იქნებოდა იმის გაძევება, ვინც აშკარად ქადაგებდა და აკეთებდა შტრეიკბრეხერულ საქმეს. მისტერი სიტრინი გამოვიდა ხაველოკ ვილსონის დასაცავად არა როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არამედ როგორც პოლიტიკური შულერი. მან დაიწყო იმაზე მითითება, რომ საკითხი უნდა წამოეყენებია მემაღაროეთა ფედერაციას და არა გარი პოლიტს. ხაველოკ ვილსონის წინააღმდეგ გალაშქრების მაგიერ, იგი თავს დაესხა არტურ კუკს. ასე დაიცვა ინგლისის პროფმოძრაობა ღირსეულ გენსაბჭოს ამ ღირსეულმა მდივანმა ფაშისტურ თარეშისა და შტრეიკბრეხერულ თავდასხმისაგან. სიტრინის ამ გამოსვლისა და თავმჯდომარის მარჯვე ფანდის წყალობით საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და გადეცა გადასაჭრელად გენსაბჭოს.

იქ კი შინაური ხალხია—ადვილად მორიგდებიან. საეჭვოა, რომ ტომასები და მათი ამყოლ-დამყოლნი გამოვიდნენ ხაველოკ ვილსონის წინააღმდეგ, ვინაიდან ყველა ესენი აკეთებენ ერთსა და იმავე შტრეიკბრეხერულ საქმეს.

საინტერესო კამათი გაიმართა ყრილობაზე ბლენსბერგის კომისიის გარშემო. ამ კომისიამ, მარგარიტა ბონფილდის, ხოჯესის და ხოლმსის მონაწილეობით, შეუმცირა დახმარებები უმუშევრებს. ამის გამო სპილენძის და ლითონის მრეწველობის მუშათა კავშირმა შეიტანა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც არ არის მოკლებული ინტერესს: „ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა წარმომადგენლები ბლენსბერგის კომისიაში უმუშევართა დაზღვევის საკითხზე ხელს აწერდნენ ასეთ სასიზღარ მოხსენებას; ყრილობა მით უფრო სასტიკ პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ, რომ ტრედ-იუნიონების კონგრესმა წინასწარ ჩაატარა მთელ ინგლისში უმუშევართათვის სამუშაოს გამომნახველ ადგილობრივ კომიტეტების წევრთა კონფერენციები. ამ კამპანიის მიზანი იყო გამორკვეა მუშების აზრი ამ საკითხის შესახებ. ამის გამო ყრილობა წინადადებას აძლევს ტრედ-იუნიონების კონგრესს მომავალში აღარ მიანდოს ასეთ პირებს მუშათა ინტერესების წარმომადგენლობა მნიშვნელოვან საკითხებში".

ამ რეზოლუციამ გამოიწვია საკმაოდ მღელვარე კამათი. ამ „მუშათა" დელეგაციას ყრილობაზე, რა თქმა უნდა, გამოუჩნდნენ დამცველები. მართლაც რით არიან უარესი მარგარიტა ბონფილდი ან ხოჯესი სიტრინზე და კამპანიაზე? ყველა ისინი ერთი ჯურის ხალხია. ყველა ისინი მზად არიან გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გაბატონებული კლასები კმაყოფილი დარჩნენ მათი საქციელით. მაგრამ მიუხედავად მათი დაცვისა (უმუშევართათვის ლახვარის ჩაცემამ ისეთი აღშფოთება გამოიწვია მასებში, რომ ზოგიერ მემარჯვენე ლიდერები იძულებული გახდნენ გალაშქრებიათ ამ გამცემლების წინააღმდეგ) სპილენძის და ლითონის მრეწველობის მუშათა კავშირის რეზოლუცია მიღებულ იქნა 1.836,000 ხმით 1.419,000-ის წინააღმდეგ.

ყრილობის განწყობილება გამოირკვა პირველ დღესვე: სრული კაპიტულაცია მთავრობის წინაშე, უარის თქმა რაიმე ბრძოლაზე შტრეიკბრეხერთა ხარტიის წინააღმდეგ და ხაველოკ ვილსონის აქტიური დაცვა.

შემდეგში ჩვენ დაგვჭირდება შევეხოთ ყრილობას და მის გადაწყვეტილებებს სხვა საკითხებზე, განსაკუთრებით საკითხზე გენსაბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ურთიერთობის შესახებ. ამჟამად ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას კიდევ ორ მომენტზე:

1. ბორნემუტის კონგრესთან შედარებით კონგრესის წევრთა რაოდენობას დაუკლია 20000 კაცით. ასეთი პროფკავშირთა წინააღმდეგ მიმართულ ახალ კანონისა და გენსაბჭოს შტრეიკბრეხერულ ტაქტიკის პირველი შედეგი.

2. ყრილობის ხელმძღვანელთა ეს შტრეიკბრეხერული გადახრა სრულებითაც არ გამოხატავს მასების განწყობილებას. შტრეიკბრეხერობამ მტკიცე ბუდე გაიჩინა ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელ წრეებში, რაც ნათლად გამოირკვა ყრილობის პირველ დღეს.

კონგრესის მუშაობასთან პირველ გაცნობისთანავე უნებურად იბადება კითხვა: ნუთუ ინგლისის მუშათა მოძრაობა უკან იხევს? ნუთუ ინგლისის პროლეტარიატი უკან წავიდა სკარბოროს კონგრესთან შედარებით? არა. საკმაოა თუნდაც ზერელე გაცნობა ინგლისში არსებულ მდგომარეობასთან, რომ დავინახოთ ის უფსკრული, რომელიც ჰყოფს ტრედ-იუნიონების ხელმძღვანელ წრეებს მასებისაგან.

შესაძლოა თუ არა თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ, რომ პროფკავშირთა უბრალო წევრები ისეთსავე შტრეიკბრეხერულ პოზიციას დაიჭერენ პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონის მიმართ, როგორც ჯორჯ ხიქსი? შესაძლოა თუ არა დავუშვათ, რომ უბრალო მუშა წვრილმანი თაღლითური მეთოდებით დაიცავს ნამდვილ ფაშისტ და შტრეიკბრეხერ ხაველოკ ვილსონს? ეს სრულებით შეუძლებელია.

ინგლისის მუშათა მოძრაობის განვითარების ახლანდელ ხანის დამახასიათებელ თავისებურობას წარმოადგენს ის, რომ მუშათა მასები და მათი ხელმძღვანელები მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით: მაშინ, როდესაც მასებში იზრდება უკმაყოფილება და სიძულვილი, როდესაც მასები ეძებენ გამოსავალს ტრედ-იუნიონთა ჩიხიდან, ეძებენ გამოსავალს მარცხნისაკენ, ტრედ-იუნიონების ხელმძღვანელებმა უკვე იპოვეს გამოსავალი მარჯვნისაკენ. სანამ მემარცხენე სიტყვები დაკავშირებული არ იყო მემარცხენე მოქმედებასთან, ყველა ეს ხიქსები, პერსელები, სიტრინები და სხვები დილიდან საღამომდე ლაყბობდნენ მემარცხენე სულის საცხოვნებელ თემებზე. როდესაც კი საჭირო გახდა სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა, ყველა ეს მოლაყბენი აღმოჩნდნენ ბარიკადის იქითა მხარეს. ისინი ისე გულმოდგინედ დადიან უკანა თათებზე ტომასისა და ბოლდუინის წინაშე, ისე ერთგულად აქნევენ კუდს, რომ მათდამიმსახურებს ყოველმხრივი წახალისება ბურჟუაზიის მხრივ.

ყრილობის პირველმა დღემ გამოაშკარავა, რომ ეს ვაჟბატონები არ ფიქრობენ გასცილდნენ იმ ფარგლებს, რომლებიც გაუსაზღვრა მათ ბოლდუინმა, არა შიშით, არამედ სინდისიერად გაატარებენ ისინი ყველაფერს, რაც ესაჭიროება კონსერვატორების მთავრობას. ამას ისინი ჩაიდენენ თითონ მისტერ ტომასის მონაწილეობის გარეშეც კი. რატომ უნდა შეიწუხოს თავი ბურჟუაზიის ამ უფროსმა ლაქიამ; მისი მემარცხენე თანაშემწეები გააკეთებენ ამას მასზე უფრო ცუდად კი არა, არამედ უფრო კარგადაც. ამრიგად წრე დასრულებულია. ხდება გენსაბჭოს ამერიკანიზაცია და ასეთ მდგომარეობაში გასაკვირალი არ იქნება, რომ ყრილობამ გადასწყვიტოს საბჭოთა პროფკავშირებთან კავშირის გაწყვეტა, რათა ასიამოვნოს ინგლისის ბურჟუაზიას და ხელი გაუხსნას ჩემბერლენს, ჯოინსონ ხიქს და კამპანიას. თუ რამდენად შტრეიკბრეხერული იყო ჯორჯ ხიქსის სიტყვა და კონგრესის მიმართულება კი ხელსაყრელი ინგლისის ბურჟუაზიისთვის, ამას მოწმობს ის აღტაცებული შეფასება, რომელიც უძღვნა ინგლისის მთელმა პრესამ ხიქსის სიტყვას.

„ტაიმსი" უწოდებს ამ სიტყვას „კეთილ ნიშანს" და არწმუნებს საზოგადოებას, რომ „ექსტრემიზმი ადგილს უთმობს გონიერებას". „დეილი მეილ"-ი ხიქსის სიტყვას უწოდებს „გაბედულ აქტს". „მორნინგ პოსტ"-ი ბუკსა და ჯარს სცემს და ქება-დიდებას ასხამს ხიქსის გამოსვლას. ამასვე სწერენ ინგლისის სხვა გაზეთებიც. ერთ-ერთი გაზეთი სწერს, რომ ახლა, ხიქსის სიტყვის შემდეგ, საჭიროა მხოლოდ ის, რომ „კარები გამოეკეტოს მოსკოვის [illegible]".

ჯორჯ ხიქსი, რომელიც საშინელ მემარცხენე სიტყვებს ამბობდა მოსკოვში, ახლა წარსდგა ინგლისის მუშათა კლასის და მთელი ქვეყნის წინაშე თავის ბუნებრივ შტრეიკბრეხერულ სახით. სამართლიანად უნდა შეაფასო კაცმა გერმანელ რეფორმისტულ ზუბრების გამჭრიახობა, მათ იცოდნენ, რომ ჯორჯ ხიქსი იქნებოდა ამსტერდამის ინტერნაციონალის ღირსეული თავმჯდომარე. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის აღმოჩნდება არა ნაკლები არამზადა, ვიდრე ამსტერდამის ინტერნაციონალის ყოფილი თავმჯდომარე, მისი კოლეგა გენსაბჭოში—ჯიმი ტომასი. ჯორჯ ხიქსს კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა აგრეთვე ინგლისის მუშათა კლასსაც.

„პრავდა", 7 სექტემბერი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

უკვე მოდის ცნობები ახალი რევოლიუციონური არმიის მოქმედების შესახებ. როგორც ვიცით, ეს რევოლიუციონური არმია შესდგა იმ ორი დივიზიიდან, რომლებიც იე-ტი-ნის და ხო-ლუნის მეთაურობით ამას წინად ნან-ჩანში აუჯანყდენ ყოფილ უხანის მთავრობას და წამოვიდენ სამხრეთის მიმართულებით გუან-დუნის პროვინციაში კანტონისაკენ. გზადაგზა ეს ჯარი ივსებოდა გლეხთა შეიარაღებულ რაზმებით და როდესაც მიაღწია ამ ჯარმა გუან-დუნის პროვინციას, 20 ათასიდან გაიზარდა 40 ათასამდე. როგორც ეხლა ირკვევა, მთავარი ძალები ამ ჯარისა მოდიან სვატოუსაკენ (კანტონის აღმოსავლეთით მდებარე ნავთსადგური, ქალაქ ჩოჯოუს მახლობლად; ამ ორ ქალაქს შორის არის რკინის გზა). რევოლიუციონურ ჯარს უკვე ჩაუგდია ხელში ჩაოჯოუ, გადაუჭრია სვატოუ-ჩაო-ჯოუს რკინის გზა და ეხლა ემუქრება თვით სვატოუს. რევოლიუციონური ჯარის მიერ არჩეული მიმართულება და სვატოუს აღების უახლოეს მიზნად დასახვა სტრატეგიული თვალსაზრისით სრულიად სწორია. სვატოუ იმდენად დაშორებულია კანტონს, რომ იქაური დიქტატორი ლი-ტი-სინი საკმაო ჯარების დროზე აქეთკენ გამოგზავნას ვერ მოახერხებს. რევოლიუციონური ჯარებისათვის კი, რომელთაც სულ მოკლე ხანში ნან-ჩანიდან სვატოუმდე თითქმის 600 კილომეტრის მანძილი გაიარეს, არ იქნებოდა ხელსაყრელი ამ თავითვე დიდ რეგულიარულ ჯარებთან შებმა. გარდა ამისა, სვატოუს რაიონში მეტად აქტიურად მოქმედობდნენ და დიდს ძალას წარმოადგენდნენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები. დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს სვატოუს რაიონში რევოლიუციონურ ჯარების გამარჯვებას და აგრეთვე აღნიშნავს, რომ ლი-ტი-სინის მიერ გამოგზავნილ ჯარებიდან 6 ათასი ჯარის კაცი რევოლიუციონურ ჯარების მხარეზე გადმოსულა.

რევოლიუციონურ ჯარების მოძრაობასთან ერთად გაცხოველდა [illegible] შეიარაღებული რაზმების მოქმედებაც იმ პროვინციებში, სადაც გლეხთა რევოლიუციონური ორგანიზაციები საკმაოდ მტკიცედ იყვნენ მოწყობილი. ასპარეზი, რომელზედაც ამჟამად მოქმედებენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები და სადაც რევოლიუციონურ ელემენტებს აქვთ გავლენა, მოთავსებულია შემდეგ ფარგლებში: პროვინცია ხუ-ბეის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, პროვინცია ხუ-ნანის აღმოსავლეთი ნაწილი, ხანკოუ-კანტონის რკინის გზის გაყოლებით, პროვინცია ძიან-სი ნან-ჩანის სამხრეთით და გუან-დუნის პროვინციის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სვატოუს რაიონი ესაზღვრება პროვინცია ფუ-ძიანს, ადვილი შესაძლებელია, რომ ამ უკანასკნელშიაც გაღვივდება რევოლიუციის ცეცხლი, მით უმეტეს, რომ გლეხთა ორგანიზაციები აქაც საკმაო ძალას წარმოადგენენ. ამრიგად, კანტონი თითქმის გარშემორტყმულია რევოლიუციონური ძალებით და, რადგანაც აქაურ რეაქციონერებს არც იმდენი სამხედრო ძალები მოეპოვებათ, შესაძლებელია, რომ რევოლიუციონური ჯარები მოახერხებენ რევოლიუციის ამ ძველი ბუდის ხელში ჩაგდებას, და ასეთ გამარჯვებას გარდა სტრატეგიული ღირებულებისა, მეტად დიდი პოლიტიკური ფასიც ექნება.

რამდენად გაძლიერდა უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონური მოძრაობა ხანკოუს სამხრეთით, მეტადრე გლეხთა შეიარაღებულ რაზმების, ამას მოწმობს დღევანდელი დეპეშა შანხაიდან. პროვინცია ხუ-ნანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აჯანყებულა ყოფილ უხანის მთავრობის ჯარის ახალი ნაწილები, აჯანყებულთ შეუდგენიათ მთელი დივიზია და შეიარაღებულ გლეხთა რაზმებთან ერთად წამოსულან ჩან-შას მიმართულებით და დაუპყრიათ მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი პინ-სიანი (აქ მდიდარი ქვა-ნახშირის მადანი და მაღაროებია). რევოლიუციონური ჯარების ეს ახალი ნაწილები ზურგს უმაგრებენ და უზრუნველჰყოფენ სამხრეთით მომქმედ იე-ტინის და ხო-ლუნის რევოლიუციონურ ჯარებს. იმავე დეპეშის ცნობით, ხან-კოუს სამხრეთით გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს განუიარაღებიათ ტან-შენ-ჩის ერთი დივიზია და მისი მაზრა მთლად ჩაუგდიათ ხელში. მუდამ დღე მოდის ცნობები, დასძენს დეპეშა, რომ უხანის მთავრობის მთელს ტერიტორიაზე გლეხთა პარტიზანული რაზმების მოქმედება იჩენს თავს.

რევოლიუციონური მოძრაობა აღნიშნულ ტერიტორიაზე თვალსაჩინო და ფართე ხასიათს ღებულობს და შესაძლებელია, რომ მოკლე ხანში ჩინეთის რევოლიუციონერები მთლად ჩაიგდებენ ხელში აწ განსვენებულ უხანის მთავრობის მემკვიდრეობას.

რაც შეეხება ნანკინის ფრონტს, სადაც გრძელდება სამხრეთელების და ჩრდილოელების ბრძოლა, აქ სუნ-ჩუან-ფანის ჯარები, როგორც ირკვევა, საგრძნობლად დამარცხებულან, ასე რომ ნანკინის ჯარებს წინ წაუწევიათ და დაუბრუნებიათ პროვინცია ან-ხოის ჩრდილო ნაწილში მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი პენ-პუ. ამოძრავებულა ფინ-იუი-სიანის ჯარიც და მიიწევს შანდუნის პროვინციისაკენ, ე. ი. ემუქრება სუნ-ჩუან-ფანის ზურგს. შეიძლება უკანასკნელმა და აგრეთვე ნანკინის ჯარმაც კვლავ შეჰყონ თავი შანდუნის პროვინციაში, მაგრამ ამას იქით ვერას გახდებიან. რადგანაც კვლავ იაპონია გადაეღობება წინ და არ გაუშვებს. შანდუნის პროვინცია სტრატეგიულად და ეკონომიურად იაპონელებისათვის ისეთ ღირებულებას წარმოადგენს, რომ აქ არავის შემოუშვებენ. ამიტომ ნანკინ-უხანის ჯარების ბრძოლას ეკარგება სრულიად უწინდელი [illegible] და აქ რაიმე გადამწყვეტი ხასიათის შედეგს არ უნდა მოველოდეთ.

ი. ბედევანიშვილი.

ხო-ლუნის და ი-ე-ტინის რევოლიუციონური ჯარები კანტონს უახლოვდებიან

გლეხთა პარტიზანული მოძრაობა ხუბეის და ხუნანის პროვინციებში

უნგრეთში გრძელდება მუშების დაპატიმრება.—ბუდაპეშტში დაპატიმრებულია 250 კაცი

პოლონეთის წინადადება ერთა ლიგის სესიაზე

რევოლიუციონური ჯარები კანტონთან

მეი-სიანი რევოლიუციონურ არმიის ხელშია

პეკინი, 6 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით **ხო-ლუნის და ი-ე-ტინის** რევოლიუციონურმა ჯარმა მიაღწია გუანდუნში მეისიანს და ჩაონინს, სადაც შეიერთა გლეხთა შეიარაღებული ძალები და გადასჭრა სატელეგრაფო ხაზი ჩყაო-ჩოუ-სვატოუს რკინის გზაზე მეისიანსა და სვატოუს შუა.

კანტონის დიქტატორმა ლი-ტი-სინმა სასწრაფოდ გაგზავნა რევოლიუციონურ ძალების წინააღმდეგ დივიზია ჩენ-ცზეტანის სარდლობით.

სააგენტოს შემდეგი ცნობების თანახმად, **მეისიანის ახლოს** რევოლიუციონურ ჯარების მხარეზე გადავიდა ჩენცზიუნ-მინის ჯარების 6.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი.

მეისიანი უკავია რევოლიუციონურ ჯარებს. ლი-ტი-სინმა სვატოუს მიმართულებით გაგზავნა 10.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი. (ადს).

იანჩჟოუს აღება

შანხაი, 6 სექტემბ. ნანკინის მთავრობის ოფიციალური გაზეთი იუწყება, რომ ნანკინის მთავრობის არმიამ აიღო ქალაქი იანჩჟოუ (ცზიან-სუს პროვინციაში 15 კილომეტრის მოშორებით ჩინცზიანიდან ჩრდილოეთისაკენ (ადს).

ბაი-ცძუნ-ჩის მუდარა

შანხაი, 6 სექტემბერი. ბაი-ცძუნ-ჩიმ თხოვნით მიმართა შანხაის მოსახლეობას, რათა წინდაწინ შეიტანონ სამი თვის გა[illegible]ადი, სამი დღის განმავლობაში ვაჭრები დასთანხმდენ მხოლოდ ორი თვის გადასახადის შეტანაზე და მოითხოვეს 10 დღის ვადა. (ადს).

უხანელები შეშინებული არიან გლეხური მოძრაობით

შანხაი, 6 სექტემბერი. ხანკოუდან მიღებული ცნობით, უხანელები ძალიან არიან შეშფოთებული ცნობებით რევოლიუციონურ მოძრაობის დაწყების შესახებ ხუბეის სამხრეთ ნაწილისა და ხუნანის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში. როგორც იტყობინებიან, ხუნანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შესდგა დივიზია უხანის არმიის ზოგიერთ რეგულიარულ ნაწილების შემადგენლობით, რომლებიც შეუერთდენ ამ რაიონში მომქმედ გლეხთა პარტიზანულ რაზმებს. ცნობების მიხედვით, რევოლიუციონური დივიზია მიდის ჩანშას (ხუნანის მთავარი ქალაქი) მიმართულებით. უკანასკნელი ცნობების თანახმად, რევოლიუციონურ ჯარებს აუღიათ ქალაქი პინსიანი, საქვანახშირო მრეწველობის ცენტრი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. ამავე დროს უხანის გაზეთები იუწყებიან, რომ გლეხთა რაზმებმა ხუნანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განაიარაღეს ტან-შენ-ჩის ერთი დივიზია, ხოლო ხუბეის რაიონში გლეხთა პარტიზანულმა რაზმებმა დაიჭირეს ორი მაზრის ტერიტორია. ყოველდღე მოდის ცნობები. გლეხების პარტიზანული გამოსვლების შესახებ უხანის მთავრობის ტერიტორიაზე. (ადს).

სიკვდილით დასჯა ფურცლების გავრცელებისათვის

შანხაი, 6 სექტემბერი. კანტონში დააპატიმრეს ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ბრალდება კომუნისტურ ფურცლების გავრცელება. დაპატიმრებულს მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა, მაგრამ განაჩენი არაა სისრულეში მოყვანილი იმიტომ, რომ „პატიმრობის მეთოდებით" უნდათ მისი გამოტეხვა, თუ სად იბეჭდებოდა ფურცლები. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის დამარცხება

შანხაი, 6 სექტემბერი. ყველა ინგლისური გაზეთები აღიარებენ სუნ-ჩუან-ფანის სასტიკ დამარცხებას, რომელიც „ნორდ-ჩაინა დეილი ნიუზის" აზრით, წაართმევს ჩრდილოელ გენერლებს მდ. იანცზიზე გადასვლის ხალისს, სულ უკანასკნელი რამოდენიმე თვით „შანსს". ჩინური წრეები აცხადებენ, რომ ინგლისელები ფაქტიურ მონაწილეობას იღებდენ სამხრეთ არმიის საწინააღმდეგო ოპერაციებში. (ადს).

მუშების დაპატიმრება

შანხაი, 6 სექტემბერი. დაპატიმრებულია სამი მუშა, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური ლიტერატურის დაბეჭდვა. დაპატიმრებულთ, პოლიციის მტკიცებით, აღმოაჩნდათ შიფრი.

გაფიცვების ახალი ტალღა შანხაიში

შანხაი, 6 სექტემბერი. **იაპონიის საფეიქრო ფაბრიკებში შანხაიში ისევ გაიფიცა 3.500 მუშა.** გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, დათხოვნილ მუშების უკან მიღებას და ორსულ მუშა-ქალებისათვის 40 დღის შვებულების მიცემას ჯამაგირის შენახვით. ფეიქრებში ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ შანხაის მუშათა მასებს აღმოუჩინონ დახმარება გაფიცულ მუშებს. **დაამხონ ყვითელი პროფკავშირები და აღადგინონ პროფკავშირთა შანხაის გენერალური საბჭო.** (ადს).

ერთა ლიგის სესია

სესიის თავმჯდომარის ამხანაგის არჩევა

ჟენევა, 6 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის დღევანდელ დილის სხდომაზე არჩეულ იქნა პლენარული სესიის თავმჯდომარის ექვსი ამხანაგი: **ბრიანი, ჩემბერლენი, შალოია, შტრეზემანი, მენსდორფი** (ავსტრია) და გაიტის წარმომადგენელი **ნამურ ბაზატი.** (ადს).

პოლონეთის წინადადების გარშემო

ჟენევა, 6 სექტემბერი. ზოგიერთი დელეგაციების ოფიციალურ წრეებს, მათ შორის გერმანიის წრეებს, არ სჯერათ პოლონეთის წინადადების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა. გერმანიის წრეები ფიქრობენ, რომ საკითხი ამ სესიაზე არ გადაწყდება. მაგრამ შესაძლოა, რომ თუ ბრიანმა და ზალესკიმ არა, ბონკურმა და სოკალმა მაინც განიხილონ საიდუმლო კრებაზე აღმოსავლეთის ლოკარნოს გეგმის საფუძვლები. ამის შემდეგ პოლონეთი, ამ წრეების აზრით, ხელსაყრელ მომენტში შესწყვეტს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, ხოლო გერმანიაზე მოახდენენ ზეგავლენას იმ საფრთხის მომიზეზებით, რომელიც ვითომც მოსალოდნელია საბჭოთა კავშირის მხრივ.

ფიქრობენ აგრეთვე, რომ ინგლისი, მისი ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამო, ამ გეგმას დაეთანხმება. (ადს).

საბჭოთა კავშირთან ბრძოლის იარაღი

კოვნო, 6 სექტემბერი. უცხოეთის პრესა იტყობინება, რომ ჟენევაში შესდგა ბალტიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი ბალტიის სახელმწიფოთა კავშირის შექმნის საკითხის შესახებ; ამის გამო ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვა" სწერს: „ბალტიის სახელმწიფოებს აქვს საფუძველი ელოდინ თავდასხმას საბჭოთა კავშირის მხრიდან, მაგრამ ეს შიში არ არის საკმაო საბუთი იმისათვის, რომ ბალტიის სახელმწიფოები წამოეგონ მოწინააღმდეგე მხარის ანკესზე. ბალტიის კავშირის შექმნა სასურველია და მის განსახორციელებლად სერიოზული ზომებია მიღებული. თუმცა ამ კავშირის მიზნების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთებისათვის ბალტიის კავშირის მიზანია ბალტიის სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, დანარჩენებისათვის—კავშირი წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ დღემდე თავისუფალი მოლაპარაკების გზით თუ შეუძლებელი იყო ბალტიის კავშირის შექმნა ეხლა მით უფრო შეუძლებელია „გარეშე სახელმწიფოთა ჩარევის გზით". (ადს).

ჰოლანდიის წინადადება

ჟენევა, 6 სექტემბერი. 6 სექტემბერს ერთა ლიგის პლენუმზე დაიწყო კამათი ერთა ლიგის მუშაობის გარშემო. ჰოლანდიის დელეგატმა შეიტანა წინადადება:

„ერთა ლიგის პლენარული სხდომა დარწმუნებულია, რომ ჟენევის ოქმის გარშემო დისკუსიის გაუჩაღებლად, საჭიროა გამორკვევა—ხომ არ დადგა ამ ოქმის საფუძვლად დადებულ პრინციპების შესწავლის განახლების მომენტი?" ამის გამო, ლიგის პლენარულმა კრებამ დაადგინა სათანადო კომისიებს გადასცეს განსახილავად ჟენევის ოქმის ძირითადი პრინციპები და დასკვნები, რომლებიც შეიმუშავა მომმზადებელმა კომისიამ განიარაღების კონფერენციაზე".

ჰოლანდიის დელეგატის წინადადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან ის შეიცავს პოლონეთის პროექტის ძირითად დებულებებს და გამოდის ჟენევის ოქმისათვის საფუძვლად დადებულ პრინციპებიდან. ინგლისის აშკარა საწინააღმდეგო პოზიციის გამო ოქმის მიმართ, საეჭვოა, რომ ჰოლანდიის წინადადებამ რაიმე რეალური ნაყოფი გამოიღოს. (ადს).

მინისტრების თათბირი

ჰელსინგფორსი, 6 სექტემბერი. „ჰელსინგინ სანომატი" აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის შემდეგ დეპეშას რიგიდან:

„ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ერთა ლიგის სესიის დროს შესდგება ფინეთის, ესტონეთის და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. თათბირზე გაირჩევა ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირს შორის საერთო საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხი. (ადს.)

ტერორი უნგრეთში

მასიური ჩხრეკა-დაპატიმრება

ვენა, 6 სექტემბერი. **მუშების დაპატიმრება უნგრეთში გრძელდება. ბუდაპეშტში და 38 პროვინციალურ ქალაქში დაპატიმრებულია რამოდენიმე ასეული მუშა. მხოლოდ ბუდაპეშტში დაპატიმრებულია 250 კაცი.**

ირკვევა, რომ პროვოკატორ კორნიშის დაპატიმრებით პოლიციამ გადასწყვიტა დაიწყოს შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ. პოლიცია არაფერს ამბობს დაპატიმრებათა კონკრეტულ მიზეზებზე და არ აქვეყნებს დაპატიმრებულთა სიებს. **ბუდაპეშტში პირველ რიგში დაპატიმრებული არიან მეღითონეთა გაფიცვის აქტიური მონაწილენი** და აგრეთვე მუშები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ პარტიულ მოძრაობაში და „ბუნების მოყვარულთა" ორგანიზაციებში. დაპატიმრებულებს ბრალს სდებენ არალეგალურ ფურცლების ბეჭდვასა და გავრცელებაში. ბუდაფოკის სამრეწველო რაიონში (ბუდაპეშტის მახლობლად) მრავალი მუშები დააპატიმრეს. პოლიცია აცხადებს, რომ მან აღმოაჩინა არალეგალური სტამბა. (ადს).

პროვოკატორ კორნიშის დაპატიმრების გამო

ვენა, 6 სექტემბერი. უნგრეთის პოლიციის უკანასკნელ ცნობებში ნათქვამია, რომ დაპატიმრებულ კორნიშს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს უნგრეთის კომუნისტურ ორგანიზაციასთან.

ამის გამო ვენის გაზეთები ადასტურებენ, რომ ვენის „როტე ფანე"-მ თავის დროზე განუცხადა ვენის პოლიციას, რომ კორნიში პროვოკატორია. (ადს).

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე უცხოეთში

მენშევიკი ზეიცი და ახალგაზრდობა

ვენა, 6 სექტემბერი. ვენის ბურგომისტრმა სოციალ-დემოკრატმა ზეიცმა უარი უთხრა ავსტრიის კომკავშირს დაეთმო თვითმმართველობის დარბაზი, რომელშიც უნდა მოეწყოთ კრება ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის გამო. უარის თქმა ზეიცი ხსნის იმით, რომ პოლიტიკურ მანიფესტაციებისათვის დარბაზის გამოყენება აკრძალულია.

ამის გამო კომკავშირმა სხვა შენობაში მოაწყო კრება. კრების შემდეგ გადაწყვეტილი იყო დემონსტრაციის მოწყობა, მაგრამ პოლიციამ აკრძალა. როცა პოლიცია წავიდა, კრების მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფად დაეწყვენ და გაიარეს მუშათა უბნებში.

დემონსტრაციები გერმანიაში

ბერლინი, 6 სექტემბერი. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს გერმანიაში ბერლინს გარდა დემონსტრაციები მოეწყო მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში. მუშა ახალგაზრდობის ძალების დათვალიერება მოხდა აგრეთვე ელსინცეში (საქსონია), დეისბურგში (რურის ოლქი): მარიენბურგში (შუა გერმანია).

დემონსტრაციებში მრავალი ახალგაზრდობა ღებულობდა მონაწილეობას. დემონსტრაციები დიდი ენთუზიაზმით ჩატარდა

ბავშვთა გაგზავნა ბერლინში

ვენა, 6 სექტემბერი. ბერლინში გაგზავნეს ივლისის ამბების დროს დაზარალებულ პირთა ბავშვების მეოთხე ტრანსპორტი. ბავშვების გაგზავნა მოწყობილია რემედასის ავსტრიის სექციის მიერ (ადს).

ბოიკოტი ამერიკის საქონელს

შეერთებული შტატების უნიტარული პროფკავშირების მოწოდება

პარიზი, 6 სექტემბერი. მრავალი უნიტარული ფედერაციები აქვეყნებენ მოწოდებას ამერიკის საქონლის ბოიკოტის შესახებ. უნიტარული ფედერაციები მოუწოდებენ მუშებს 19 სექტემბერს, ამერიკის ლეგიონების ჩამოსვლის დღეს, მოაწყონ მუშათა მანიფესტაციები საკოსა და ვანცეტის ხსოვნის აღსანიშნავად. მანიფესტაციების ლოზუნგებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც მოითხოვენ საყოველთაო ამნისტიას, სამხედრო ვალების გაუქმებას, პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელებას და საბჭოთა კავშირის და ჩინეთის დაცვას.

პოლიციელთა წერილი

თანაგრძნობას უცხადებენ დემონსტრანტებს

პარიზი, 6 სექტემბერი. „იუმანიტე" აქვეყნებს რედაქციის სახელზე მოსულ პოლიციელთა ჯგუფის წერილს, რომელშიაც ისინი თავის სოლიდარობას უცხადებენ 23 აგვისტოს დემონსტრაციაში მონაწილეებს და კიცხავენ პოლიციის სისასტიკეს დემონსტრანტების მიმართ. წერილში ნათქვამია, რომ პოლიცია სხვადასხვა გვარათ ექცევა მანიფესტაციებს იმის და მიხედვით, თუ ვინ აწყობს ამ მანიფესტაციებს მუშები თუ ფაშისტები. წერილის ავტორები პროტესტს აცხადებენ იმ როლის წინააღმდეგ, რომელსაც პოლიცია აკისრებს ბურჟუაზიას. (ადს.

შეტაკება ფაშისტებსა და წითელფრონტელებს შორის

ბერლინი, 6 სექტემბერი. უკანასკნელ დღეებში, გერმანიის სხვადასხვა ადგილებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე შეტაკებას ფაშისტურ ორგანიზაციების წევრებს და წითელ ფრონტელებს შორის. **პოტსდამში მძიმედ დაჭრილია წითელფრონტელების კავშირის წევრი. ზელტენბერგში დაჭრილია „ფოლადის მუზარადის" 5 წევრი და 18 მუშა. ზოგიერთი მათგანი მძიმედაა დაჭრილი.**

უორკერს პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, სექტემბერი. უორკერს პარტიის ყრილობაზე **ფოსტერი** გამოვიდა მოხსენებით პარტიისა და პროფესიონალური კავშირების მუშაობის შესახებ. ფოსტერმა აღნიშნა, რომ რეფორმისტები აძლიერებენ ბრძოლას პროფესიონალური კავშირების მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ, რომ პროფესიონალური ბიუროკრატია მხარს უჭერს ამერიკის იმპერიალიზმის გახვითარებას და დახმარებას უწევს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიებს. **გინორი** გამოვიდა მოხსენებით მილიტარიზაციისა და იმპერიალიზმის განვითარების შესახებ შეერთებულ შტატებში და აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების შესახებ. (ადს).

მარტი და დორიო არ გამოცხადდენ დაკითხვაზე

პარიზი, 6 სექტემბერი. მარტიმ და დორიომ უარი სთქვეს სასამართლოში გამოცხადებაზე, სადაც დასაკითხავად იქნენ გამოწვეული გამომძიებლის მიერ. მარტი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მას დაუნიშნეს სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის დაწესებული რეჟიმი. დორიო-კი არგამოცხადებას ასაბუთებს მარტისადმი სოლიდარობით და აგრეთვე ამ უკანონო დევნით, რომელსაც აწარმოებს მის წინააღმდეგ მთავრობა, რომელმაც დაარღვია ამით დეპუტატთა პალატის სურვილი. (ადს).

ვარშავის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ

პოლონეთის პრესა თავდასხმის შესახებ

ვარშავა, 6 სექტემბერი. კონფისკაცია უყვეს თეთრგვარდიელთა გაზეთ „ზა სვობოდუ"-ს ნომერს იმის გამო, რომ მასში გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელიც შეიცავდა მთელ რიგ ცილისწამებას საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინააღმდეგ, ტრაიკოვიჩის მოკლასთან დაკავშირებით.

პოლონეთის პრესის ნაწილს ერთგვარი ცვლილება ემჩნევა ტრაიკოვიჩის თავდასხმის ფაქტის გამო.

ოფიციოზური „ეპოკა" ბეჭდავს მოწინავეს, რომელშიაც გმობს პოლონეთის პრესის დამოკიდებულებას სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მომხდარი ფაქტისადმი და სწერს, რომ სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინააღმდეგ გალაშქრება პოლონური გაზეთების მხრივ არის „სენსაციით გატაცების", შედეგი. ეს გაზეთები ანგარიშს არ უწევენ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს გალაშქრება იწვევს საზღვარგარედ.

მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „გლოს პრავდი" მაინც ტენდენციურად ამუქებს ფაქტებს. ნაწილობრივ უარყოფს რა პრესის ცილისწამებას ტრაიკოვიჩის მოკვლასთან დაკავშირებით. „გლოს პრავდი" მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობანი ბოროტად იყენებენ ხელშეუხებლობას და მისი საშუალებით ანგარიშს ასწორებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან.

„ეკსპრეს პორანი" ათავსებს ასეთ სათაურებს, როგორც მაგალითად, „საზიზღარი მკვლელობის მსხვერპლის დაკრძალვა"; „კურიერ პორანი" უარჰყოფს ბევრ თავის წინანდელ ინსინუაციებს, მაგრამ მაინც ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ტრაიკოვიჩი მართლა შეიარაღებული მივიდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

„გაზეტა ვარშავსკა პორანა" ათავსებს რა „იზვესტია"-ს წერილს ტრაიკოვიჩის თავდასხმის შესახებ, უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „იზვესტია" წინასწარ ლაპარაკობს გამოძიების შედეგებზე.

უკეთებს რა კომენტარიებს იმავე წერილს, „ვარშავიანკა" აღშფოთებულია იმით, რომ საბჭოთა კავშირს სურს პასუხისმგებლობა ამ ფაქტისათვის დააკისროს პოლონეთს (ადს).

გაფიცვები იაპონიაში

ტოკიო, 6 სექტემბ. უკანასკნელ დღეებში იაპონიის სხვადასხვა რაიონებში იფეთქა რამოდენიმე გაფიცვამ. კავასაკიში შიბაურის კამპანიის ფაბრიკაში გაიფიცა 1.300 მეღითონე, რომლებიც არიან მემარცხენე პროფკავშირთა გაერთიანების — ხიოგიკაის წევრები. გაფიცულები მოითხოვენ დათხოვნილ მუშების უკან დაბრუნებას, მათ შორის პროფკავშირის თავმჯდომარის და მდივნების დაბრუნებას.

მოელიან გაფიცვის გამოცხადებას იმავე კომპანიის ფაბრიკაში ტოკიოში. ნაგანოს გუბერნიაში მიმდინარეობს ოკაიას კომპანიის აბრეშუმის სართავ ფაბრიკის 2.000 მუშის გაფიცვა. გაფიცვა გამოცხადებულია პროტესტის ნიშნად მუშების უსაფუძვლოდ დათხოვნის წინააღმდეგ და მიმდინარეობს მემარცხენე პროფკავშირთა გაერთიანების — ხიოგიკაის ხელმძღვანელობით. (ადს).

მოძრაობა უმუშევრობის წინააღმდეგ

ტოკიო, 6 სექტემბ. კაპიტალის მიერ მუშების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების გამო, იაპონიის მუშათა მთლიანობის ლიგამ მოიწვია სრულიად იაპონიის სადელეგატო კონფერენცია, რომელიც განიხილავს უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიღების საკითხს. კონფერენციამ დაადგინა 17 სექტემბრისათვის მოაწყოს მთელ იაპონიაში მასიური საპროტესტო დემონსტრაციები უმუშევრობის წინააღმდეგ.

წყალდიდობა რუმინეთში

ვენა, 6 სექტემბერი. ძლიერმა წვიმებმა და წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენეს არა მარტო ბუკოვინას, არამედ ბესარაბიის სამხრეთ ნაწილსაც. დანგრეულია ყველა სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები, რკინის გზებზე მიმოსვლა შეწყდა, კიშინიოვი და ბენდერი მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას. დნესტრის მიდამოებში მოსავალი განადგურებულია. მრავალი სოფელი და აგრეთვე ქალაქები რომანოვკა და სოროკი წყალითაა დაფარული, უსახლკაროდ დარჩა 5.000 კაცი. გზები სავსეა ლტოლვილებით. მსხვერპლთა რიცხვი დიდია, მაგრამ დანამდვილებით ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული. ვიჟნიცკის სატყეოში და ბუკოვინაში ყველა ხე-ტყის სახერხი ქარხნები დანგრეულია. მთელ ოლქში საშინელი სიღატაკეა გამეფებული. მცხოვრებლებს არა აქვთ არც თავშესაფარი და არც საჭმელი (ადს)

უნიტარული პროფკავშირების დახურვა

ვენა, 6 სექტემბ. პოლიციამ დალუქა უნიტარული პროფბიუროების შენობა ბუქარესტში. პოლიცია ამ ნაბიჯს ასაბუთებს იმით, რომ უნიტ. პროფკავშირებს მთავრობის მიერ აკრძალული ჰქონდათ მოღვაწეობა. შენობაში მყოფი 4 მუშა, მათ შორის პროფკავშირების ბუქარესტის კომიტეტის წევრი **ადლერი იმრე** დააპატიმრეს და გადაგზავნეს ჟილევსკის სატუსაღოში (ადს).

კაზარინოვი ტოკიოში

ტოკიო, 6 სექტემბ. სან - ფრანცისკოდან ტოკიოში ჩავიდა კაზარინოვი, რომელმაც [illegible] - ავიაქიმის ლატარიაში მოიგო დედამიწის გარშემო მოგზაურობა (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

მემარცხენეთა იერიში გენსაბჭოელების წინააღმდეგ

ედინბურგი, 6 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა ედინბურგის ყრილობის 6 სექტემბრის დღის სხდომაზე გრძელდებოდა გენსაბჭოს ანგარიშის განხილვა. მღებავთა კავშირის დელეგატმა **ბიჩემმა** შეიტანა წინადადება გენსაბჭოს ანგარიშის მე-92 მუხლის უარყოფის შესახებ. ეს მუხლი შეეხება მეუმცირესეთა მოძრაობასთან ტრედიუნიონთა კონგრესის დამოკიდებულების საკითხს. ანგარიშის ამ მუხლში აღნიშნულია, რომ ინგლისის პროფკავშირთა შარშანდელ ყრილობაზე ბორნემუტში გენსაბჭომ წარადგინა რეზოლიუცია, სადაც გენსაბჭო აცხადებდა, რომ ამა თუ იმ საპროპაგანდო ორგანიზაციის ყოფნა მეუმცირესეთა მოძრაობის ორგანიზაციაში არ ეთანხმება ტრედიუნიონთა კონგრესის და გენერალურ საბჭოს პოლიტიკას, რის გამოც გენსაბჭო ვერ შეურიგდება პროფკავშირებისა და მათი გაერთიანებების შესვლას მეუმცირესეთა მოძრაობის ორგანიზაციაში.

1927 წლის მარტში ამ საკითხზე მიღებულ იქნა კიდევ ერთი რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „გენერალური საბჭო არ ცნობს იმ პროფკავშირთა საბჭოებს, რომლებიც მეუმცირესეთა მოძრაობას ეკუთვნიან ან და აერთიანებენ მეუმცირესეთა მოძრაობის ან ამ მოძრაობასთან დაკავშირებულ ადგილობრივ განყოფილებებს და ორგანიზაციებს“.

დასასრულ გენსაბჭოს ანგარიშის მე-92 მუხლში აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება ეცნობა პროფკავშირთა საბჭოების წლიურ კონფერენციას „ამასთან კონფერენცია თუმცა გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო პროფკავშირთა საბჭოების გაერთიანებულ სათათბირო კომიტეტთან შეუთანხმებლად, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც მოიწონა ეს გადაწყვეტილება“.

„გენერალურმა საბჭომ, — განაცხადა ბიჩემმა, — გამთიშველი კამპანია უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ დაიწყო ისეთ მომენტში, როდესაც ინგლისის პროფმოძრაობას ყოველმხრივ ემუქრება საფრთხე და როდესაც მთლიანობა აბსოლიუტურად აუცილებელია“.

გენსაბჭოს მე-92 მუხლის უარყოფის სასარგებლოდ გამოვიდა შოტლანდიის სამთამადნო მუშათა დელეგატი **ალლანი**. როდესაც ალანი ავიდა ტრიბუნაზე, სამთამადნო მუშათა ფედერაციის თავმჯდომარემ გერბერტ სმიტმა განაცხადა ადგილიდან, რომ ალლანი არ გამოდის ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის სახელით. ალლანმა აღნიშნა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციას ჯერ კიდევ არ გამოუტანია გადაწყვეტილება თავის დამოკიდებულების შესახებ გენსაბჭოს ანგარიში ხადმი, რის გამოც ის შესაძლებლად სცნობს თავისი ინდივიდუალური აზრის გამოთქმას.

ალლანმა უსაყვედურა გენსაბჭოს ის, რომ უკანასკნელი „გამუდმებით იბრძვის წითლებს, ხოლო სრულიად არ იბრძვის მწარმოებლების წინააღმდეგ“. „იმის მაგივრად, რომ მუშები წაიყვანოს კაპიტალისტებთან და ბოლდუინის მთავრობასთან ბრძოლის გზაზე, — განაცხადა ალლანმა, — გენერალური საბჭო მთელ თავის დროს ანდომებს პროფმოძრაობის აქტიურ წევრთა დევნას“.

ალლანის საპასუხოდ გამოვიდა **გერბერტ სმიტი**, რომელმაც განაცხადა, რომ უმცირესობის მოძრაობასა და კომუნისტურ პარტიას შორის არავითარი განსხვავება არ არის. „როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, — სთქვა სმიტმა, — ბრძანება მოსკოვიდან მოდის“.

შემდეგ სმიტი ამტკიცებს, რომ თითქოს უმცირესობის მოძრაობა „მთლიანად რუსების ხელმძღვანელობის ქვეშაა მოქცეული“. „ჩვენ, — სთქვა სმიტმა, — გარედან ჩაურევლადაც კარგად გაუძღვებით ჩვენს საქმეებს“.

სმიტის შემდეგ გამოვიდა **მაკ-ანულტი**, რომელმაც უარჰყო სმიტის მტკიცება, რომ თითქოს „უმცირესობის მოძრაობა აწყობს გარედან თავდასხმას ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობაზე“.

„მაგალითისთვის მოვიყვან ჩემს თავს, — სთქვა მაკ-ანულტიმ. მე-45 წელიწადია, რაც ვირიცხები სამთამადნო მუშათა კავშირის წევრად, და ამჟამად ვეკუთვნი უმცირესობის მოძრაობას. უმცირესობის მოძრაობის პოლიტიკა მდგომარეობს მუშაობაში პროფესიონალურ კავშირებს შიგნით. უმცირესობის მოძრაობას მიზნად არა აქვს განხეთქილების გამოწვევა პროფესიონალურ მოძრაობაში“.

შემდეგ გამოვიდა რამდენიმე დელეგატი, რომლებმაც გაილაშქრეს გენერალურ საბჭოს ანგარიშის მე-92 მუხლის უარყოფის წინააღმდეგ და გაკიცხეს უმცირესობის მოძრაობის მეთოდები.

კამათის დასასრულ გამოვიდა **სიტრინი**, რომელმაც განაცხადა: „საჭიროა უმცირესობის მოძრაობის გამოაშკარავება მისი ნამდვილი სახით. მოსალოდნელია, რომ თუ ჩვენ დავადგებით მოთმინების ტაქტიკას ამ მოძრაობის მიმართ, მაშინ ეს ტაქტიკა ხელს შეუწყობს უმცირესობის მოძრაობის ზრდას“.

შემდეგ სიტრინმა გაიმეორა ორატორთა უმრავლესობის აზრი და ამტკიცებდა, რომ თითქოს უმცირესობის მოძრაობა „არ წარმოადგენს ინგლისის მუშათა მოძრაობის ბუნებრივ ნაყოფს, არამედ ის წარმოიშვა პროფინტერნში“.

„უმცირესობის პროფმოძრაობის დაქირავებულ წევრებს, — განაცხადა სიტრინმა, — არ შეუძლიათ იოტის ოდნად გადაუხვიონ იმ ინსტრუქციებს, რომლებსაც მოსკოვიდან იღებენ“.

გარი პოლიტმა, რომელიც იცავდა ბიჩემის წინადადებას, ხაზი გაუსვა იმას, რომ გენსაბჭო, უარს ამბობს რა პროფკავშირთა საბჭოების მიღებაზე ტრედიუნიონთა კონგრესის შემადგენლობაში, ამავე დროს უფლებას აძლევს თავის თავს უკარნახოს პროფკავშირთა საბჭოებს, თუ რა გეზს უნდა დაადგნენ ისინი უმცირესობის მოძრაობასთან და დამოკიდებულების საკითხში.

პოლიტმა შემდეგ აღნიშნა, რომ გენსაბჭოს პოლიტიკა ამ საკითხში შეთანხმებულია მუშათა პარტიის ლივერპულის კონფერენციის გადაწყვეტილებებთან. ამ კონფერენციამ მიიღო დადგენილება კომუნისტების გამორიცხვის შესახებ მუშათა პარტიიდან.

„ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობის ლიდერები, რომლებიც ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ „გარედან ჩარევის“ — სთქვა პოლიტმა, — თითონ სიამოვნებით ბაძავენ ერთა ლიგასთან არსებულ შრომის ბიუროს და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ ცენტრებს“.

პოლიტმა პასუხი გასცა ზოგიერთ დელეგატების ირონიულ შენიშვნებზე და განაცხადა:

„ტრედიუნიონების კონგრესს რა თქმა უნდა შეუძლია უარჰყოს უმცირესობის მოძრაობის ბატერსის კონფერენციის დადგენილებები, მაგრამ ამ დადგენილებებს მუშები აღმოუჩენენ სულ უფრო და უფრო დიდ დახმარებას“. შემდეგ პოლიტმა მოაგონა სიტრინს, რომ ვილიამსი და პერსელი თავის დროზე ეხმარებოდენ რუს ამხანაგებს პროფინტერნის წესდების პროექტის შედგენაში. ამასთან ერთად პოლიტმა ხაზი გაუსვა, რომ „ვილიამსი იმ დროს სცდილობდა წასულიყო თვით ზინოვიევზე უფრო შორს“.

შემდეგ გამოსულმა ტომასმა განაცხადა: „ყველა ცალკე პროფკავშირები უზრუნველჰყოფენ უმცირესობისათვის თავისი აზრების გამოთქმას საკუთარ ორგანიზაციების შიგნით. ამიტომ საჭირო აღარ არის საერთო ინგლისური უმცირესობის მოძრაობის არსებობა“.

დასასრულ ტომასმა გაიმეორა მასზე წინ გამოსულ ყველა ორატორების მტკიცებები იმის შესახებ, რომ საჭიროა „უზრუნველვყოთ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა „გარეშე გავლენისაგან“. „უმჯობესია გვქონდეს ჩვენი საკუთარი იდეები — სთქვა ტომასმა, — ვიდრე შემოვზიდოთ ეს იდეები ჩინეთიდან, რუსეთიდან და ტიმბუქტუდან“.

მთელმა რიგმა დელეგატებმა მოითხოვა კენჭის ყრა მანდატების მიხედვით საკითხზე ბიჩემის რეზოლიუციის უარყოფის შესახებ. ინგლისის მემადაროეთა ფედერაციის თავმჯდომარე სმიტმა იკითხა, ხომ არ შეიძლება კენჭის ყრის გადადება ხვალ დილამდე იმ მიზნით, რომ მემადაროეთა ფედერაციის დელეგაციას მისცეს საშუალება გამოიტანოს გადაწყვეტილება თავის პოზიციის შესახებ ამ საკითხში. (სმიტი გამოვიდა იმ მიზნით, რომ მიეცა მემადაროეთა მთელ დელეგაციისათვის კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების საშუალება. გენერალურ საბჭოს მე-92 §-ის უარყოფის წინააღმდეგ). მაგრამ მემადაროეთა დელეგაციის უმცირესობა სცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ეს საკითხი გადაეცეს განსახილველად მემადაროეთა რაიონულ ორგანიზაციებს.

თუ ეს ცდები წარმატებით დაბოლოვდა, მაშინ მემადაროეთა ფედერაციის დელეგაცია თავს შეიკავებს ბიჩემის რეზოლიუციის შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებისაგან. კამათმა გამოარკვია, რომ გენერალურმა საბჭომ მოახდინა ყველა ძალების მობილიზაცია და არ შეჩერებულა არავითარ ფანდების წინაშე იმ მიზნით, რომ მიაღწიოს მემარცხენე ფრთის გადამწყვეტ დამარცხებას საკითხში უმცირესობის მოძრაობასთან დამოკიდებულების შესახებ. დელეგატების წრეებში ხაზს უსვამენ, რომ მემარჯვენე ფრთის ლიდერების გამოსვლის ლეიტმოტივს წარმოადგენდა იმის მოთხოვნილება, რომ „საბჭოთა პროფკავშირები არ ერეოდენ ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობის საქმეებში“.

გენერალურ საბჭოს, შესაძლებელია აგრეთვე მიზნად ჰქონდა დასახული შესაფერ განწყობილების შექმნა 8 სექტემბერს მოსალოდნელ კამათისათვის საკითხზე ინგლისის პროფკავშირთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ, როდესაც, ალბად, გაირჩევა საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაცია (ადს).

ბურჟუაზია კმაყოფილია ხიკსით

ედინბურგი, 6 სექტემბერი. მემარცხენე ფრთის გამარჯვებები ინგლისის პროფკავშირთა ედინბურგის ყრილობაზე არ უნდა იქნას ზედმეტად შეფასებული. როგორც სჩანს გენერალურ საბჭოს ამ გარემოებამ მოულოდნელად მოუსწრო და მემარცხენე ფრთის გამარჯვებები აიძულებს მას სიფრთხილის მეტი ზომები მიიღოს მომავალ სხდომებზე. ჩამოყალიბებულმა მემარცხენე ფრთამ, რომელშიაც შედის 25 დელეგატი, გაიმარჯვა შეტაკებები „ველოურების“ დახმარებით. მაგრამ დელეგატების ძირითადი მასა ეკუთვნის მემარჯვენეებს.

ლონდონის მთელი ბურჟუაზიული პრესა იწონებს ხიკსის გამცემლურ სიტყვას ტრედიუნიონიზმის ედინბურგის ყრილობაზე. „ტაიმს“-ი სწერს: „ხიკსის სიტყვა წარმოადგენს კარგ ნიშანს, რომელსაც შეუძლია გახდეს ინგლისის ტრედიუნიონების პოლიტიკის ახალ მნიშვნელოვან შებრუნების დასაწყისად“. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ შრომისა და კაპიტალის შერიგების მოწოდებისათვის ხიკსს შეიძლება ეპატიოს ყველაფერი, რაც მან წარმოსთქვა კაპიტალისტურ წყობილების უსამართლობის შესახებ“.

„მორნინგ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ დროა ხიკსმა [illegible]ყვიტოს ორ სკამზე ჯდომის უიმედო [illegible] ტოს კავშირი რუ[illegible] ლიბერალური პრესაც იწონებს ხიკსის სიტყვას. ლიბერალურ პრესის საერთო თვალსაზრისი კარგად არის გამოთქმული „დეილი ნიუს“-ის მიერ, რომელიც ხიკსის სიტყვას უწოდებს „გაბედულ აქტს, დამაიმედებელ ნიშანს მომავლისათვის“.

ელექტრონის სკამი არ კლავს ადამიანს

კოპენჰაგენი, 6 სექტემბერი. ერთი დანიელი ექიმი ირწმუნება, რომ დასჯა ელექტრონის სკამზე სავსებით არ კლავს დასჯილს. დანიის ლიტერატორმა **ბარფორდმა** წინადადება მისცა შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებს, გამოსცადონ მასზე საჯარო კონტროლის ქვეშ აღნიშნულ ექიმის ნათქვამი, დასაჯონ ის სიკვდილით ელექტრონულ სკამზე და საშუალება მისცენ ექიმს სცადოს მისი გამოცოცხლება სიკვდილით დასჯის შემდეგ, იმ პირობით კი, თუ ცდა უშედეგოთ დამთავრდება და ის მოკვდა, დაუნიშნონ მის ცოლს მუდმივი პენსია (ადს).

ამხ. ბრუელ

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს პარიზის განყოფილების გამგე. ის გააძევეს საფრანგეთიდან იმ ცნობების გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ფრანგულ გაზეთებში იყო მოთავსებული.

ჯარისკაცების დაპატიმრება

ვარშავა, 6 სექტემბ. გროდნოში დააპატიმრეს ადგილობრივ გარნიზონის 4 ჯარისკაცი, რომელთაც ბრალად ედებათ კომუნისტური აგიტაცია (ადს).

გემის დაკარგვა

ოსლო, 6 სექტემბ. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა ნორვეგიის გემი „ტორბერნი“, რომელიც თევზის საჭერად იყო გაგზავნილი ირლანდიის წყლებში. შიშობენ, რომ გემი დაიღუპა ქარიშხალის დროს. გემის რაზმი შესდგებოდა 15 კაცისაგან (ადს).

ქარიშხალი შავ ზღვაზე

სიმფეროპოლი, 7 სექტემბერი. შავი ზღვის სანაპიროებზე ოდესიდან ნოვოროსიისკისადმი უჩვეულო ქარიშხალი მძინვარებს. იალტაში ზღვის ღელვა ისე დიდია, რომ ტალღა სწვდება შუქურას და ნავთსადგურს. გემების მიმოსვლა შეჩერებულია (ადს).

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპ. ა.-კ. საოლქო კომიტეტს

(მისალმება მანგლისის პარტსკოლის კურსანტებისაგან)

ჩვენ, მანგლისის პარტკურსანტები გამგზავრების წინ მხურვალე სალამს ვუძღვნით ჩვენი პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს. გამოვსთქვამთ რა კმაყოფილებას და მადლობას კურსების შედეგებით, ჩვენ ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ გავაფართოებთ და გავამაგრებთ ლენინიზმის საფუძვლებზე ჩვენს ცოდნას, მტკიცედ გავატარებთ სწორ პარტიულ ხაზს და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით აქტიურად ვიმუშავებთ სოციალიზმის მშენებლობისათვის.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს ლენინიზმს!
მანგლისის პარტსკოლის კურსანტები.

მტკიცეთ დავიცვათ პარტიის მთლიანობას

(ხონის ორგანიზაციის ხმა)

ზოგიერთ პროვინციალურ ორგანიზაციებში, სადაც ერთ დროს მუშაობდა რომელიმე ოპოზიციონურად განწყობილი „ლიდერი“, ოპოზიციონური ჩხირკედელაობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო. აქ პარტიის გამთიშველ მუშაობას ორგანიზაცია ხშირად ვერ უწევდა სათანადო კოლექტიურ წინააღმდეგობას. ამის გამო ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობამ ყველაზე მეტი ღრმა კვალი დასტოვა ზოგიერთ პროვინციალურ ორგანიზაციაში.

ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციათ ითვლებოდა ხონის ორგანიზაცია. მაგრამ ცეკას ხაზის სწორ განმარტებამ და არსებულ სამეურნეო მიღწევათა პოპულიარიზაციამ ფარდა ახადა ოპოზიციის იდეურ უბადრუკობას და ხელი შეუწყო ორგანიზაციის გაჯანსაღებას.

ასე მაგალითად, მოისმინა რა მოხსენება შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ,

ორგანიზაცია აცხადებს, რომ მან სძლია ოპოზიციონურ განწყობილებას და გაერკვა პარტიის სწორ ხაზში, რომ მაზრკომის და ცეკას მიერ განმტკიცებულ შინაპარტიულ დემოკრატიამ განკურნა ოპოზიციონურ შეხედულების ცალკე ამხანაგები, რომლებიც ეხლა გულახდილათ აცხადებენ, რომ ისინი სცდებოდენ და მომავალში აღარ განიმეორებენ პარტიისათვის ამ დამღუპველ შეცდომებს.

ხონის ორგანიზაცია არ დაუშვებს ცეკას წინააღმდეგ ბრძოლას „შინაპარტიული დემოკრატიის“ დროშის ქვეშ. ხონის ორგანიზაცია მტკიცედ დაიცავს დირექტივას პარტიულ პოლიტიკის და შინაპარტიულ პოლიტიკის დემოკრატიის საკითხებში.

გაუმარჯოს ლენინურ საკავშ. კომპ. (ბ) ცეკას.
გაუმარჯოს საქ. კომპ. (ბ) ცეკას!
გაუმარჯოს ოპოზიციასთან ბრძოლას!
გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ

გუშინ სალამოს სადგურ ნავთლუღის კლუბში შესდგა მე-8 რაიონის უჯრედების ჯგუფური კრება, კრებას დაესწრო 800 კაცი.

კრებამ მოისმინა ამხ. **ქართველიშვილის** მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც: კ: და ც. ს: კ: გაერთიანებულ პლენუმის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა. კრებაზე გამოვიდა ყოფილი ოპოზიციონერი ამხ. **ბობროვი**, რომელმაც განაცხადა, რომ ის სტოვებს ოპოზიციის რიგებს. „ოპოზიციის მუშაობის მეთოდები მე ვსცანი არასწორად და ამიტომ ვშორდები მას“. შემდეგ ამხ. ბობროვი შეეხო ადგილობრივ ოპოზიციონერების, ყოფილ უკლონისტების პლატფორმას, „მათ იპოვეს საერთო ენა ოპოზიციასთან, მაგრამ ამავე დროს მათ აქვს თავისებური სახე; მათი უმწეო პლატფორმა გამოხატავს ნაციონალურ განკერძოებას“ „პატიოსნად და გულწრფელად ვ[illegible]ძობ ამხ. **ბობროვი** — რომ გამოვდივარ ოპოზიციის რიგებიდან, რათა პარტიის მთლიან რიგებში ახალი ძალღონით და ახალი ენერგიით ვიბრძოლო პროლეტარიატის საერთო საქმისათვის“. ყველა დანარჩენი მოითხოვდენ სასტიკი ზომების მიღებას ოპოზიციონერების წინააღმდეგ. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ქართველიშვილმა, რომელმაც პასუხი გასცა მთელ რიგ შეკითხვებზე. ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. **ქართველიშვილის** მოხსენება ც. კ. და ც. ს: კ: პლენუმის შედეგების შესახებ, სადგ. ნავთლუღის (რკ.-გზ.), ქალაქის სასაკლაოს და „ზაკპოგრუზის“ უჯრედების გაერთიანებული ჯგუფური კრება მთლიანად და სავსებით იწონებს და უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს.

მუშათა კლასის ბრძოლაში გამობრძმედილი ლენინის პარტია ყოველთვის იყო, არის და იქნება ლენინიზმის ერთგული გამტარებელი.

საერთო კრება იძლევა აღთქმას, რომ იბრძოლებს ოპოზიციის უმნიშვნელო ჯგუფის უტაქტო გამოსვლების წინააღმდეგ, რომლებიც დამღუპველი არიან არა მარტო პარტიისა და მისი მთლიანობის, არამედ მთელი პროლეტარიატისაც.

ამიტომ კრება მოუწოდებს ყველა პარტ., პროფ. და სამეურნეო ორგანიზაციებს კიდევ უფრო შემჭიდროვდენ, რათა ერთსულოვანი პასუხი გასცენ გათავხედებულ ოპოზიციას, რომლის მუშაობა ხელსაყრელია ანტი-ბოლშევიკურ პარტიებისათვის.

თვითეული აქ მყოფი ჩვენთაგანი ფიცს სდებს პროლეტარიატის წინაშე სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ყველასთან ვინც გაბედავს ლენინის გზიდან ჩამოშორებას, მის დამახინჯებას და სხვ., და გასაქანი არ მისცეს არც „ტროცკიზმს“ და არც „ზინოვიევიზმს“.

ჩვენს პარტიაში ოპოზიციის გამოსვლა არის ყველა მტრების — კონტრ-რევოლიუციონერების იერიშის მომზადება დიდი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ; ეს უკვე აშკარად სჩანს საზღვარგარეთის კონტრ-რევოლიუციის საქმიანობიდან.

უკანასკნელი კატეგორიული გაფრთხილება, რომელიც ცეკამ და ც. ს. კომისიამ მისცა ოპოზიციის ლიდერებს, წარმოადგენს სწორ ნაბიჯს უკანასკნელთა გამოსაცდელად და შესამოწმებლად, თუ რამდენად აქვთ შეგნებული მათ ახლანდელი გართულებული მდგომარეობა.

ბურჟუაზია თვალყურს ადევნებს უთანხმოებას ჩვენ პარტიაში დაუცდის მოხერხებულ მომენტს, რომ ომში ჩაითრიოს საბჭოთა კავშირი. მაგრამ ჩვენი [illegible]რთული იყო მშვიდობიანობისაკენ და ასეთივე დარჩება ის შემდეგშიაც.

საერთო კრება ფიქრობს, რომ ჩვენმა ფოლადისებურმა დისციპლინამ ბოლო უნდა მოუღოს ყველას ვინც ამხედრებულია ლენინის პარტიის დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ.

ჩვენ ლენინის ცეკასთან ერთად ვართ ,მასთან' ერთად ვიქნებით და ვიბრძოლებთ მომავალშიაც.

ამასთან ერთად საერთო კრება სთხოვს უმაღლეს ორგანოებს უსასტიკესი ზომების მიღებას პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა, ვინც ხელს უშლის ჩვენს მუშაობას, გამოცხადებულ იქნას მუშათა კლასის მოღალატედ და მის წინააღმდეგ მიღებულ იქნას ყველა ზომები თვით კომუნისტურ პარტიის რიგებიდან გამორიცხვამდე“.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

თბილისის კომიტეტის პლენუმზე

გუშინ, პროფკავშირების დარბაზში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თ. კ. პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) თბილისის საბჭოს მასიურ მუშაობის შესახებ, 2) პარტკონფერენციების ჩატარება.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მესხი**. ქალაქის დეპუტატების საბჭო — დაიწყო მომხსენებელმა — მასიურ მუშაობას აწარმოებდა თბილ. კომ. დირექტივის მიხედვით. საბჭოს მუშაობა და სექციების საქმიანობა საგრძნობლად გამოცოცხლებულია. დაცულია ანგარიშების ჩატარება ამომრჩეველთა წინაშე, მუშათა აქტივის შექმნა და მათი ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში.

რაც შეეხება საბჭოს შემადგენლობას, განაცხადა მან — აქ სურათი ასეთია: მუშათა დეპუტატების რიცხვი საბჭოში თითქმის იგივეა, რაც იყო, მხოლოდ (მცირეოდენი გადიდება მოხდა), დაკლებულია მოსამსახურეთა პროც. და მომატებულია უპარტიო დეპუტატების რიცხვი.

რაც შეეხება სექციების მუშაობას, ეს მუშაობაც ნაყოფიერია, გეგმა სავსებით შესრულებულია.

ამ მოკლე ხანში ჩავატარეთ საანგარიშო კამპანია, რომელშიაც მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. საანგარიშო კამპანიის ორგანიზაციულად ჩატარების მიზნით შექმნილი იყო 4 რაიონული კომისია.

საბჭოს წევრებს დაურიგდათ სათანადო ლიტერატურა. საანგარიშო კამპანიამ დაგვანახა, რომ მუშებს უმთავრესად აინტერესებდათ კომუნალურ მეურნეობის საკითხები და ეკონომიურ ხასიათის კითხვებიც. აყვანილია აღრიცხვაზე აქტივისტი საბჭოს წევრები, რომელთაც ვიყენებთ პრაქტიკულ მუშაობაში.

შემცირებულია აგრეთვე 10 პროც.-მდე სამეურნეო ხარჯები.

რადგანაც მდგომარეობა ამას მოითხოვს, ჩვენ ვფიქრობთ, აღმასკომთან შევქმნათ მუშ. გლეხ. ინსპექცია.

გადადის რა მასიურ მუშაობის სუსტ მხარეებზე, მომხსენებელი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ საბჭოს კანდიდატები არ არიან ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში, რასაც მომავალში უნდა მიექცეს ჩვენი ყურადღება.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩამოვაყალიბოთ საბჭოსთან — სამხედრო სექცია, რომელიც წარსულში არსებობდა, მაგრამ დაიშალა. დღეს კი მისი შექმნა აუცილებელია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოვიდენ შემდეგი ამხანაგები: **გუდავაძე, განიმოვი, როსტიაშვილი, გელელაძე, რუბენი, ივანოვ-კავკასიელი** და სხვა.

გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ მიღწევებს და მიუთითებდენ მასიურ მუშაობის სუსტ მხარეებს. ამხ. მესხის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო კონკრეტიული წინადადებები, მასიურ მუშაობის ირგვლივ.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ასრიბეკოვი** თბ. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით — განაცხადა მან — ამ დღეებში დაიწყება უჯრედების გადარჩევის კამპანია, ამას უნდა დაუკავშირდეს პარტ-კონფერენციების მოწვევის წინასწარი მუშაობა.

მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს, გადამწყვეტ ბრძოლას ოპოზიციონურ უკლონისტურ ჯგუფების გამოსვლებთან.

არჩევნების ჩატარების დროს უნდა დაცული იქნას შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპები. თ. [illegible] ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის წინაშე მდგომ ამოცანების გადაჭრაზე. მან უნდა მოახდინოს [illegible] მუშაობის აღნუსხვა და [illegible]. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მასიურ მუშაობის საკითხებს და ჩვენი ორგანიზაციის რეგულიარულ ზრდის და მის მოწესრიგების საქმეს.

ც. დ—ძე.

უჯრედთა ბიუროების არჩევნები

ამ დღეებში თბილისის ორგანიზაციაში დაიწყება უჯრედთა ბიუროების არჩევნები.

თბილისის კომიტეტმა უკვე გამოაქვეყნა ცირკულიარული წერილი, სადაც აღნიშნულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

როგორ უნდა იქნას ჩატარებული ბიუროების ხელახალი არჩევნები? დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში უჯრედის საქმიანობის შესამოწმებელ კომისიის მუშაობას, რომელიც არჩეული უნდა იქნას უჯრედის საერთო კრებაზე.

საჭიროა, პირველ ყოვლისა ამ კომისიაში არჩეულ იქნან უფრო თავისუფალი და პარტმუშაობას გაცნობილი ამხანაგები. გარდა ამისა კომისიებმა უნდა წინდაწინვე დასახონ უჯრედის შემამოწმებელი მუშაობის გეგმა. მთავარი, რაც უნდა იპყრობდეს ყურადღებას უჯრედების მუშაობაში არის შემდეგი საკითხები:

ბრძოლა იდეურ გადახრების წინააღმდეგ; ბრძოლა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის გასაძლიერებლად; ფასების დაკლების კამპანიაში მონაწილეობის მიღება და ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების დაწევისათვის. ესაა მიმდინარე მთავარი ამოცანები, რომელსაც უთუოდ უნდა ეპოვნათ გამოძახილი თვითეულ უჯრედის მუშაობაში.

კომისიაც უჯრედის მუშაობის შემოწმებას უმთავრესად უნდა მიუდგეს ამ ამოცანების ჩატარების შემოწმებით. გარდა ამისა, კომისია უნდა გაეცნოს უჯრედის ორგანიზაციულ მუშაობას, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ვ. გ—ა.

მიღწევები კულტურულ ფრონტზე

(ქუთაისის ორგანიზაცია)

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა წარსულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

პარტმუშაობის ამ დარგის სათანადო დონეზე დაყენების და საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის სწორი ხელმძღვანელობის მიზნით განყოფილებასთან პირველ რიგში ჩამოყალიბებულ იქნა საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგია. სხვა საგულისხმო საკითხებთა შორის მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე საკითხი კომუჯრედებში კომისიონურ მუშაობისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობას წინეთ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. კომისიები არსებობდენ მხოლოდ ქაღალდზე. ამ ნაკლის გამოსასწორებლად განყოფილებამ მოიწვია უჯრედთა ბიუროების თათბირი, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება უჯრედებში აგიტპროპორგანიზატორთა ინსტიტუტის შემოღების, მისი დანიშნულების და მუშაობის მეთოდის შესახებ. ამ თათბირის შემდეგ უჯრედებს დაეგზავნა სადირექტივო ცირკულიარული წერილი ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ. ამჟამად ქალაქსა და მაზრაში არსებულ ყველა კომუჯრედებთან (გარდა სუსტი უჯრედებისა და საკანდიდატო ჯგუფებისა სოფლად) არსებობენ აგიტპროპკომისიები და ორგანიზაციები, რომელთა თათბირი ეწყობოდა პერიოდულად და კეთდებოდა მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ აგიტპროპორგანიზატორები ესწრებოდენ აგრეთვე აგიტპროპკოლეგიის სხდომებს. ყველა ზემოჩამოთვლილმა ღონისძიებებმა მეტად გააცხოველა უჯრედების მუშაობა და უჯრედის წევრთა აქტივობა.

პარტიულ განათლების საკითხი მაზრაში მეტად ცუდ პირობებში იყო. 1925-1926 წ. საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვით — მაზრის პოლიტგანის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ხუთი სტაციონალური პოლიტსკოლის სკოლა და თითეული ხელმძღვანელის ხელფასი უდრიდა 25 მანეთს. ცხადია, ამ პირობებში პარტგანათლების საკითხის დატოვება წარმოუდგენელი იყო, საჭირო იყო ამ სკოლების ქსელის და ხელმძღვანელთა ხელფასის გადიდება. პრეზიდიუმმა მიაქცია ამას ყურადღება. მან შესძლო საანგარიშო პერიოდში 46 პოლიტსკოლის გახსნა; აქედან 34 სტაციონალური და 12 მოძრავი. სტაციონალური სკოლის ხელმძღვანელის ხელფასი უდრიდა — 100 მ., ნაცვლად 25 მ. ამ რიგათ სკოლებდამთავრებულთა შემადგენლობა შემდეგია: 34 სტაციონალური სკოლა — დაამთავრა 1.004 მსმენელმა, აქედან მამრობითი სქესის — 946, მდედრობითის — 158; ს. კ. პ. (ბ) წევრი — 260, კანდიდატი — 271, ა. ლ. კ. კ. წევრი — 364 და უპარტიო — 208; მუშა — 227, გლეხი — 732, და მოსამსახურე — 145. 12 მოძრავი სკოლა დაამთავრა — 349 მსმენელმა; აქედან მამრობითი — 285, მდედრობითი-კი 64; ს. კ. პ. (ბ) წევრი — 93, კანდიდატი — 61, ა. ლ. კ. კ. წევრი — 137 და უპარტიო — 58, სკოლებში ჩამოყალიბებულ იქნა თვითგანვითარების წრეები, რომლის ნიადაგი პოხიერდებოდა მაცადინეობის პროცესში. ამ წრეების ხელმძღვანელობას შეძლების დაგვარად უწევდა თვითგანვითარების სამაზრო ბიურო, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა განყოფილებასთან. ამავე ბიუროს ინიციატივით ქუთაისში მოწყობილ იქნა აგიტპრომუშაკთა კაბინეტი.

ლენინიზმის შესწავლის მიზნით ქალაქ ქუთაისში ჩამოყალიბებულ იქნა ლენინიზმის პირველი და მეორე საფეხურის წრე, რომელმაც ჩაატარა რამდენიმე მაცადინეობა წინასწარ გამომუშავებულ პროგრამის და თეზისების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოფლის უჯრედების მუშაობის გამოცოცხლების მიზნით მოწვეულ იყო მათი მდივნების ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები, რამაც კარგი ნაყოფი მოგვცა.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა აგრეთვე ქუთაისის საბჭოთა პარტიულ სკოლას. ამ სკოლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა; მეთოდური, ორგანიზაციული და სხვა, ისმებოდა კოლეგიის სხდომაზე, რის შემდეგ სკოლას მუშაობის ნორმალურ მსვლელობისათვის ეძლეოდა პრაქტიკული მითითებანი.

ქუთაისის მაზრაში ცოდნით და პედაგოგიური მომზადებით აღჭურვილი მასწავლებლების რაოდენობა საგრძნობ პროცენტს შეადგენს. მაგრამ მეორე მხრით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ მაზრის მასიური მასწავლებლობის მნიშვნელოვანი რაოდენობა პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის მოუმზადებელია.

ამ მხრივ მიღებულია ზომები მათ გადასამზადებლათ. გაიგზავნა თბილისში საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე — 13 მასწ. საბუნებისმეტყველო კურს. — 12. გლეხთა ახალგაზრდობის მასწავლებელთა კურსებზე — 5.

მაზრაში არსებობს 45 სათემო ქოხ-სამკითხველო და 18 წით. კუთხე, სამკითხველოებს ეგზავნება შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალი სოფელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“.

ქოხ-სამკითხველოებთან ჩამოყალიბებულია შემდეგი წრეები: აგრონომიული, სანიტარული, დრამწრე, ლიტერატურული, ანტირელიგიური, სამხედრო კუთხე, სწარმოებს საცნობარო მუშაობა და გაზეთის ხმა მაღალი კითხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოწვეული იყო ქოხ-სამკითხველოს გამგეთა 1-თვიანი გადასამზადებელი კურსები, რამაც ხელი შეუწყო მუშაობის გამოცოცხლების საქმეს.

ქ. ქუთაისში არსებობს 7 წიგნ-საცავი სამკითხველო, გასულ წელში კი არსებობდა — 5, ორი გახსნილია წელს, მათ შორის 1 — ებრაელთა. წიგნთ-საცავებში თანამედროვე ლიტერატურის რაოდენობა გაიზარდა 70 პროც. მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისში სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის, რომელიც დასრულდება ამ მოკლე ხანში.

ს. მესხი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკაში

სასოფლო უჯრედების მუშაობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ სამდივნომ დაამტკიცა პრაქტიკული წინადადებანი რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო უჯრედების მუშაობის გაფართოებას.

ცეკამ აუცილებლად სცნო:

1) განაგრძოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა გლეხობის ფენებათ დაყოფის საკითხში.

2) სასოფლო უჯრედებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის სამეურნეო საკითხებზე, მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირებაზე სამანქანო და სხ. სახის კოლექტიურ ამხანაგობათა (უმთავრესად ღარიბ გლეხთაგან) მოწყობაზე, ღარიბთა ფონდის შექმნაზე და სხ.

3) სასოფლო უჯრედების ყურადღება მიქცეულ იქნას მოსახლეობის გასამხედროებაზე და ნებაყოფლობით საზოგადოებათა ([illegible], თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება და სხვ. მუშაობის გამოცოცხლებაზე.

4) უჯრედების მასიური მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას მოსახლეობისათვის კულტურულ და ორგანიზაციულ დახმარების დარგში: მიწით სარგებლობის ფორმათა გაუმჯობესება, სას.-სამ. არტელების მოწყობა და სხ.

ცეკა აღნიშნავს, რომ უჯრედები თავიანთ მუშაობაში საკმაო პოლიტიკურ სიმტკიცეს იჩენენ და ძირშივე სპობენ ოპოზიციონურ მიმდინარეობათა ყოველგვარ ჩანასახს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

1924 წლის მომგებიან სესხის ტირაჟი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 7 სექტემბერი. საღამოს სხდომაზე გათამაშებული იქნა 1924 წლის სესხის მსხვილი მოგებანი. ხუთ-ხუთი ათასი მოიგოს ობლიგაციებმა №007080, სერია 14; № 047581 სერია 20; № 285506 სერია 17, № 1606011 სერია 14, № 181485 სერია 10; № 769635 სერია 13 (ადს).

ავტომობილის ქარხანა

მოსკოვი, 7 სექტემბერი. სახკომსაბჭომ დაავალა მოსკოვის საბჭოს 1927—28 წლისათვის დაიწყოს ავტომობილის და ველოსიპედის ქარხნის შენება. ქარხანამ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 10.000 ავტომობილი (ადს).

სუნ-ცზინ-ლინი და ევგენი ჩენი მოსკოვში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 7 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა სუნ-იატ-სენის ქვრივი **სუნ-ცზინლინი** და უხანის მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი ჩენი**.

სუნ-ცზინ-ლინი ესალმება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს

სვერდლოვსკი, 6 სექტემბერი. სუნ-ცზინ-ლინმა (სუნ-იატ-სენის ქვრივმა), რომელიც მიემგზავრებოდა მოსკოვში, სვერდლოვსკში გავლის დროს რუსეთის სააგენ. სვერდლოვსკელ კორესპონდენტს გადასცა შემდეგი მისალმება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისადმი:

„მემარცხენე გომინდანის სახელით ვესალმები საბჭოთა კავშირის მუშებს. მემარცხენე გომინდანი წარმოადგენს რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის ჩინეთის მშრომელთა განთავისუფლებისათვის უცხოელების იმპერიალიზმისაგან და შინაურ ექსპლოატატორებისაგან. მემარცხენე გომინდანი მოქმედობს ჩაგრულ მილიონიან მასების სახელით, რომელიც თავის რიგებიდან იძლევა ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს და მებრძოლთ ჩინეთში მშრომელთა ძალაუფლების დამყარების საქმისათვის.

ვესალმები რა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს ჩინეთის მრავალმილიონიან მშრომელი მასების სახელით, ვაცხადებ, რომ ის კავშირი, რომელიც არსებობს ჩინეთის რევოლიუციონერებსა და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონერებს შორის ურყევია. გომინდანის სახელით მომქმედ გენერლების და ცრუ ბელადების ღალატი ვერ ჩაშლის ჩვენს ძმურ კავშირს.

მე ბედნიერი ვარ, რომ წილათ მხვდა პირადათ გადამეცა მსოფლიოში პირველათ გამარჯვებულ პროლეტარიატისთვის ჩინეთის მშრომელთა ულრმესი მადლობა იმ სიმპატიებისათვის და დახმარებისათვის, რომელსაც უწევდა და დღესაც უწევს ის ჩინეთის რევოლიუციას.

სუნ-ცზინ-ლინ

—:—

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და ჩინეთის მშრომელთა მთლიანობას,
სუნ-ცზინ-ლინი.

სუნ-ცზინ-ლინის განცხადება

მოსკოვი, 7 სექტემბერი. გუშინ მოსკოვში ჩამოსულმა სუნ-ცზინ-ლინმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გადასცა გამოსაქვეყნებლად შემდეგი შინაარსის განცხადება:

„მე ჩამოვედი იმისათვის, რომ მადლობა გადაუხადო საბჭოთა კავშირის ყველა ერებს ყველაფერ იმისათვის, რასაც ისინი შეეცადენ რევოლიუციონური ჩინეთისათვის. იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ ჩინეთის მიერ წარმოებული ბრძოლის მძიმე წლებში მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო, რომლისთვისაც ჩვენ შეგვეძლო მივემართნა თანაგრძნობისა, ქომაგობისა და რჩევისათვის. თქვენი ხალხი მხარში ამოუდგა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთს. ამით რევოლიუციონურმა რუსეთმა შეასრულა თავისი, როგორც მსოფლიოს ჩაგრულ ერთა მეგობრის მოვალეობა, და მე ვუხდი მას მადლობას ერთ ამ ჩაგრული ერის სახელით. ჩინეთში დაიწყო რეაქციის ხანა. რევოლიუციის ერთიანი ფრონტი გატყდა წელში. ადგილი ჰქონდა ღალატს, დეზერტირობას და ეროვნული მოძრაობის აზრის გადამახინჯებას. მილიონი დარაზმული გლეხები, გომინდანის მოძღვრების თანახმად, დაადგენ ბრძოლის გზას ლოზუნგის — „მიწა გლეხობას“ განხორციელებისათვის. აგრარული რევოლიუციის გარეშე შეუძლებელია ფეოდალიზმის დამხობა. რევოლიუციონური წინსვლა შეუძლებელია აგრარული რევოლიუციის განხორციელების გარეშე. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყველა იმათ, ვინც ილაშქრებს აგრარული რევოლიუციის წინააღმდეგ ე. ი. ათეულ მილიონ გლეხობის ეკონომიური განთავისუფლების წინააღმდეგ, თავი ამოჰყო კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ამჟამად მდინარე ვინცზის დაბლობი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინად წარმოადგენდა მსოფლიო იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ცენტრალურ პუნქტს. მთლიანად კონტრ-რევოლიუციის ხელშია. შავ, წარუშლელ ლაქად ედება ჩინეთს ის, რომ ამ სამარცხვინო კონტრ-რევოლიუციას სათავეში უდგას ისეთი ხალხი, რომელთა სახელებიც საზოგადოების თვალში მჭიდროთაა დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ საზოგადო აზრში გამეფდა გაურკვევლობა და მასთან დაკავშირებით მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს თავის ლიდერებისაგან ნაციონალური მოძრაობის ხასიათისა და მიზნების გაშუქებას. ამიტომ ჩემი გამომგზავრების მეორე, მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ის, რათა განუმარტო მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომ ისინი, ვინც ამჟამად ბატონობს მდინარე იანცზი-ცზიანის მთელ სიგრძეზე, ვინც თავის თავს სთვლის ნაციონალური ჩინეთის გამომხატველად, არ გამოხატავენ რევოლიუციონური გომინდანის სურვილებს და ხაზს, და მათ არა აქვთ უფლება ილაპარაკონ ჩინეთის მასების სახელით. რევოლიუციონურმა გომინდანმა სასტიკად გაილაშქრა დღ[illegible] კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ახალი ფეოდალური მილიტარიზმი წარმოიშვა რევოლიუციონურ დროშას მოღალატურად ამოფარებული. მან მოღალატურად ისარგებლა რევოლიუციის გამარჯვებების მატერიალური ნაყოფით. მაგრამ რევოლიუციის სული ისევე უდრეკია, როგორც წინად. ჩინეთის რევოლიუციონური მასების სახელით მე აქ ჩამოვედი იმისათვის, რომ აგიხსნათ და გიამბოთ, თუ რევოლიუცია, თუმცა ხანდახან მოკლებული მატერიალურ მიღწევებს, რამდენად მაინც ძლიერია, ცხოველმყოფელი და სრული იმედით ალსავსე. მე ვლაპარაკობ რევოლიუციონური ჩინეთის სახელით, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რა დღევანდელ ფეოდალურ მოხელეებთან და მილიტარისტებთან, რომლებიც დამკვიდრებულან იანცზი-ცზიანის დაბლობში. ეს პირნი, რომლებიც მოსხდენ ხალხს და დამთვრალი არიან პირადი მოგებისა და ძალაუფლების სურვილით, კვლავ ცდილობენ ჩინეთის გადაყვანას ფეოდალური ომების ჩვეულებრივ გზაზე. ამის შედეგია ქაოსი, მაგრამ ეს ქაოსი მხოლოდ გარეგნულადაა. ხოლო სინამდვილეში კი არის იგივე ძლიერი, მძლავრად ჩამოყალიბებული რევოლიუცია, რომლის დამხობა შეუძლებელია და რომლის ხმას მალე გაიგონებს მთელი მსოფლიო. ჩემი ჩამოსვლით მე ვასრულებ კიდევ მესამე მისიას. სიკვდილმა მოუსწრო სუნ-იატ-სენს თავის ერთ-ერთ უდიდეს მიზნის განხორციელებამდე. ეს მიზანი იყო — მოსკოვში ჩამოსვლა და პირადი თათბირის გამართვა ჩინეთის ძლიერ რევოლიუციონურ მეგობრებთან. მისი სიკვდილი დააჩქარა 40 წლის რევოლიუციონურმა ბრძოლამ და, ნაწილობრივ, რევოლიუციონურ დისციპლინის დარღვევამ იმათ მხრივ, ვინც ახლა ღალატობს მას და პრეტენზიას აცხადებს, რომ ლაპარაკობს სუნ-იატ-სენის პრინციპების სახელით. თავის სიკვდილის წინ სუნ-იატ-სენმა მთხოვა მენახა მოსკოვი მის მაგიერ. და ამიტომ მე ჩამოვედი აქ, რომ მისი სახელით და ჩინეთის რევოლიუციონურ მასების სახელით დავარწმუნო საბჭოთა რუსეთი იმაში, რომ ჩვენ სათანადოთ ვაფასებთ საბჭოთა კავშირის ხალხების თანამშრომლობას ჩინეთთან. გამოვთქვამ რწმენას, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება ბრძოლის წლებშიაც, რომელიც ჩვენ მომავალში გველის. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის მეოთხე მოწვევის ცაკის მეორე სესიის მოწვევა დანიშნულია 1927 წლის 15 ოქტომბრისათვის. სესიის დღის წესრიგი: 1) საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე. 2) სამეურნეო განვითარების შედეგები 10 წლის მანძილზე და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, 3) საბჭოთა კავშირის კულტურულ მშენებლობის შედეგები. 4)) საბჭოთა კავშირის მეოთხე მოწვევის ცაკის პირველ და მეორე სესიებს შორის მიღებული კანონები (ადს).

ბანდიტების საქმე

რიაჟსკი, 7 სექტემბერი. მოსკვის საგუბერნიო სასამართლოს სესიამ დაიწყო რიაჟსკის ბანდიტების საქმის განხილვა. სასამართლოს დარბაზი სავსეა ხალხით. ბანდიტებს მეთაურობდა პოპოვ ალექსინსკი, რომელსაც 1919 წ. მისჯილი ჰქონდა დახვრეტა, მაგრამ სასჯელი აიცდინა გაქცევით. პოპოვმა მოახერხა ყალბი საბუთებით რიაჟსკის მაზრაში დასახლება, აქ ის დაუახლოვდა ყოფილი ურიადნიკის ბალინინის ოჯახს და დანიშნულ იქნა სასურსათო გადასახადის ამკრეფ საგანგებო რწმუნებულად. პოპოვი ღებულობდა ქრთამს, ავიწროვებდა მოსახლეობას და სხ. პოპოვის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედება კარგად იცოდა მისმა მდივანმა კორნეევმა, რომელიც მოჰკლა პოპოვმა. ბანდიტების ჯგუფში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პარტიის წევრი გავრილოვი, რომელიც განაგებდა რიაჟსკის აღმასკომის სამეურნეო განყოფილებას. ბანდიტები ამხილა საგლეხო გაზეთის კორესპონდენტმა შილკოვმა. საქმე გაგრძელდება დაახლოვებით 12 დღე. (ადს).



გლეხკორი ამხ. ვ. ტ. შილკოვი, რომელმაც გამოამჟღავნა ბანდიტები

ინგლის-ფინეთის ჯაშუშების გასამართლება

ბრალდებულთა დაკითხვა

გოიერის ჩვენება

ლენინგრადი, 6 სექტემბერი. ინგლის-ფინეთის ჯაშუშების გასამართლება დაიწყო ბრალდებულ **გოიერის** დაკითხვით, რომელიც აცხადებს, რომ ის დაიბადა დანიაში, დაამთავრა ლენინგრადის საზღვაო სასწავლებელი და 1916 წელს დანიშნული იყო კოპენჰაგენში რუსეთის საზღვაო ატაშეს თანაშემწედ. მას ევალებოდა გერმანიის საზღვაო ძალების დაზვერვა. მაგრამ მისი პირდაპირი უფროსი იყო ინგლისის დაზვერვის წარმომადგენელი **ბოისი**, რომელმაც 1918 წელს გამოიწვია გოიერი შვეციაში და გაგზავნა ის არხანგელსკში. შემდეგ გოიერი მსახურობდა ჰელსინგფორსში, სადაც მუშაობდა დაზვერვაში, რომელიც მოქმედებდა ფინეთის წინააღმდეგ. 1920 წელს გოიერი თავს ანებებს სამსახურს დაზვერვაში და მუშაობს სავაჭრო გემებზე. 1925 წელს გოიერი კვლავ იწყებს სამსახურს ბოისთან, რომელმაც გაგზავნა ის ლენინგრადში, ლენინგრადში გოიერი დანიშნული იქნა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ინსპექტორის თანამდებობაზე, ერთი წლის შემდეგ გოიერი დააპატიმრეს და დააბრალეს წყალქვეშა ნავის გეგმის გადაცემა ინგლისის კონსულისათვის ლენინგრადში — პრესტონისათვის, მაგრამ ბრალდება არ დამტკიცდა და განთავისუფლებული იქნა. გოიერი ამის შემდეგ გაემგზავრება ოდესაში. აქ მუშაობას იწყებს კომერციული ფლოტის სამმართველოში და ამავე დროს აწვდის ცნობებს ინგლისის დაზვერვას.

ვალიცკი

გოიერის შემდეგ დაკითხული იქნა დობროფლოტის სამმართველოს საქმის მწარმოებელი **ვალიცკი**, რომელიც დაზვერვაში სამუშაოთ მოწვეული იყო გოიერის მიერ. თავის ჯაშუშური მუშაობისათვის ვალიცკიმ მოსწრო 400 მანეთის მიღება.

სასამართლომ საქმეს დაურთო საუბარი სახელმწიფო გაერთიანებული პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე იაგოდასთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ თათბირში ტერორისტული ოპერაციების მოწყობის გარშემო 1927 წლის გაზაფხულში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ინგლისელი ოფიცერი **როსბატი**, რომლისაგან გოიერი, მისივე თქმით, ღებულობდა რეველში ფულს ჯაშუშობისათვის.

გიორგი ხლოპუშინი

შემდეგ დაკითხულ იქნა **გიორგი ხლოპუშინი**, ანტონის ძმა; რომელმაც ამა წლის მარტში მოასწრო ფინეთში გადასვლა და საზღვარზე გადასვლის დროს მოკლა სანაპირო რაზმის ჯარისკაცი (ადს).

ბრალდებული გრუზდევი

ლენინგრადი, 6 სექტემბერი, 6 სექტემბერს დაკითხული იქნა ანტონ ხლოპუშინის ერთ-ერთი თანამშრომელი **გრუზდევი** — ოპტიკური ქარხნის მუშა. . გრუზდევმა დამნაშავეთ სცნო თავი მხოლოდ იმაში, რომ აძლევდა თავშესაფარს ანტონ ხლოპუშინს საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოსვლის დროს და იმაში, რომ არ აცნობა ხელისუფლებას ხლოპუშინის საეჭვო მოქმედების შესახებ.

ა. ხლოპუშინის ნათესავების დაკითხვა

შემდეგ დაკითხულ იქნენ ანტონ ხლოპუშინის ძმა და და, ორივემ აღნიშნა თავის პასუხში, რომ არაფერი იცოდენ ანტონის ჯაშუშობის შესახებ, მაგრამ არის იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ მათ არ შეიძლება არ სცოდნოდათ ძმების ანტონის და გიორგის ჯაშუშობა. (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მომავალი ომის სახე

II

როდესაც ლაპარაკია მზადებაზე მომავალ ომისათვის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთია მშვიდობიან დროში ყოველგვარ სამხედრო ტეხნიკურ მასალების და საშუალებების დამზადება, სამხედრო მანქანების აშენება-მოწყობა და მეორეა ამ მანქანების ომის დროს მოქმედება და მათი საჭირო მასალით უზრუნველყოფა. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ მანქანებს სჭირდებათ აუარებელი სათბობი და სარემონტო მასალა. თვითეული მანქანა ასეთი მარაგის თითქმის მთელს ტრანსპორტს მოითხოვს თავის ზურგში და ხარჯავს მას სულ რამდენიმე საათის განმავლობაში, მშვიდობიან დროს დამზადებული მარაგი ბევრი ბევრი სულ რამდენიმე თვე ეყოს მებრძოლ სახელმწიფოს და იგი თვით ომიანობის დროს. ომის პროცესში იძულებული იქნება ორკეცი მუშაობით ამზადოს ასეთი მასალა. მაგრამ, ჩვენ ვიცით რომ სამხედრო პროდუქციისათვის საჭირო ნედლი მასალის მეტ ნაწილს კაპიტალისტური სახელმწიფონი ღებულობენ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებიდან და თუ ეს ქვეყნები ომის დროს მოპირდაპირის მხარეზე იქნებიან, შესაძლებელია რომ აღნიშნული წყარო ნედლი მასალისა, სრულიად თუ არა, საგრძნობლად მაინც შეუმცირდეთ და რასაკვირველია ის დიდს გავლენას იქონიებს ტეხნიკურ საშუალებათა მოხმარებაზე.

ამიტომ მოსალოდნელია, რომ კაპიტალისტები შეეცდებიან ომის დასაწყისშივე მეტად ფართე და ინტენსიური სამხედრო მოქმედების განვითარებას, შეეცდებიან ომის გაგრძელების ხანის რაც შეიძლება შემცირებას. ომის დასაწყისშივე მთლად აამოძრავებენ და თავს მოუყრიან მთელს თავის სამხედრო ძალას, სამხედრო ტეხნიკას. ამ შემთხვევაში განვითარებული ტრანსპორტი მეტად დიდს დახმარებას გაუწევს. მაგრამ ამ გრანდიოზულ პროცესში, საკმარისი იქნება სულ მცირე შეფერხება, რომ ეს გეგმა სათავეში ჩაიფუშოს და საქმე აიწეწ-დაიწეწოს. აქ მხრით კაპიტალისტური ქვეყნები უზრუნველად ვერ ჩასთვლიან თავს, რადგანაც ომის წმინდა კლასობრივი ხასიათი თვით მებრძოლ სახელმწიფოს შიგნით შექმნის ისეთ მდგომარეობას, რომ კაპიტალისტების მიერ ამოძრავებული სამხედრო მანქანის წესიერი და შეუჩერებელი მუშაობა არ იქნება უზრუნველყოფილი. ომის პროცესის განვითარების შემდეგ ხანაში, როდესაც ომი უკვე საგრძნობ გავლენას იქონიებს მებრძოლ სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ დარგში, როდესაც თვალსაჩინო მსხვერპლი ადამიანთა და მატერიალური უკიდურესობამდე მიაღწევს, მაშინ რა თქმა უნდა სამხედრო მანქანის მუშაობას უფრო მეტი შემაფერხებელი მიზეზი აღმოუჩნდება. ამიტომ, ვიმეორებ, რომ მებრძოლი კაპიტალისტური სახელმწიფონი ომის დასაწყისშივე შეეცდებიან მთელი თავისი სამხედრო საშუალებების ამოძრავებას, რათა, როგორც იტყვით ხოლმე, ერთი მაგარი დაკვრით გაანადგურონ და მოსპონ მტერი. და თუ მოპირდაპირემ გაუძლო და აიტანა ეს პირველი მკაცრი შეტევა, მაშინ ცხადია რომ საბოლოო გამარჯვება მას შერჩება.

ასეთია ის მთავარი უპირატესობა, რომელიც აქვთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ომის წარმოებისათვის. ამას უნდა დაუმატოთ ფინანსიური ძლიერება, განვითარებული მრეწველობა, ერთი სიტყვით კაპიტალისტურ ქვეყნების უპირატესობა სამხედრო საქმეში მთლად ტეხნიკურ-მატერიალური ხასიათისაა.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, ომში მთავარ მომქმედ ელემენტად მაინც რჩება ადამიანი და აი ამ მხრივ როგორაა საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში? მოსახლეობის საერთო რიცხვის მიხედვით ჩვენ ვიცით რომ უპირატესობა კაპიტალისტების მოპირდაპირეს ეკუთვნის.

მართალია, სტრატეგია გვასწავლის, რომ ომის წარმოებაში ჯარის საერთო რიცხვის რაოდენობას იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც იმას, რომ შესძლო გადამწყვეტ მნიშვნელობის ადგილზე, საჭირო მომენტში თავი მოუყაროს მოპირდაპირესთან შედარებით ჯარის მეტს რიცხვს. მაშასადამე მთავარი აქ ჯარის სწრაფ გადაყვან-გადმოყვანის საქმის მოწყობაშია. ამის კარგს მაგალითს გვაძლევს წარსული ევროპის ომი, სადაც გერმანელების ჯარი, რიცხვით ბევრით ნაკლები მოპირდაპირესთან შედარებით, ახერხებდა გადამწყვეტ მნიშვნელობის ბრძოლის ველზე რიცხვით ბევრით მეტ ჯარის თავმოყრას.

ასეთი ხერხის წყალობით გერმანიის ჯარმა, რიცხვით ბევრათ ნაკლებმა, შესძლო დაუცხრომელი ბრძოლის წარმოება თითქმის ოთხი წლის განმავლობაში.

რასაკვირველია სტრატეგიის ზემოაღნიშნული პრინციპად და მომავალ ომშიაც ძალაში რჩება. მაგრამ, მომავალი ომის ხასიათი ჯარების საერთო რიცხვს ბევრით უფრო მეტ მნიშვნელობას აკუთვნებს და აი რატომ.

როგორც ვსთქვით, ტეხნიკის განვითარება ზარალს და დანაკლისს ჯარისას ყოველ ბრძოლაში იმდენად გაადიდებს, რომ ეს ჯარი მოითხოვს ხშირ ხშირ შევსებას; მას დასჭირდება გაწრთვნილი და მომზადებული მეომრების დიდი რეზერვი და ამიტომ ის მოპირდაპირე, რომელსაც საკმაოდ მოეპოვება მებრძოლთა ასეთი მარაგი შესძლებს უფრო ხანგრძლივ ომს და უფრო ადვილად შეავსებს ჯარის დანაკლის.

იმავე სამხედრო ტეხნიკის თვალსაჩინო განვითარება, როგორც წინად ვსთქვით, მოითხოვს უფრო სანდო, შეგნებულ და ამტანს მეომრებს. ევროპის უკანასკნელ დიდი ომის დროს გინდენბურგი აცხადებდა: „ეხლანდელი ომი მოითხოვს მეომრისაგან ნერვების დიდს დაჭიმვას, გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მტკიცე და ძლიერი ნერვების პატრონი აღმოჩნდებაო“. მომავალი ომი, რა თქმა უნდა მოითხოვს მეომრისაგან ბევრათ უფრო მტკიცე და მაგარ ნერვებს. ნერვების სიმტკიცე კი აუცილებლად გულისხმობს მეომრის შეგნებას და ომის იდეით გატაცებას. ამ მხრით ბურჟუაზიულ ქვეყნების ჯარი, რასაკვირველია, საკმაო გარანტიას არ იძლევა, — პირიქით კაპიტალისტების მოპირდაპირის დიდი უპირატესობა სწორედ ამაშია.

ი. გედევანიშვილი.

ახალი ცვლა

გაწვევის მეშვიდე დღე

ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში მიმდინარეობს შეუფერხებლად. კომისიის წევრები ფრიად კმაყოფილნი არიან მიმდინარე გაწვევით, გასაწვევთა სულიერი განწყობილებით და მათი ყოფა-ქცევით.

5 სექტემბერს კომისიის მუშაობას დაესწრნენ № ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილების, ტერიტორიალურ სამმართველოს და არმიის სანიტარული განყოფილების წარმომადგენლები მათ დაათვალიერეს გასაწვევი პუნქტი და აღნიშნეს, რომ გაწვევა მიმდინარეობს საუკეთესო პირობებში.

სამხედრო კომისარიატის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ გასაწვევი ახალგაზრდები ყოველმხრივ კმაყოფილი იყვნენ პუნქტზე. შენობა შეკეთებულია ახლად, მოწყობილია და სასვენებელი ოთახი სხვადასხვა გასართობებით, არის ცნობათა მაგიდა. ეზოში გასაწვევთათვის ეწყობა სხვადასხვა გასართობები, იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა. მოწვეულ იქნება მომღერალთა გუნდი რომელიც გამართავს კონცერტს.

სტუდენტების გაწვევა

მიუხედავად მრავალი განცხადებების, რომ სტუდენტები, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი და ჩარიცხული არიან უნივერსიტეტში, არ გაიწვევიან სამხედრო სამსახურის მოსახდელათ სწავლის დამთავრებამდე, ასეთები მაინც ცხადდებიან გაწვევ კომისიაში.

სტუდენტების გამოცხადება კომისიაში არ არის სავალდებულო. მათ მაგიერ შუამდგომლობა უნდა აღძრას სასწავლებლის ადმინისტრაციამ.

ის სტუდენტები კი, რომელნიც ირიცხებიან სათადარიგო მეუთაურთა სიებში, სამოსწავლო შეკრებიდან არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან განთავისუფლებულნი.

ელ.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

სიღნაღის ორგანიზაცია

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სიღნაღის ორგანიზაციას მთელ მაზრაში აქვს 35 უჯრედი. წევრთა რიცხვი ამჟამად აღემატება 1000 კაცს. წევრების უმრავლესობას შეადგენენ გლეხები, შემდეგ კი მუშა-მოსამსახურენი.

ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს საზოგადოების საბჭო, რომელსაც გამოყოფილი ჰყავს ყოველდღიური მუშაობის საწარმოებლად საქმიანი პრეზიდიუმი.

დიდი ხანი არ არის, რაც ორგანიზაცია შეუდგა გეგმიანი მუშაობის წარმოებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამჟამად ყურადღება მიპყრობილი აქვს მოსახლეობის ფართე მასებში აგიტაციის წარმოებას და ახალი წევრების მოზიდვას უჯრედებში.

„თავდაცვის კვირეული“-ს ჩატარებამ გამოიღო სათანადო ნაყოფი. იმის გარდა, რომ კვირეულმა შესძინა ორგანიზაციას საკმაო თანხა, თვით მშრომელი გლეხობაც ახლო გაეცნო თავდაცვის საკითხებს და საზოგადოების მნიშვნელობას.

მუშაობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად სიღნაღის ორგანიზაციასთან შექმნილ იქნება სხვა და სხვა სექციები, როგორიც არის სასროლო, ქიმიური, ავიაციის, საგიტაციო-საპროპაგანდო და სხვა.

ორგანიზაციის მიერ სოფ. წნორის წყალთან მოწყობილია ჰაეროდრომი. თვითმფრინავ „[illegible] მუშტი ჩემბერლენ“-ის ასაგებათ უკვე შეგროვილია მაზრაში 11.000 მანეთი.

ქალ. სიღნაღში მოწყობილია მოტირი, სადაც სწარმოებს პრაქტიკული სროლის შესწავლა.

სოფლად მუშაობა მიმდინარეობს მეტ წილად ქოხ-სამკითხველოებში და სამხედრო კუთხეებში.

სამხედრო ქრონიკა

ოქტომბრის 10 წლის თავი წითელ ჯარში

გამოქვეყნებულია მუშურ-გლეხურ წითელ არმიის პოლიტსამმართველოს ცირკულიარი ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ წითელი არმიის ნაწილებში.

ცირკულიარში ნათქვამია, რომ დღესასწაულის ჩატარების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას, ლენინის როლის მასში, მშრომელთა გმირობის და ბურჟუაზიის მოქმედების გაშუქებას წითელ არმიელების წინაშე.

დღესასწაული უნდა ატარებდეს მასიურ ხასიათს და უნდა ჩატარდეს მჭიდრო კავშირში ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

წითელი არმიის ცენტრალური სახლი

ამხ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალური სახლის ასაგებათ მოსკოვში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ გადასდო 300.000 მანეთი.

ლიტერატურა შვებულ წითელარმიელებს

1-ლ და მე-2-ე ქართ. დივიზიების პოლიტგანყოფილებებმა მიმართეს თხოვნით პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, დახმარების აღმოსაჩენად შვებულ წითელ არმიელებისათვის ლიტერატურის შესაძენათ.

შვებულებს მიეცემათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც გამოადგებათ მათ სოფლად მუშაობისათვის.

შვებულთა მომზადება სოფლად მუშაობისათვის

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მიერ დამტკიცებულია პროგრამა ბიბლიოთეკარების და წიგნის გამტარებელთა მოსამზადებლათ შვებულთაგან სოფლად მუშაობისათვის.

შვებულთა მომზადება იწარმოებს თვით ნაწილებში სემინარების სახით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხილის დამზადება

ბათომი, 5 სექტემბერი. ბათომში ჩამოვიდა სამომხმარებლო საზოგადოებათა მოსკოვის კავშირის ხილის დამამზადებელ განყოფილების გამგე ამხ. კუზმინი, რომელმაც ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ხილის დამზადების გეგმის შესახებ განაცხადა:

„აქამდე ხილის დამზადებას მოსკოვის ბაზრისათვის ვაწარმოებდით სხვადასხვა შუამავლების შემწეობით, მაგრამ მიმდინარე წლიდან სამომხმარებლო საზოგადოებათა მოსკოვის კავშირმა გადასწყვიტა უშუალოდ დასდოს ხელშეკრულებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ხილის დამამზადებელ რაიონებში. ამასთან დაკავშირებით სამომხმარებლო საზოგადოებათა მოსკოვის კავშირის ცენტრალურმა სამმართველ. გამომგზავნა მე კავკასიაში. მე უკვე დავსდე ხელშეკრულება აჭარწარმოკავშირთან 50 ვაგონი მანდარინის მიწოდების შესახებ. შემდეგში ხელშეკრულება გავრცელდება მიმდინარე წლის მთელ მოსავალზე. გარდა ამისა სწარმოებს მოლაპარაკება 75 ვაგონ ვაშლის მოწოდების შესახებ.

სამომხმარებლო საზოგადოებათა მოსკოვის კავშირი ყოველწლიურად ასაღებს მოსკოვის ბაზარზე 700 ვაგონ ხილს. ამ რაოდენობიდან განზრახულია ამიერ-კავკასიაში დამზადდეს 300 ვაგონი. წელს ჩვენ ცოტა დავიგვიანეთ და ამიტომ მხოლოდ მანდარინის, ვაშლისა და კაკლის დამზადებას შევსძლებთ ამიერ-კავკასიაში, მაგრამ მომავალში ვფიქრობთ დავამზადოთ აქ ყოველნაირი ხილი.

წელს ამიერ-კავკასიაში დავამზადებთ ორ მილ. მან. ხილს. სამომხმარებლო საზოგადოებათა მოსკოვის კავშირის დამოუკიდებლად გამოსვლა დამამზადებელი რაიონების ბაზრებზე ზედნადებ ხარჯების შეამცირებს 20—25 პროცენტით, რაც სავსებით ეთანხმება ფასების დაკლების დირექტივას და მომხმარებელთა ინტერესებს" (ადს).

წყალდიდობა აჭარისტანში

ბათომი, 7 სექტემბერი. 6 სექტემბერს მოსული ძლიერი წვიმა არაჩვეულებრივია უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა უდრის 220,7 მ.მ. დღე-ღამეში, ანუ 200.000 ვედროს ერთ დესეტინაზე. ყველაზე უფრო დიდი წვიმის დროს რომელიც მოვიდა 1924 წ., ატმოსფერული ნალექების რაოდენობა უდრიდა 148 მ.მ. დღე-ღამეში. (ადს).

წერილები

საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის გასაუმჯობესებლად

სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის გამოცოცხლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად სამეურნეო იარაღების გაუმჯობესების და საერთოდ სოფლის ნივთიერად გაჯანსაღებისათვის. საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით გლეხი ანვითარებს თავის მეურნეობას. ის ძველ მამაპაპურ მეურნეობიდან გადადის ახალ, კულტურულ მეურნეობაზე, რომელიც ამავე დროს ხელს უწყობს თვითეული გლეხის გათვითცნობიერებას და სოფლის კულტურულად დაწინაურებას.

ამ მხრივ საკრედიტო ამხანაგობებმა მეტად გაამართლეს იმედები. თითქმის ყველა თემში და ყველა სოფელში, სადაც კი არსებობს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, მეურნეობა უფრო განვითარებულია, გლეხის ნივთიერი მდგომარეობა შედარებით წინანდელთან გაუმჯობესებულია. ძველი მამაპაპური გუთანი, ხარი, თოხი და სხვა ასეთი იარაღები, ალაგ-ალაგ შეცვლილია ტრაქტორით, საბარი და სათესი მანქანებით და სხვა სასოფლო - სამეურნეო კულტურულ იარაღებით.

მაგრამ ამ მრავალ მიღწევებთან ერთად, საკრედიტო ამხანაგობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს.

პირველი და მთავარი ნაკლი საკრედიტო ამხანაგობისა — ეს არის საკმაოდ მომზადებულ და გლეხებში ნდობით აღჭურვილ ხელმძღვანელობის ნაკლებობა; საკრედიტო ამხანაგობების გამგეობებში შეხვდებით სოფლის გლეხობისათვის უცხო და არა საიმედო პირებს.

საკრედიტო ამხანაგობის ზოგიერთი წევრები, რომლებზეც დამოკიდებულია გლეხებზე სესხის გაცემა, აჭიანურებენ გლეხების დახმარების საქმეს.

გარდა ამისა სესხის გაცემაში ხშირად ნათლიმამობასა და ბიძაშვილობასაც აქვს ადგილი. ამხანაგობიდან ხშირად სესხი გააქვთ ისეთ გლეხებს, რომლებსაც მაინცა და მაინც ძალიან არ ესაჭიროება სესხი. ისინი ამ სესხს არ იყენებენ სასოფლო იარაღების გასაუმჯობესებლად, არამედ იძენენ ოჯახისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთებს. ასეთი ნივთების შესაძენათ სესხის გაცემა ამხანაგობიდან ყოვლად დაუშვებელია. საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილი სესხი აუცილებლივ უნდა ხმარდებოდეს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას.

ეს მხედველობაში უნდა მიიღონ საკრედიტო ამხანაგობებმა და სასტიკი თვალყური უნდა იდევნონ, რათა ამხანაგობებიდან გაცემული ფული ხმარდებოდეს თავის დანიშნულებას.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მაზრებში დაარსდეს საკრედიტო ამხანაგობების ხელმძღვანელთა მოკლე ვადიანი კურსები.

ეს მოგვცემს საკმაოდ მომზადებულ და გლეხობაში ნდობით აღჭურვილ ხელმძღვანელებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამხანაგობის საქმიანობას.

ვ. ნ.

თელავი

შუამთის დასასვენებელი სახლი

შუამთის დასასვენებელ სახლის არსებობა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს თელავის პროფკავშირების საქმიანობაში.

თუ არა შუამთა, ბევრ მუშა - მოსამსახურეს საშუალება არ ექნებოდა თავისი შვებულება გამოეყენებინა აგარაკზე დასასვენებლად.

პირველ სექტემბერს გათავდა შუამთის სეზონი. წელს დასასვენებლად უნდა გაგზავნილიყო 55 მუშა - მოსამსახურე, მაგრამ პროფბიურომ და დამზღვევ სალარომ შესძლეს 68 ამხანაგის გაგზავნა ორ - ორი კვირით.

შუამთის შესანიშნავ ადგილ - მდებარეობამ საუცხოვო ჰავამ საუკეთესო სასმელ წყალმა, ნოყიერმა კვებამ და საერთოდ ნორმალურმა ცხოვრებამ აღადგინა მუშის დაკარგული ჯანმრთელობა.

რასაკვირველია, შუამთას აქვს თავისი ნაკლიც. მაგალითად: საწოლების და ღამის ფეხსაცმლების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნილებას, არ არის ფიზკულტურის ხელსაწყო იარაღები, ექიმი მხოლოდ კვირაში ერთხელ სინჯავს დასვენებაში მყოფთ და სხვა.

ამ ნაკლის გამოსწორება არ მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯებს. დასასვენებელ სახლის მდგომარეობას კი საგრძნობლად გააუმჯობესებს.

ვან.

ნოქალაქევი, სენაკის მაზრა

საკრედიტო ამხანაგობა

ნოქალაქევის სამეურნეო საკ. ამხანაგობა დაარსდა 1925 წელს. იგი ემსახურება ოთხ თემს. სესხი გლეხობაზე თავის დროზე იცემა. თითეული სესხი არ აღემატება 100 მანეთს.

ამხანაგობას ყოველთვის მოსდის შაბიამანი და გოგირდი, რომელიც შეღავათიან ფასებში ურიგდება გლეხებს. წელს მოტანილ იქნა 248 ფ. 20 გირ. შაბიამანი და მრავალი სას. სამეურნეო იარაღები, როგორიცაა, მაგ., სათესი გუთნები, სათიბნი და სხვ.

საკ. ამხანაგობას მოწყობილი აქვს სამ ქცევ მიწაზე დამყნილი ვენახის ნერგები 42.000 ძირი.

ამხანაგობის საქმიანობა კარგად არის დაყენებული, მაგრამ სესხის აკრეფა მოვალეებისაგან ვერ ხდება თავის დროზე, რაც გამოსწორებულ უნდა იქნეს მომავალში.

ან. კირცხალია.

სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა

გამოყავით კოოპერატივი

სოფ. კარდანახის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის დაახლოვებით ორი ათასს კომლს. ამ უზარ-მაზარ სოფელს აქვს საკუთარი კოოპერატივი. იგი გაერთიანებულია ანაგასთან და ვაქირთან, რაც დიდ გაუგებრობასა და უკმაყოფილებას ქმნის გლეხობაში.

კოოპერატივისათვის მოსულ საქონელმა აუცილებლად უნდა გაიაროს კარდანახის მიდამო და მივიდეს ანაგაში. გამგეობის მიერ მისი განაწილების შემდეგ საქონელი ისევ კარდანახში მოაქვს. ეს გარემოება იწვევს ზედმეტ ხარჯებს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენ კოოპერაციას. ესეც არ იყოს, საქონლის განაწილება სოფლებზე ხშირად არ ხდება წესიერად.

ჩვენი სოფლის გლეხობის მოთხოვნილებით კარგა ხანია საკრედიტო ამხანაგობა გამოეყო ანაგის სასოფლო - საკრედიტო ამხანაგობას. ამან წინ წასწია კარდანახის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის საქმიანობა.

საჭიროა გამოეყოს ეგრეთვე კოოპერატივიც, რაც ხელს შეუწყობს გლეხების კოოპერატივში წევრად ჩაწერას.

ნან—ლი.

სოფლის ქრონიკა

— **ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა** გადასწყვიტა ლეჩხუმიდან — სვანეთში გაიყვანოს საავტომობილო გზა, 60 კილომეტრის მანძილზე.

— **ჩაი.** ზუგდიდის მაზრაში ჩაის კულტურის გასავრცელებლად მომავალ წელში ჩაის მეურნეებს სესხად მიეცემათ 14.000 მანეთი.

— **თხილის მოსავალი.** გურიაში წელს მოელიან 20.000 ფუთ თხილს. შარშან მოსავალი არ აღემატებოდა 3.000 ფუთს.

— **სესია.** ახალციხეში ჩამოვიდა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია, რომელიც დარჩება თვე-ნახევარს.

— **საექიმო პუნქტი.** ოზურგეთის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ საექიმო პუნქტისათვის მოიწვია 6 ახალი ექიმი.

— **საავადმყოფო.** დამთავრდა საავადმყოფოს აგება დაბა ჩოხატაურში. საავადმყოფოს აგება დაჯდა 50.000 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

ახალი კლუბი

(სადგური ნავთლუღი)

2 სექტემბერს გაიხსნა საზამთრო სეზონი კლუბის შენობის დამთავრების და ბაღის გაშენების აღსანიშნავად. სეზონის გახსნა მართლაც კარგად იყო მოწყობილი. საღამოს შვიდ საათიდან უკრავდა ორკესტრი და დუდუკი.

ცხრა საათზე სხდომას ხსნის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **დემეტრაშვილი,** რომელმაც შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა კლუბის მუშაობა და მისი მიღწევები.

უბკავშირის წარმომადგენელმა ამხ. **კანდელაკმა** დაწვრილებით მოახსენა იმ დახმარების შესახებ, რომელსაც უწევს კლუბს უბკავშირი.

საზეიმო სხდომას მიესალმა აგრეთვე საპატიოთ მოწვეული ამხ. **ვანო სტურუა,** რომელსაც აუდიტორია ოვაციით მიეგება.

დასარულ სიტყვით გამოვიდა კლუბის გამგე ამხ. **ლომთაძე,** მან სთქვა: „ამ ალაგს იყო სიბნელის კუთხე, დღეს კი, როგორც ხედავთ, ჩვენ, ნავთლუღის მუშებმა, ავაგეთ თუმცა პატარა, მაგრამ დიდი გონივრული და კულტურული დარბაზი".

საზეიმო სიტყვების შემდეგ გაიმართა პროლეტარული მხიარული საღამო, პირველად დაუკრეს სიმფონიური ორკესტრი. შემდეგ იქნა წარმოდგენილი 3 მოქ. კომედია ცაგარელისა: „რაც გინახავს, ველარ ნახავ", ამხ. ბებურიშვილის ხელმძღვანელობით და რეჟისორობით. წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა „კინტოური" ინტერმედია. მსახიობებმა ალტაცებაში მოიყვანეს მაყურებლები მხიარული თანამედროვე კუპლეტებით და შეხმატკბილებული ჰანგით.

ძია-ლუკან.

კულტურული მუშაობა ჩვენს სტამბაში

(პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბა)

აღნიშნულ სტამბაში კულტკომისია მუშაობას აწარმოებს უმთავრესად ამავე სტამბის წითელ კუთხეში, სადაც მოწყობილია ბიბლიოთეკა - სამკითხველო, საწარმოო რემედასის, სამხედრო და სხვა კუთხეები. აქ ნახავთ მუშებისათვის გასართობებს: ჭადრაკს, ნარდს და დომინოს.

ეწყობა ლექციები და ექსკურსიები სხვადასხვა ადგილას. კულტკომისია ხელს უწყობს გაზეთების ტირაჟის აწევას. მუშებს თითქმის ყველას აქვს გამოწერილი გაზეთი. კედლის გაზეთიც გამოდის სისტემატიურად — თვეში ერთხელ „ბეჭდვითი ძალა"-ს სახელწოდებით.

რაც შეეხება კედლკორთა წრეს, ასეთი აქ არ არსებობს. რედკოლეგია გამოყოფილია კულტკომისიის მიერ თავის შემადგენლობიდან, რაც სწორი არ არის. სარედაქციო კოლეგია არჩეულ უნდა ქნეს კედლკორთა საერთო კრებაზე. საჭიროა კედლკორთა წრის ჩამოყალიბება.

ვანო.

ასატურ მამიევის ხსოვნას

კვირას, 4 სექტემბერს, მიწას მიაბარეს ზეთ-საპნის ტრესტის მთავარი მექანიკი ამხ. ასატურ მამიევი. განსვენებული მეტის მეტად პატიოსანი, უმწიკვლო და ენერგიული მომუშავე, ხელოსნის ლითონის ხარატი იყო.

ტრესტის მმართველობამ ამხ. მამიევი ხარატის თანამდებობიდან გადაიყვანა მექანიკად. ამ მოვალეობასთან ერთად ის იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადო საქმეებში და განსაკუთრებით კი პარტიულ მუშაობაში. იყო ადგილობრივი იაჩეიკის მდივანი, მესამე რაიკომის წევრი, თბილისის კომიტეტის წევრი და სხვა.

ტრესტის მექანიკობა, რომელმაც რამოდენიმე ფაბრიკა და ქარხანა შედის და სხვადასხვა დავალებები საზოგადოებრივი ხასიათისა, თხოულობდა ენერგიის დაჭიმვას.

ამიტომ შრომით მოქანცულმა ორგანიზმმა მეტი ველარ აიტანა და გამოეთხოვა ჩვენს რიგებს ყველასათვის საყვარელი ამხ. ასატურ მამიევი.

საჭიროა დავალებათა რაციონალურად განაწილება, რითაც ამხანაგების ჯანმრთელობას დავიცავთ და საქმეც უფრო ნაყოფიერი იქნება.

შაქრო ნავთლუღელი.

ახალი სანატორიუმი

დაბა ლიბაანში ამ-კავკასიის რკინის გზის დამზღვევ სალარომ 1368 მეტრ სიმაღლეზე ააშენა უზარმაზარი სანატორიუმი, სადაც მხოლოდ ჭლექით ავადმყოფები იქნებიან მოთავსებულნი. თითო ოთახში იქნება მოთავსებული ორი ავადმყოფი. სახლის ზევით არის მოთავსებული გალერეა, განსაკუთრებით მზის ვანების მისაღებად. სანატორიუმისათვის საგანგებოდ არის აშენებული 62,5 ძალიანი ელექტრონის სადგური. კარგად არის მოწყობილი სამრეცხაო, აბანო და ოთხი სახლი მოსამსახურეებისათვის. სანატორიუმის სასადილოში იქნება მოწყობილი მძლავრი ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატი. სანატორიუმში წყალი გამოყვანილი იქნება წყაროდან. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, კეთდება ეზო, აუზი, ჯერ-ჯერობით ამ სანატორიუმზე არის დახარჯული 1.500.000 მანეთი.

ა. ატრიშკო.

შრომის კანონს არღვევენ

(შრომის ინსპექტორების საყურადღებოდ)

არსებული კანონის თანახმად განსაზღვრულია სავაჭრო და სამუშაო დრო, რომელსაც ხშირად არღვევენ. მეჩექმეები და ხარაზები იღებენ გვიანობამდე ვაჭრობის ნებართვას და მუშაობენ დილის 6 საათიდან საღ. 12 საათამდე და ამუშავებენ შეგირდეს დღე და ღამე, ყურადღების მიმქცევი კი არავინ ჩანს.

ასეთ მოვლენას აქვს ადგილი მთელს მალაკანის ქუჩაზე.

სად არის შრომის ინსპექტორი?

მახვილი.

საყურადღებო წვრილმანები

გაგვიხსენით წითელი სასადილო

მეშვიდე უბანში წითელი სასადილოების რიცხვი ძლიერ მცირეა. ამ რაიონში კი მოთავსებულია ბაკები, სადაც უხდებათ გაჩერება გლეხებს,—რომლებიც კერძო დუქნებში „მამა სისხლის" ფასად ყიდულობენ ყველაფერს. ამ დუქნებში არც მუშებს და არც გლეხებს არ შეესვლება. საჭიროა მუშკოოპმა გახსნას წითელი სასადილო.

სამართალი.

კლუბის მაგიერ წითელი კუთხე

თბილისის ქალაქის სასაკლაოს წინათ ქონდა კლუბი, რომელიც ეხლა გადააკეთეს წითელ კუთხედ. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ ეხლა არ არსებობს კლუბის გამგეობა და წევრობა, მუშაობა კი იგივე სწარმოებს. მუდამ კვირა იდგმება წარმოდგენები და კინო. კინო სურათის ჩვენებას უფრო ხშირად აწყობენ, რადგანაც მუშები კინოზე უფრო დაიარება, ვიდრე წარმოდგენებზე.

მუშათა ქრონიკა

— **ფაბკომების გადარჩევა.** საქართველოს პროფსაბჭოს განმარტებით მასსიური გადარჩევა ფაბკომების მთელი საქართველოს მასშტაბით იწყება ა. წ. 20 სექტემბრიდან, თბილისში კი 15 ოქტომბრიდან.

— **შუამდგომლობა.** ბათომის უბკავშირმა საგზაო კომიტეტის მეშვეობით აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე რათა ბათომის ქალაქის მუშფაკთან რკინის გზელებისათვის განსაკუთრებით გახსნას ცალკე ჯგუფი.

— **პლენუმი.** აღმშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობა ამავე კავშირის მორიგ პლენუმს იწვევს ა. წლის ათ ოქტომბრისათვის.

— **იურიდიული დახმარება.** საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიულმა ბიურომ ამა წლის აგვისტოს განმავლობაში იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 1514 კავშირის წევრს.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისათვის

საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა საქართველოს შრომის სახ. კომისარიატთან ერთად გამოსცეს ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის მოკლე მიმოხილვა საქართველოს მუშების მდგომარეობისა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს, ისე საბჭოთა ხელისუფლებამდე.

კრებულისათვის შეგროვილი იქნება მასალები შრომის ყველა დარგებში, სოციალურ დაზღვევის დარგში და პროფმოძრაობის დარგში.

მასალების შესაგროვებლად და დასამუშავებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია: საქართველოს პროფსაბჭოდან—ამხ. **სიმონ გოდაბრელიძე და გძელიშვილი,** საქ შრომის სახ. კომისარიატიდან—ამხ. **ამიროვი და კვანტრიშვილი.** კომისიის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ამხ. გოდაბრელიძეს. მიმოხილვა გამოცემულ იქნება ქართულ და რუსულ ენებზე. წიგნი მზად იქნება 20 ოქტომბრისათვის.

ოსმალეთში ტვირთების გაგზავნის წესი

ოსმალეთის გენერალურმა საკონსულომ თბილისში ოსმალეთის მთავრობისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„წინანდელი დადგენილებით ოსმალეთში ბარგის გაგზავნა იმ ადგილებიდან, სადაც არ იყვენ ოსმალეთის წარმომადგენლები და კონსულები შეიძლებოდა მოწმობის გარეშე; ეხლა ეს დადგენილება გაუქმებულია და მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან ყოველგვარი ბარგი, რომელიც იგზავნება ოსმალეთში (სულ ერთია, საიდანაც არ უნდა იგზავნებოდეს) დადასტურებული უნდა იქნეს ოსმალეთის წარმომადგენლებისა და კონსულების მიერ. ამავე რიცხვიდან ყველა ის მოწმობები, რომლებიც ეხება ოსმალეთში გასაგზავნ ტვირთებს, უკეთუ ისინი დამოწმებული არ იქნება სათანადოდ, ოსმალეთის მთავრობის ახალი განკარგულების თანახმად მხედველობაში მიღებული არ იქნება ოსმალეთის სათანადო თანამდებობის პირების მიერ.

გერმანელი მეცნიერი საქართველოს მინერალური წყლების შესახებ

გუშინ, ბორჯომიდან თბილისში დაბრუნდა გერმანელი მეცნიერი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ზოგადი პათოლოგიის დარგში —**ადოლფ ბიკელი,** რომელიც მოწვეული იყო საქართველოში ბორჯომისა და სხვა მინერალური წყლების ღირსების შესასწავლად.

პროფ. ა. ბიკელმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა თავისი აზრი ბორჯომის და წაღვერის მინერალური წყაროების გამოკვლევების შედეგების შესახებ.

— ბორჯომის ხეობაში მე გავეცანი ახალ ბუნებრივ სიმდიდრეებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთოდ ბალნეოლოგიისათვის. ბალნეოლოგია — იგივე წყლით მკურნალობა — ვერ არის, ჩემი აზრით, თქვენში დაყენებული იმ სიმაღლეზე, როგორც ეს შეეფერებოდა ბორჯომის მეტად მაღალ ხარისხოვან წყაროებს. ბორჯომის წყალზე მე ვაწარმოებდი მუშაობას ჯერ კიდევ ბერლინში და საქართველოში ჩემი ჩამოსვლა გამოწვეული იყო მხოლოდ მინერალურ წყაროებთან ბუნებრივ პირობებში გაცნობის სურვილით. ბორჯომის ხეობაში ჩემი მუშაობა გაგრძელდა ერთი კვირა.

ჩემს ლაბორატორიას, რომელიც ბერლინის უნივერსიტეტთან არსებობს, მუდმივი კავშირი აქვს როკფელერის მიერ დაარსებულ ასეთსავე ლაბორატორიასთან ნიუ - იორკში. ჩვენი ლაბორატორიები სისტემატიურათ ცვლიან ურთიერთშორის თავიანთ გამოკვლევებით მიღებულ შედეგებს და მე მოხარული ვიქნები, გადავცე ბერლინში ჩასვლისთანავე ის ახალი და საინტერესო მეცნიერული ცნობები, რომლებიც მივიღე ბორჯომში მუშაობის დროს.

ევროპაში საუკეთესო მინერალური წყაროებია. კურორტ ელსტასა და პოლმონტში. ჩემი დაკვირვებები კი აშკარავებენ, რომ ბორჯომის წყალი, როგორც თავისი ქიმიური შემადგენლობით, ისე აქტიურობით ძლიერ შორს სტოვებს სხვა წყლებს კუჭის სეკრეციის დაავადებათა მკურნალობის დარგში. ჩემს მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ ვამზადებ წერილს გაზ. „კომუნისტისათვის".

ხორბლის შემოზიდვა

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილების თანახმად, 1927 — 28 წლის განმავლობაში ა.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის შემოტანილი იქნება 1.200.000 ფუთი ხორბალი.

ხორბალის აღნიშნული რაოდენობის შემოტანა დავალებული აქვს ა.-კ. საბამბო კომიტეტს. მებამბეობის რაიონების დანარჩენი მოსახლეობისათვის, რომელიც მებამბეობას არ მისდევს, ხორბალი შემოტანილი იქნება ერთი მილიონი ფუთის რაოდენობით. ხორბალის ამ რაოდენობის შემოტანა დაკისრებული აქვს „ხლებოპროდუქტს", რომელმაც შემოტანილი ხორბალი უნდა გაანაწილოს კოოპერატივებს შორის.

ა.-კ. საბამბო კომიტეტს წინადადება მიეცა, დაუყოვნებლივ დასდოს ხელშეკრულება პურის ძირითად დამამზადებლებთან ხორბალის მისთვის საჭირო რაოდენობაზე. მებამბეებს პური მიეცემათ შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფასებში.

შემოტანილ პურს ამიერ - კავკასიის ცალკე რესპუბლიკებს შორის გაანაწილებენ რესპუბლიკების სათანადო ორგანოები ა.-კ. მებამბეობის კომიტეტთან შეთანხმებით.

ახალი აბანოები

თბილისის აღმასკომის წინადადებით კომუნალურმა განყოფილებამ შეადგინა თბილისში ახალი აბანოების აგების და არსებულ აბანოების გაფართოების გეგმა. ახალი აბანოები უმთავრესად აგებული იქნება გარე-უბნებში და მუშათა რაიონებში. არსებული გოგირდის აბანოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას და გარდა ამისა გარე უბნეში მცხოვრებთათვის ძნელია ამ აბანოებით სარგებლობა. ახალი აბანოების აგება გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ კერძო ბინებში განსაკუთრებით გარე უბნებში არ არის მოწყობილი აბაზანები; ასეთი მდგომარეობა კი ქმნის ანტისანიტარულ პირობებს. გარე უბნებში სულ გახსნილი იქნება 12 ახალი აბანო. ამას გარდა გოგირდის აბანოებთან მოეწყობა ბალნეოლოგიური (წყალით სამკურნალო) სადგური. ამჟამად სწარმოებს ახალი აბანოების მოსაწყობი ადგილების ამორჩევა და დაგეგმვა. აბანოების აგებას შეუდგებიან მომავალ წლიდან.

წყალდიდობის შემდეგ

პირდაპირი მიმოსვლა თბილისსა და ბათომს შორის ჯერ-ჯერობით არ არის აღდგენილი. — ბათომში მიმავალ მგზავრთა გადაყვანა სწარმოებს ზღვით ფოთიდან. — მოძრაობის შეფერხება გავლენას არ მოახდენს ნავთის პროდუქტების ექსპორტზე. — 6 სექტემბერს ნიაღვარს ადგილი ჰქონდა ბორჯომის ხეობაშიც. — ადიდდა მტკვარიც. ამჟამად ყველგან კარგი ამინდია.

რკ. გზ. ბათომის უბანზე

იმ ადგილას, სადაც გზა დაზიანებულია ნიაღვრებით და მეწყერებით, მუშაობენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქართველოს ხაზის ყველა უბნებიდან მისული დამხმარე მატარებლები. მუშაობა სწარმოებს განუწყვეტლივ დღე-ღამეების განმავლობაში. ღამით მუშაობის შეუფერხებლად წარმოებისათვის, თბილისიდან გაგზავნილია ვაგონი—ელსადგური, რომელიც ანათებს სამუშაო ადგილებს.

წვიმებმა რკინის გზას მიაყენა საგრძნობი ზარალი. ზარალის რაოდენობას იკვლევენ.

ჯერ-ჯერობით გზის სამმართველოში არ არის ნამდვილი ცნობა, თუ როდის იქნება აღდგენილი სავსებით ხაზი.

ნავთსადენის მილი

ბათომის უბანზე იმ ადგილებში, სადაც ძლიერი წვიმა მოვიდა, დაზიანებულია ნავთსადენის მილი, მიღებულია ზომები მილის შესაკეთებლად.

რას ამბობს რკინის გზის სპეციალისტები

ნავთის პროდუქტების ექსპორტი არ შეფერხდება

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს, რომ წვიმებით გამოწვეული მოძრაობის შეფერხება ნავთის პროდუქტების ექსპორტზე გავლენას არ მოახდენს. ნავთის პროდუქტების ჩასხმა ბაქოში ერთი წუთითაც არ შეჩერებულა, ხამარშრუტო მატარებლები თავის დროზე ივსება და იგზავნება ბაქოდან, მაგრამ ვინაიდან ბათომამდე არ არის პირდაპირი მოძრაობა, ისინი ჩერდებიან მთავარ განმანაწილებელ სადგურებზე.

როგორც კი მივიღებთ ცნობას მოძრაობის აღდგენის შესახებ, მაშინვე პირველ რიგში ეს მატარებლები დაიძვრებიან ბათომისაკენ.

საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა შეფერხდა არა მარტო რკინის გზაზე, არამედ ზღვაზედაც, სადაც მთელი დღე-ღამეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ღელვას.

საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა შეიძლება რამოდენიმედ შეფერხდეს იმის გამო, რომ ბათომთან კავშირის გაწყვეტამ გამოიწვია სამარშრუტო მატარებლების თავისუფალ ცისტერნების ბათომში თავმოყრა მაგრამ ეს სერიოზული გავლენას ვერ მოახდენს ექსპორტზე, რადგან ნავთის სინდიკატებს ბათომის აუზებში მოეპოვება ნავთის პროდუქტების საკმაოდ მარაგი.

რკინის გზა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სექტემბრის ბოლოსათვის სავსებით შესძლებს ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გეგმის შერულებას.

გზის წალეკვა საშიში არ არის

რკინის გზის სპეციალისტი ინჟინრები ამბობენ, რომ ბათომის უბანზე ხაზის წალეკვა გზისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე არა ერთხელ ჰქონდა ადგილი ხიდების წაღებას, ასეთი შემთხვევები ყოფილა არა მარტო საბჭოთა კავშირის გზებზე, არამედ საზღვარგარეთის გზებზედაც.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ხაზების უფრო სერიოზულ წალეკვას ჰქონდა ადგილი, იყო შემთხვევა, როდესაც წყალმა წაიღო რვასაჟენიანი ხიდის ფერმა ისე, რომ საჭირო გახდა მისი ძებნა, რადგან იგი სილაში ჩაფლული აღმოჩნდა.

ბათომის უბნის წალეკვა გზის მუშაობას სერიოზულ საშიშროებას არ უქადის.

ადგილობრივი მდინარეები პატარანი არიან და მათზე გადებული ხიდები მოკლე. თუ წყალმა ერთ-ერთ მათგანზე მართლაც წაიღო ფერმა, მაგრამ ბურჯები არ დაზიანა. ამ ფერმის ისევ თავის ადგილას დადგმა ძნელი არ არის.

ნავთის საწმენდი ქარხნები

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა ზიანი მიაყენა უკანასკნელმა წვიმებმა ბათომში ნავთის საწმენდ ქარხნებს, ან რამდენად შეაფერხა მუშაობის მიმდინარეობა „აზნავთის" თბილისის კანტორის რწმუნებულის მოვალეობის დრ. აღმასრულებელმა **ა. ვეზიროვმა** განაცხადა:

წყალდიდობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბათომის რაიონში, გავლენას მოახდენს ქარხნების საამშენებლო სამუშაოებზე იმ მხრივ, რომ შეფერხდება ბაქოდან და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან ქარხნების ასაშენებლად გაგზავნილ მასალების შეუწყვეტლივ მიწოდება.

რაც შეეხება უკვე წარმოებულ მუშაობას, ეჭვს გარეშეა, რომ სამი დღის გამავლობაში მოსულმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენეს ქარხნების მშენებლობას.

ობსერვატორიის ცნობა

როგორც საქართველოს გეო-ფიზიკური ობსერვატორიის ცნობებიდან სჩანს, წვიმა დაიწყო ღამით 4 სექტემბერს. წვიმებს თან სდევდა ელვა-ქუხილი. წვიმა მოდიოდა 5 და 6 სექტემბერს. ყველაზე ძლიერი წვიმა მოვიდა ბათომის რაიონში, სადაც ატმოსფერის ნალექმა 5 სექტემბერს მიაღწია მაქსიმალურ საზღვრებს—221 მილიმეტრს—დღე-ღამეში.

წვიმას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა ადგილებშიც.

წვიმები გამოწვეული იყო იმით, რომ სკანდინავიის ნახევარ კუნძულიდან დაიძრა ანტიციკლონი, რომელიც 3 სექტემბერს გავრცელდა საბჭოთა კავშირის მთელ დასავლეთ ნაწილზე, 5 სექტემბერს კი კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილებზეც.

ამ დროს მესოპოტამიაში და მცირე აზიაში იდგა ციკლონი.

ამ პირობებმა გამოიწვიეს წვიმები საქართველოში და ამ.-კავკ. სხვა ადგილებში.

6 სექტემბრისათვის ანტიციკლონი დაიძრა დასავლეთისაკენ და თანდათან იწყო შესუსტება, რამაც გამოიწვია გამოდარება. ეხლა ყველგან კარგი დარი სდგას.

მტკვარი ადიდდა

როგორც ობსერვატორიის ცნობიდან სჩანს, წვიმას, ბათომის გარდა, ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა ადგილებშიაც. აჭარისტანის შემდეგ, შედარებით უფრო ძლიერი წვიმა მოვიდა ბორჯომის ხეობაში.

ამის გამო ადიდდა მტკვარი. 6 სექტემბერს მდინარის დონე დილის სამ საათზე უდრიდა 90 სანტიმეტრს, ღამის 12 საათისათვის კი 175 სანტიმეტრს 7 სექტემბერს დილის 5—6 საათისათვის მდინარის დონემ დაიკლო 170 სანტიმეტრამდე, ხოლო დილის რვა საათისათვის კვლავ აიწია—180 სანტიმეტრამდე.

დანარჩენი მდინარეების ადიდების შესახებ ცნობები არ მოსულა.

მოძრაობა თბილის-ბათომს შორის

თბილისიდან ბათომში მიმავალ მგზავრთა გადაყვანა სწარმოებს ზღვით ფოთიდან.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მიერ დანიშნულია სპეციალური სამგზავრო გემი, რომელსაც რკინის გზის ბილეთებით მიჰყავს მგზავრები ბათომში, გემზე მგზავრებს დამატებით ახდევინებენ 1 მან. 60 კაპეიკს.

ზარალი უდრის რამოდენიმე მილიონ მანეთს

წყალდიდობით გამოწვეული ზარალის გამომკვლევი კომისია განაგრძობს მუშაობას. კომისია გაემგზავრა უბედურების ადგილზე. გზების გაფუჭების გამო მიუწვდომელია ზოგიერთი რაიონები ქედის მიმართულებით. ქვემო და ზემო აჭარიდან დღემდე არა მოდის ცნობები. ამ რაიონებთან შეწყვეტილია როგორც სატელეგრაფო, ისე სატელეფონო კავშირი. სწარმოებს მუშაობა ქსელის აღსადგენად.

წინასწარი გამოანგარიშებით წყალდიდობით, გამოწვეული ზარალი აღწევს რამდენიმე მილიონ მანეთს. წყალი აჭარისწყალსა და ჭოროხში კლებულობს და უბრუნდება ჩვეულებრივ დონეს. ამჟამად მზიანი ამინდებია. (ადს).

ღელვა შავ ზღვაზე

სოხუმი, 7 სექტემბ. ღელვა გრძელდება და აღწევს 6 ბალს. გემმა „მერინგმა" ვერ მოახერხა საქონლის გადმოტვირთვა (ადს).

სატელეგრაფო კავშირი ოსმალეთთან

აჭარისტანში მოსულ ძლიერი წვიმების გამო ადიდდა და ნაპირებიდან გადმოვიდა მდ. ჭოროხი. ადიდებულმა წყალმა ბათომ - სარფას (ოსმალეთის საზღვარზეა) შუა 5 სექტემბერს დღის 5 საათზე წააქცია სატელეგრაფო ბოძები და დააზიანა ტელეგრაფის ხაზი.

სატელეგრაფო კავშირი ტრაპიზონთან შეწყდა.

სასწრაფოდ მიღებულ ზომებით ხაზი შეკეთებულ და კავშირი აღდგენილ იქნა 7 სექტემბერს დილის 9 საათზე.

დანარჩენ პუნქტებთან კავშირი არ შეწყვეტილა.

როდის გაიხსნება მოძრაობა

ბათომის უბანზე დაზიანებულ რკ. გზის ხაზის აღდგენას ხელმძღვანელობენ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქ. **ივანოვი** და გამგეობის წევრი ტეხნიკურ ნაწილში ინჟ. ზ. ზურიძე.

გუშინ საღამოს მათ პირდაპირი მავთულით გზათა სამმართველოში გადმოსცეს ცნობა, რომ პირდაპირი მოძრაობის აღდგენა ბათომამდე მოსალოდნელია არა უადრეს 11 სექტემბრისა საღამოს.

ამის გამო, გზამ ბათომში ტვირთების ჩატანისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა.

რკინისგზებზე

ბათომი, 7 სექტემბ. გზის გაფუჭების გამო ჩაქვა - ბათომის უბანში სარკინისგზო მიმოსვლა თბილისიდან მხოლოდ ქობულეთამდე სწარმოებს. სასწრაფოდ სწარმოებს ერთი მეტრით დაწეულ ჩაქვის რკინისგზის ხიდის აღდგენა და აგრეთვე მწვანე კონცხთან გზის გაწმენდა დამტვრეულ მატარებლის ნაწილებისაგან, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მატარებლების გაშვება ქოროლის - წყალის ხიდსა და თამარის ბაქანამდე, საიდანაც იწარმოებს გადასხმა. თუ კარგი ამინდი იქნება, მუშაობა განზრახულია დასრულდეს 8 სექტემბრამდე. მიმოსვლა ბათომ - მწვანე კონცხს შორის ავტომობილებით სწარმოებს. პირდაპირი მიმოსვლა აღდგენილი იქნება არა უადრეს 2 კვირისა (ადს).

ხილის ბაღების მოსავლის ორი მესამედი დაიღუპა

ბათომი, 7 სექტემბ. ორთა -ბათომის რაიონიდან მიღებულ ცნობებით, სიმინდის ნათესების და მანდარინის და ხილის ბაღების ორი მესამედი სრულიად გაანადგურა წყალდიდობამ. ჩაქვის სახალხო მამულში წყალმა წაიღო ყველა სამეურნეო მასალები, 80 პროცენტით დაზარალდა ლიფუფის, კანაფის და სხვა ძვირფას მცენარეულობათა პლანტაციები. ორთა - ბათომის რაიონში წყალმა გადარეცხა სასაფლაო. ბევრი გვამები გამორიყულია მიწის ზედაპირზე (ადს).

ბათომში წყალი არ არის

ბათომი, 7 სექტემბ. ბათომში უკვე მეორე დღეა წყალი არაა. სრულებით მოგლეჯილია წყალსადენის მილის ის ნაწილი, რომელიც წყალს აწვდიდა საქალაქო ქსელს. ფილტრები გადარჩა. სასწრაფოდ სწარმოებს მუშაობა წყალსადენის აღსადგენად. ზარალი უდრის 100.000 მდე მანეთს. მოტორებისათვის წყალის უქონლობამ გამოიწვია მუშაობის შეჩერება ელექტრონის სადგურზე. დღეს მოეწყო მოტორებისათვის წყალის მიწოდება ჭებიდან. სინათლე ეძლევა ქალაქს ხანგამოშვებით (ადს).

„აზნავთის" ზარალი

ბათომი, 7 სექტემბ. „აზნეფტსტროის" ტერიტორიაზე დანგრეულია წყალსადენის ჯებირი. დამახინჯებულია და წყალმა წაიღო ნავთის საცავების ასაგებად დამზადებული ნაწილები. დანგრეულია ვიწროლიანდაგიანი რკინისგზა. წყალმა წაიღო სამ ვაგონზე მეტი ხე-ტყე, ბევრი დამზადებული ქვიშა და სხვა მასალები. აზნავთის ტერიტორია გარსშემორტყმულია დამცველი რაზმით. სწარმოებს მუშაობა გადარჩენილ ქონების შესაგროვებლად. ზარალი აღწევს რამოდენიმე ასეულ ათას მანეთს (ადს).

აჭჰესის ნაგებობები წყალდიდობამ ვერ დააზიანა

ბათომი, 7 სექტემბერი. აჭარისწყალის ჰიდრო - ელსადგურზე (აჭჰესი) გამგზავრებულმა ინჟინერმა **მაშევსკიმ** აცნობა ამიერ-კავკ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს, რომ არაჩვეულებრივ წყალდიდობის გამო, (წყლის გასავალი უდრიდა 1.200 კუბ. მეტრს წამში) მოგლეჯილია მდინარის კალაპოტის ჯებირი, რომელიც მდინარეს მიმართავდა საფსკეროო გვირაბისაკენ. აჭარის წყალი ნაწილობრივ წავიდა ძველი კალაპოტით, ნაწილობრივ კი გვირაბით, რომელიც წყლით აივსო ორ-მესამედზე. გვირაბი სრულიად დაუზიანებელია. მთავარი კაშხალი და დანარჩენი ჰიდროტეხნიკური ნაგებობანი, რომლებიც ნავარაუდევია დიდ წყალდიდობისათვის, არ დაზიანებულა.

ეხლანდელი თითქმის კატასტროფიული წყალდიდობა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ყველა ნაგებობათა უდავო სიმტკიცეში. როგორც კი წყალი დავარდება, დაიწყება ჯებირის აღდგენა, რაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. (ადს).

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1927 წ. ივლისში

(საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიის ეკ. - სტატ. სექციის მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

აღმოსავლეთ საქართველოში ამინდი ცვალებადია. ივლისის პირველ ნახევრის წვიმებმა უარყოფითად იმოქმედა პურეულის ნათესებზე. თითქმის განუწყვეტლივ წვიმს; ასევეა დასავლეთ საქართველოში; ხშირია სეტყვა, რომელიც ზოგიერთ მაზრებს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს. სეტყვა მოვიდა: დუშეთის, ახალქალაქის, გორის, რაჭის და ოზურგეთის მაზრებში. წყალდიდობაა — ქუთაისის, რაჭის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში; განსაკუთრებული ძლიერი წყალდიდობა იყო ზუგდიდის მაზრაში, სადაც ადიდებულმა ინგურმა, მაზრის საექსპერტო ცნობით, 80 კვ. ვერსამდის ფართობი წალეკა. სტიქიურ უბედურებათაგან მიყენებული ზარალი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

პურეულის ნათესების მდგომარეობა: ივნისთან შედარებით საყოველთაოდ უარესდება. შემოდგომის ხორბალი 11,1%-ით, გაზაფხულის ხორბალი 7,1%, შემოდგომის ქერი 14,3%, გაზაფხულის ქერი 7,1% და სიმინდი 6,1%-ით. დასახელებული უმთავრესი პურეულის მდგომარეობას საკმაოდ დაბალი ნიშნით ხასიათდება 1926 წ. ივლისთან შედარებით—2,8 ნიშნით საშუალოდ—წინააღმდეგ 3,7 ნიშნისა, (—24,3%). ხორბლეულის მკა გრძელდება, დაწყებულია ლეწვა.

ბამბის მდგომარეობა: 3,5 ნიშნით ხასიათდება; იგი გაუმჯობესებულია, როგორც წინა თვესთან შედარებით, ისე 26 წ. ივლისის მიმართ (+25%).

თამბაქოს მდგომარეობა: უცვლელია (2,8 ნიშნით), ხოლო 22,2% დაბალია გასულ წელთან შედარებით.

გაუარესებულია ვენახების და ხილის ბაღების მდგომარეობა, რომლებიც საერთოდ 2,5 ნიშნით ხასიათდებიან. 1926 წლის ივლისთან შედარებით საკმაოდ დაბალი ნიშნები გვაქვს (24,2 და 19,4 %% ნაკლები სათანადოთ).

ჩაის კრეფა ნორმალურათ მიმდინარეობს; საგრძნობ მატებას იძლევა ნედლი ჩაის ქარხნებში ჩაბარება, როგორც ივნისთან, ისე წ. წ. ივლისთან შედარებით.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ ივლისში დამზადებულ სას. სამ. ნაწარმოების საერთო ღირებულება 2,4 მილ. მან. უდრის, წინააღმდეგ ივნისის 1,7 მილ. მან. მისი ზრდა დამოკიდებულია აბრეშუმის პარკის დამზადების გაძლიერებაზე, წინააღმდეგ ყველა დანარჩენი მთავარი საგნების დამზადების სეზონური შემცირებისა.

აბრეშუმის პარკის დამზადება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ივნის—ივლისში სულ შესყიდული არის 111,6 ათ. ფუთი, ე. ი. დამზადების გეგმის 14,4%, ჩაის ფოთოლი 211,9 ათ. კილ. რაოდენობით დამზადდა, ე. ი. 11,1%-ით მეტი ივნისზე, ხოლო 226,3% მეტი, ვიდრე შარშან ივლისში. გამოცოცხლებაა შემჩნეული ღვინის ბაზარზე: ივლისში სულ დამზადდა 10,6 ათ. ვედ. ღვინო, წინააღმდეგ ივნისში დამზადებული 5 ათ. ვედროსი. ზრდა ახასიათებს აგრეთვე ტყავეულის დამზადებას: დამზადებულია 9,4 ათ. წვრილი ტყავი და 3,6 ათ. ცალი მსხვილი ტყავი. დანარჩენი სოფლის ნაწარმოების დამზადება შემცირებას იძლევა, რაც უმთავრესად სეზონური პირობებით არის გამოწვეული.

მრეწველობა

ს. მ. ს. უ. ხუთი მთავარი წარმოების (თამბაქო, ქვა-ნახშირი, ტყავი, საპონი და ხე-ტყე) მაჩვენებლები შემდეგით ხასიათდებიან: მუშახელი 6,1%-ით მატულობს ნამუშევარ —კაც-დღეთა რიცხვის შემცირების პირობებში, ხოლო 8,2%-ით კლებულობს საერთო პროდუქცია (1913 წ. ფასებში) გამომუშავების და ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის დაკლების ზეგავლენით.

1926 წ. ივლისთან შედარებით არსებულ დარგების პროდუქცია 21,9%-ით იზრდება, ჩაბმულ მუშა-ხელის და გამომუშავების ზრდის გამო (8,6 და 10,9 სათანადოთ). რაც შეეხება ს.მ.უ.ს. ტრესტის პროდუქციის რეალიზაციას — იგი სტაბილურია ივნისთან შედარებით, ხოლო 13%-ით იზრდება წ. წ. ივლისის მიმართ.

ქვა-ნახშირის მრეწველობაში ქვა-ნახშირის ამოღება—5,5%-ით მცირდება გამომუშავების 0,7%-ით შემცირების გამო, წინააღმდეგ ნამუშევარ კაც-დღეთა და მუშა-ხელის 13,5 და 10,3 %% ზრდისა.

მუშათა რიცხვის ზრდა მოიჯარადრეებთან მყოფ მუშების გადმორიცხვით უნდა აიხსნას, მოიჯარადრეთაგან მუშაობის შეწყვეტის გამო. შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე და მისი შემცირება კი კარიერზე ცეცხლის გაძლიერებით და ქარ-სიცხეების გამო მუშაობის გართულებით უნდა აიხსნას (8 საათის ნაცვლად 6 საათს მუშაობენ); შრომის ნაყოფიერების ზრდაზე უარყოფითად მოქმედებდა აგრეთვე დიდ საკანში ჩამოწოლილ ზვავის გასაწმენდად წარმოებული მუშაობა, რაც შეეხება ნახშირის რეალიზაციას, იგი 8,2%-ით მატულობს ივნისთან შედარებით მოთხოვნილების გაძლიერების გამო.

თამბაქოს მრეწველობაში პროდუქციის ახალი შემცირება გვაქვს, — 18,8%-ით, გამომუშავების ზრდის პირობებში (+5,3%), ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირების გამო (—22,9), რაც მომუშავეთა შვებულებებში წასვლით უნდა აიხსნას. თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაცია 0,7%-ით კლებულობს. ნაწარმოების რეალიზაციის დაკლება გვაქვს საქართველოში (—10,6%), ხოლო ზრდა საქართველოს გარეთ (+17,4%). საქართველოში თამბაქოს ნაწარმოების შემცირებას ტრესტი შემდეგით ხსნის: ა) ივნისის მეორე ნახევარში ჩატარებული საპრეისკურანტო ფასების დაკლებით, რომელიც ივლისის ბრუნვებზე ახდენს გავლენას, ბ) ზოგიერთი მარკების სიმცირით შინაურ ბაზარზე, საქართველოს გარეთ მათი დიდი რაოდენობით გაგზავნის გამო, და გ) შინაური მოთხოვნილების სეზონური შემცირებით.

ტყავის მრეწველობაში: ტყავის დამუშავება 6.2%-ით იზრდება გამომუშავების და ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდების გამო. რაც შეეხება ნაწარმოების რეალიზაციას, იგი სტაბილურია ზრდის ტენდენციით. როგორც ივნისთან შედარებით, ისე 1926 წლის ივლისის მიმართ.

საპნის წარმოება: წინა თვის დონეზე რჩება, გამომუშავების გადიდების გამო, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირების პირობებში. საპნის რეალიზაცია ივნისთან შედარებით 24,7%-ით მატულობს.

თუ საწარმოო პროგრამის შესრულების თვალსაზრისით მივუდგებით განვლილი თვეების აღებული დარგების პროდუქციას, აქ შემდეგსა ვხედავთ: საწარმოო პროგრამა შესრულებულია — ქვა-ნახშირისათვის 79,8%-ით, პაპიროსისათვის 77,2%-ით, თამბაქოსათვის—85,1%-ით, მსხვილი ტყავისათვის 73,6%, წვრილი ტყავისათვის 43,9%, სარეცხი საპონისათვის 66,3% და ტეხნიკური გლიცერინისათვის 73%.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ გასული 10 თვის განმავლობაში საწარმოო პროგრამა უნდა 83,3%-ით შესრულებულიყო, მაშინ თამბაქოს პროგრამის შესრულება უნდო დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ, ხოლო დანარჩენი საგნების—არა დამაკმაყოფილებლად.

ფინანსები

საქართველოში მომქმედ ფინსახკომის სალაროებში ივნისში 2,8 მილ. მან. შემოვიდა, ე. ი. 28,6%-ით ნაკლები, წინა თვის მაქსიმალურ შემოსავალთან შედარებით, და 5,7% მეტი, ვიდრე 26 წ. ივლისში, რაც შეეხება ხარჯებს, აქ ახალი შემცირება გვაქვს 21,2%-ით, რაც საყოველთაო ხასიათს ატარებს ყველა დარგებში, გარდა თავდაცვისა, რომელიც სტაბილურია. მიუხედავათ ხარჯების ასეთი მნიშვნელოვანი შეკუმშვისა, მათი საერთო ჯამი 26 წ. ივლისს 13,3%-ით სჭარბობს, ყველა ხარჯების გადიდების გამო, გარდა ადმინისტრატიულისა, რომელიც 22,4% არის შემცირებული.

შრომა

თბილისში უმუშევართა რიცხვს შემცირების ტენდენცია ახასიათებს (—0,3 პროც.), პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვის შემცირების გამო (—2,3 პროც.), წინააღმდეგ პროფკავშირის არა წევრ უმუშევართა რიცხვის გადიდებისა (+8,9 პროც.). უმუშევართა საერთო რიცხვი 16 ათ. სულს უდრის. 1926 წ. ივლისთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 8, 5 პროც. გაზრდილა.

მრეწველობის დარგში ჩაბმულ მუშის თვიური ხელფასი 72,2 მან. უდრის—ნომინალით იგი სტაბილურია, ხოლო რეალით—2,7 პროც. იზრდება საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების დაწევის გამო. 1926 წ. ივლისთან შედარებით აღებულ დარგებში თვიური ხელფასი 7,3 პროც. იზრდება, ხოლო სტაბილურია რეალით.

ტვირთ-ბრუნვა

რკ. გზების ტვირთ-ბრუნვა 2,9 პროც. იზრდება ადგილობრივი დატვირთვის გაძლიერების გამო (+8,6 პროც.) წინააღმდეგ მიღების შემცირებისა (—4,5 პროც.). ადგილობრივი დატვირთვის გაძლიერება უმთავრესად შავი-ქვის, ქვანახშირის, პურეულის, ხილის და მინერალური სამშენებლო მასალის დატვირთვის გაძლიერებით არის გამოწვეული.

რაც შეეხება **ნავსადგურების ტვირთ-ბრუნვას,** იგი შემცირებით ხასიათდება (—9,7 პროც.): უმთავრესად ნავთეულის და შავი-ქვის ექსპორტის შემცირების გამო. კაბოტაჟური ტვირთ-ბრუნვის დაკლების პირობებში.

აღებ-მიცემობა

გეგმიანი შემოტანა საერთოდ დამაკმაყოფილებლად შესრულდა; ცალკე საგნების შემოტანის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული: ხორბლეულისათვის (88,4 პროც.), მარილისათვის (+72,3 პროც.), შაქრისათვის (+75,7 პროც.) და სილიკატისათვის (+75,5 პროც.), ხოლო დანარჩენი ათი საგნის გეგმა არ შესრულებულა, განსაკუთრებით ეს ითქმის ფეხსაცმლებზე (—65,6 პროც.). სამრეწველო ლითონზე (—59 პროც.) და შალის ქსოვილზე (—52,8 პროც.).

საბითუმო ვაჭრობა 12,7 მილ. მან. უდრის,—67,9 პროც. იზრდება სას.-სამ. საგნებით ვაჭრობის გაძლიერების გამო (+274,6 პროც.).—დადებულ იქნა ხელშეკრულება მომავალი წლის განმავლობაში პურეულის შემოტანაზე. საბითუმო ვაჭრობის გაყიდვის ზრდა უმთავრესად სახელმწიფო ორგანოთა ხარჯზე ხდება (+83,7 პროც.). ხოლო ყიდვის მატება—კოოპერაციის ბრუნვების ზრდით (+66,3 პროც.). სახელმწიფო ორგანოთა საბითუმო ვაჭრობას 2,6 პროც. ზრდა ახასიათებს, ს. მ. უ. ს. ტრესტის ბრუნვის ზრდის გამო. რაც შეეხება **საცალო ვაჭრობას,** ის, სეზონურ პირობებთან დაკავშირებით, ქალაქად კლებულობს, სოფლად კი საგრძნობ იზრდება, უმთავრესად ჩატარებულ აბრეშუმის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით. საცალო ვაჭრობის საერთო ბრუნვებს (ქალაქი და სოფელი) შემცირება ახასიათებს, როგორც ყიდვაში, ისე გაყიდვაში.

ცალკე საქონლის ბაზრებიდან—ადგილი აქვს პურის სიმცირეს, რაც ფასების დიდ ზრდას იწვევს; ივლისში თავი იჩინა აგრეთვე ხე-ტყის და ფხვნილი შაქრის ნაკლებობამ. ყურადღებას იქცევს თივის დამზადების არა საკმარისი მასშტაბით გაშლა და ფასების მატება მასზე.—საჭიროა ბაზრის ჩრდილოეთ კავკასიის თივით მომარაგების მოწესრიგება. დიდი ნაკლებობაა აგრეთვე ფართლეულზე, რომლის შემოტანის გეგმა სისტემატიურად არა სრულდება. საგრძნობლად იზრდება მოთხოვნილება ლაფნის ყუთოლზე, გამოცოცხლება ახასიათებს ღვინის ბაზარს. დანარჩენი საგნების ბაზრები იმავე მდგომარეობაშია, რაც წინა თვეში აღინიშნა.

საქონლის ფასები და ინდექსი

თბილისში, როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასების საერთო ინდექსი მატულობს; მატება გამოწვეულია უმთავრესად სას.-სამ. საგნების ფასების სუბინდექსით, იმ დროს, როდესაც სამრეწველო საგნების ფასების სუბინდექსი საცალო ვაჭრობაში მატულობს, ხოლო საბითუმოში სტაბილური მატებით ხასიათდება აგრეთვე სრულიად საქართველოს ქალაქთა საცალო ფასების ინდექსი სას.-სამ. საგნების ფასების აწევის გამო, წინააღმდეგ სამრეწველო საგნების სტაბილობისა, კოოპერატიულ ვაჭრობაში საქართველოს მასშტაბით ფასების სტაბილობა გვაქვს, იმ დროს, როდესაც თბილისში საბიუჯეტო შენაწყობის ზრდა საერთოა. როგორც კერძო, ისე კოოპერატიულ ბაზარზე.

ცალკე საქონლის ფასებიდან ყურადღებას იქცევს პურეულის ფასების საერთო ზრდა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რაც შემოტანილი ფქვილის სიმცირით და ადგილობრივი მოსავლის ნაკლებობით უნდა აიხსნას. პურეულიდან ფასების ყველაზე დიდ ნახტომს იძლევა: ადგილობრივი ხორბლის ფქვილი, რომლის ფასმაც 7,7 პროც. აიწია ქალაქად, ხოლო 33,9 პროც. სოფლად; სიმინდის ფასი 12 პროც. იზრდება ქალაქად, ხოლო 16,4 პროც. სოფლად, ადგილობრივი ხორბალი ქალაქად 4,7 პროც. მატულობს, ხოლო სოფლად 12,6 პროც. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ღვინის ფასების ზრდა, რაც, ბაზრის გამოცოცხლებას და ახალი მოსავლის პირის გაუარესებას უნდა დაუკავშირდეს; მისი ფასი ქალაქად თუ 2 პროც. იზრდება, სოფლად 10,9 პროც. მატებას აღწევს. პურეულის საკმაო რაოდენობით ბაზრის მომარაგება ჩვენი საქმიანობის ცენტრში უნდა იქნას დაყენებული, თორემ მის მოუგვარებლობას ფასების დაკლების დარგში დღემდის მიღწეული შედეგები კითხვითი ნიშნის ქვეშ ისმება—მოსალოდნელი ახალი გართულებათა შესაძლებლობის პირობებში.

კრედიტი

ცალკე უმთავრესი საკრედიტო დაწესებულების მოქმედება მდგომარეობის ყველა მთავარი მაჩვენებლები მატულობენ, გარდა სალაროსი, რომელიც 2,3 პროც. მცირდება; 1926 წელთან შედარებით ყველა მათ მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებს (22,2 პროც. 46,7 პროც.-ტი.).

სესხის გადიდება საქართველოს კლიენტურისათვის თითქმის იმავ პროცენტში იხატება, რაც დანარჩენი კლიენტურისათვის გვაქვს. სესხი უდიდდება მრეწველობას და ვაჭრობას, ხოლო თითქმის ყველა დანარჩენ დარგებს უმცირდება სესხის გადიდება ხდება სახელმწიფო ორგანიზაციის ხარჯზე, წინააღმდეგ დანარჩენი კლიენტურისათვის მისი შემცირებისა.

სამელიორაციო სამუშაოთა გეგმა

მომავალი წლისათვის

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ მომავალი წლისათვის შეიმუშავა სამელიორაციო სამუშაოთა გეგმა. განზრახულია დაიხარჯოს ამ საქმეზე 6.538.700 მანეთი. გეგმა განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილია სახალხო კომისართა და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

გეგმაში გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები: ფოთის ჭაობების ამოშრობა 32.000 დეს. სივრცეზე, რისთვისაც საჭიროა დაიხარჯოს 400.000 მანეთი, აფხაზეთის ჭაობების ამოშრობა (10.500 დეს.)—ხარჯები გათვალისწინებულია 150.000 მანეთის რაოდენობით; აჭარისტანის ჭაობების ამოსაშრობათ 6.000 დეს. სივრცეზე გამოთხოვილია 35.000 მან.

მომავალ წლის განმავლობაში განზრახულია წინასწარი გამოკვლევების ჩატარება.

ვანი-ტობანიერის რაიონში სარწყავი სისტემის გასაყვანად გამოთხოვილია 375.000 მანეთი. მებამბეობის რაიონებში სარწყავი არხების შესაკეთებლად გამოთხოვილია 450.000 მან.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე აშურიანის ველის (2.700 დეს.), დოღლაურის (10.000 დეს.) სამგორის და დილომის ველების მოსარწყავი სამუშაოები. ყველა სამუშაოების შესასრულებლად ხარჯები გათვალისწინებულია 820 მან. რაოდენობით. აქედან 7.000 მანეთი გადადებულია აშურიანის ველის გამოსაკვლევად. ცალკე სამუშაოებათა აგრეთვე გამოყოფილ ალაზნის ველის და სამურზაყანოს ველის სამუშაოები. ორივე ველებზე სამუშაოთა შესასრულებლად. ხარჯები გათვალისწინებულია 1.600.000 მან. რაოდენობით.

არსებულ სარწყავ სისტემების რეკონსტრუქციისათვის, ახალი კვლევა-ძიებების ჩასატარებლად და სხვა წვრილმან სამუშაოთა შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებულია 100.000 მან. დახარჯვა. ტირიფონის ველის მოსარწყავ სამუშაოთა შესასრულებლად გამოთხოვილია 1.500.000 მან.

გეგმაში და მასთან დართულ ხარჯთაღრიცხვაში ნავარაუდევია აგრეთვე მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები, რისთვისაც გამოთხოვილია 400.000 მან.

ფინანსები ადგილობრივ მრეწველობისათვის

გუშინ ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებასთან შესდგა სპეციალური კომისიის თათბირი, სხვადასხვა მაზრებში ადგილობრივი მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ. თათბირს დაესწრნენ—ს. მ. უ. ს., კომუნალური ბანკის, ადგ. მრეწ. განყოფილების და სხვა დაინტერესებულ ორგანოთა წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა სენაკის სამაზრო კომუნალურ წარმოებათა ტრესტისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემის საკითხის ტრესტის მომავალ სამუშაოთა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

თათბირმა დაამტკიცა სამუშაოთა გეგმა მექანიკურ სახელოსნოს, სტამბის, ყინულის საკეთებელი ქარხნის, ლიმონათის ქარხნის; კირის წარმოების და სახერხი ქარხნის შეკეთებისა და მოწყობათა გამცვლის შესახებ. ყველა აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებელი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 48.361 მანეთის რაოდენობით. ამ თანხაში სენაკის სამაზრო აღმასკომს გრძელვადიანი კრედიტის სახით (3 წლის ვადა) მიეცა 25.000 მან.

გარდა ამისა თათბირმა სასურველად სცნო პირველი ოქტომბრიდან ზოგიერთ კომუნალურ წარმოებათა გადაყვანა ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ბარიტის მადნების დამუშავება

უახლოესი წლებისათვის ბარიტის მადნების დამუშავების გეგმის შესადგენათ სამთო-მრეწველობის ტრესტის მიერ ამას წინეთ ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრებში გაიგზავნა სპეციალისტთა კომისია.

კომისიამ შემოიარა ბარიტის მადნის ყველა ბუდობები ხვამლის, ნიძვის, მამაწმინდის, საბრეგელას და სხვა რაიონებში. კომისიის აზრით, აღნიშნული ბუდობები, თუ მათი დამუშავება დაყენებული იქნება რაციონალურ ნიადაგზე, სავსებით უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ბარიტზე.

პირველ ხანებში, კომისიის დასკვნების თანახმად, საჭიროა გაფართოებულ იქნეს მუშაობა მამაწმინდის, საბრეგელას და ლეჟერეთის ბუდობების საექსპლოტაციოდ. ამოღებული მადნის გამოზიდვის გასაადვილებლად საჭიროთაა ცნობილი, რომ ბუდობებიდან ოსეთის სამხედრო გზატკეცილებამდე მოეწყოს მადნის გადმოტანის ღარების საშუალებით. მთელ რიგ ბუდობებზე გადაწყვეტილია ახალი მაღაროების მოწყობა, ზოგან კი საურმე გზების გაყვანა.

ბუდობებიდან ჩამოტანილი მადანი თავმოყრილი იქნება მოლეკურაზე, სადაც განზრახულია მოეწყოს მადნის გასამდიდრებელი გაწმენდა (დახარისხება) სადგური, მუშათა საცხოვრებელი ბინები, კანტორა და საწყობები. მუშათა საცხოვრებელი ბინების მოწყობა გადაწყვეტილია აგრეთვე მადნების ამოსაღებ ადგილებზედაც.

დერჩის და ბოკერვანის რაიონში განზრახულია მოეწყოს ახალი საშალებები. ამ ბუდობებზე გაყვანილი იქნება 150 საჟენიანი ახალი მაღარო.

ტყეების დაცვა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან ერთად განიხილა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმე. გამოირკვა, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვა ვერ არის დაყენებული სასურველად. მრავალ რაიონში ტყეები იჩეხება მიზანშეუწონლად და უთავბოლოდ, რასაც შეიძლება მოყვეს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების განადგურება, ეს გარემოება კი საფრთხეს უმზადებს სატყეო მეურნეობას მთელ ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა სასწრაფოდ შეუდგეს ადგილობრივ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების მდგომარეობის დაწვრილებით გამოკვლევას და მიიღოს გადამწყვეტი ზომები მათ დასაცავად. ამ მიზნით ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შეუდგეს ტყეების გამოკვლევას, რაც უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელში. ამასთანავე ერთად ცალკე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს დაევალათ ყოველ მხრით დაეხმარონ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ტყეების მდგომარეობის გამოკვლევის და შესწავლის საქმეში. გამოკვლევის დასრულებისთანავე გამომუშავებული იქნება მკაცრი ზომები ტყეების გაჩეხვის წინააღმდეგ.

საკურორტო სეზონი

საკურორტო სეზონის მიმდინარეობის შესახებ, საკურორტო ბიუროში მიღებულია შემდეგი ცნობები:—უკანასკნელი კვირის განმავლობაში ყველა კურორტებზე საგრძნობლად აგრილდა. ზოგან მოვიდა დიდი წვიმაც. მიუხედავად ამისა მოაგარაკეები მრავლათ მიდიან კურორტებზე. აბასთუმანში. ცემში და ბორჯომში კი დეე ბინების კრიზისია. დიდძალი ხალხია აგრეთვე აგარაკ წყალტუბოზე.

საზაფხულო სეზონი თავდება: ბორჯომში—15 ოქტომბერს, აბასთუმანში—პირველ ნოემბერს, ცემში—15 სექტემბერს, წყალტუბოში პირველ ნოემბერს და წაღვერში პირველ ოქტომბერს.

საკურორტო ბიურო უკვე შეუდგა სამზადისს აბასთუმანში საზამთრო-საკურორტო სეზონის ჩასატარებლად.

ზამთრის სეზონში აბასთუმანში იმუშავებს პოლიკლინიკა, ლაბორატორიები და ზაფხულის სეზონში არსებული ყველა სამკურნალო-სამეცნიერო დაწესებულებები. ყოველთვიური გადასახადი თვითეულ ავადმყოფზე დაწესებულია: პროფკავშირების წევრთათვის—165 მან. და არა წევრთათვის—225 მანეთი. სეზონი დაიწყება პირველ ნოემბერს და გაგრძელდება პირველ აპრილამდე.

ზამთრის სეზონის განმავლობაში ბორჯომიდან აბასთუმანამდე მოწყობილი იქნება სისტემატიური საავტომობილო მიმოსვლა. ავტომობილები ბორჯომიდან აბასთუმანში გავლენ დღეში ერთხელ.

ა.-კ. მიწათმოქმედების სახკომატების თათბირი

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საერთო საკითხების განსახილველად და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების გეგმების შესათანხმებლად ამ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წელიწადში ორჯერ მოიწვიოს აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის დადგენილებები, რომლებიც მიღებული იქნება მიწსახკომების კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა რესპუბლიკების მიწსახკომებისათვის მათი სათანადო სახკომსაბჭოების მიერ დამტკიცების შემდეგ.

მიწსახკომების თათბირი გამოყოფს განსაკუთრებულ ბიუროს, რომელიც იარსებებს ამ-კავკასიის ცაკთან და იმუშავებს თათბირიდან თათბირამდე განვლილი დროის განმავლობაში.

მიწსახკომის თათბირების ბიუროს ფუნქციებში შედის: მიწსახკომების თათბირების მოწვევა და მათთვის ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაწევა, თათბირების მასალების მომზადება და სოფლის მეურნეობის ინტერესების დაცვა ამ.-კავკასიის ორგანოებში.

თანხები ბიუროს შესანახავად გაღებული უნდა იქნეს რესპუბლიკების მიწსახკომების მიერ.

მიწსახკომების უახლოესი თათბირი გადაწყვეტილია მოწვეული იქნეს 15 ოქტომბერს. თათბირის მუშაობის პროგრამაში შეტანილია შემდეგი საკითხები: ამ.-კავკასიის ნედლი მასალის მეურნეობის შესახებ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და სასუქების გამოყენების შესახებ.

კერძო ფურნეების ლიკვიდაცია

საზოგადოება „ხლებოპეკი", როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს გუშინ ამ საზოგადოების გამგეობაში უქმდება.

საზოგადოება აერთიანებდა თბილისის ყველა კერძო ფურნეებს. თუ რამდენად ფართო იყო მისი მოქმედება, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან საზ. „ხლებოპეკის" წევრები ყოველთვიურად ამუშავებდენ 100 ვაგონ ფქვილს, ხოლო მთელი წლის განმავლობაში გადაამუშავეს 1 მილიონამდე ფუთი. ხორბალს ისინი ნაწილობრივ იღებდენ სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, ხოლო ნაწილობრივ საკუთარი აპარატის საშუალებით ამზადებდენ. ხორბალი უმთავრესად კერძო წისქვილებში იფქვებოდა.

მაგრამ თანდათანობით, კოოპერატიული ვაჭრობის გადიდებასთან ერთად „ხლებოპეკში" გაერთიანებულ კერძო მეფურნეების საქმე ცუდად წავიდა. ძველი, მეტად ფართო ბაზრიდან მათ შერჩა უმთავრესად თორნის პურის ცხობა. მიმდინარე წლის დასაწყისში კოოპერაციამ დაიპყრო თბილისის პურის ბაზრის 75 პროც; ეს პროცენტი ყოველთვიურად იზრდებოდა, დაბოლოს კერძო მეფურნეებმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს.

ამის გამო სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა: კერძო ფურნეების პატრონებს უარი ეთქვა ფქვილის მიწოდებაზე; ამასთანავე, რასაკვირველია, მათ წაერთვათ პურის დამზადებაში მონაწილეობის მიღების უფლება.

უახლოეს ხანში დაიხურება ყველა დანარჩენი კერძო ფურნეები თბილისში. დარჩება მხოლოდ ზოგიერთი საკანდიტროები, რომელნიც მცირე რაოდენობის ფქვილს ხარჯავენ. (დღეში თითო ხარჯავს 4 ტომარა ფქვილს). ამ ფქვილს ისინი მუშკოოპიდან მიიღებენ.

პურის საცხობების მუშები ამით არაფერს წააგებენ: მათ შეუძლიათ კოოპერატიულ ფურნეში გადასვლა.

ტ.

ავტომობილის კატასტროფის გარშემო

კატასტროფის მიზეზები

გუშინ, სპეციალისტთა კომისიამ დაასრულა საქართველოს სამხედრო გზაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამორკვევა.

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვსწერდით, კატასტროფას ხელი შეუწყო შოფერ **შუსტოვის** დაბნევამ. ამის გამო შუსტოვი მოხსნილია სამსახურიდან.

საქმე დაწვრილებითი გამოძიების მოსახდენად გადაეცა საგამომძიებლო ორგანოს.

დაშავებულთა მდგომარეობა

გუშინ, „ზაკავტოპრომტორგი"-ს გამგეობაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

დარაჯ **პლოტნიკოვის** ცოლი მოთავსებულია დუშეთის საავადმყოფოში. მას დაზიანებული აქვს მარცხენა ხელი და მიღებული აქვს ტვინის კანტუზია.

თბილისის საავადმყოფოში მოთავსებულ ექიმქალის **კომაროვა - უსპენსკაიას** ჯანმრთელობა უმჯობესდება.

ს. ზახაროვა (ექიმის თანაშემწე — მოსკოვიდან) და **ა. პლესკოვსკაია** გუშინ უკვე გაეწერენ საავადმყოფოდან.

კატასტროფა ბაქო - შემახას გზაზე

როგორც ვსწერდით, 30 აგვისტოს, „ზაკავტოპრომტორგი"-ს „ბენც"-ის სისტემის ავტომობილს ბაქო - შემახას ხაზზე შეემთხვა მარცხი.

გუშინ, „ზაკავტოპრომტორგი"-ს გამგეობაში მიღებულ იქნა დამატებითი ცნობები კატასტროფის შესახებ.

კატასტროფის დროს ავტომობილში იჯდა 4 მგზავრი. ორმა მგზავრმა მოასწრო გადახტომა, ორი კი მძიმედ დაშავდა. ამათთაგან ერთი მგზავრი იქვე გარდაიცვალა.

დაშავდა თვით შოფერიც.

დაშავებულებს აღმოეჩინათ სასწრაფო საექიმო დახმარება.

როგორც გამოირკვა, ავტომობილი ხიდიდან გადავარდნილა ხრამში.

სპეციალისტთა კომისიის დასკვნით ხიდი დაძველებული ყოფილა.

ხიდის დაზიანებულ ადგილზე მიახლოვებისას შოფერმა მოაბრუნა მანქანა. ამ დროს მანქანა დაეჯახა ქვის კუნძებს. დაჯახება იმდენად მძლავრი იყო, რომ ავტომობილი განზე გადაწვა და გადავარდა ხრამში.

სესხი გლეხებს

თბილისის მაზრის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობათა შორის გასანაწილებლათ ღარიბ გლეხთა ფონდიდან გადადებული იყო 12.500 მანეთი გრძელვადიანი სესხი. აღნიშნულ სესხის გასანაწილებლათ 30 აგვისტოს შესდგა თათბირი რომელსაც დაესწრენ სას. სამ. ბანკის, „სოფლის კავშირი"-ს, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლები:

თათბირმა მხედველობაში მიიღო აღრიცხვაზე აყვანილი მოსახლეობის რაოდენობა და ამ მოსახლეობის შორის ღარიბ მეურნეობის რაოდენობა და ამის მიხედვით გაუნაწილა აღნიშნული თანხა 14 სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობას.

თათბირმა ამასთანავე წინადადება მისცა საკრედიტო ამხანაგობებს — აღნიშნულ სესხის გაცემის დროს უპირატესობა მისცენ ღარიბ მეურნეთაგან შემდგარ სხვა და სხვა გაერთიანებებს.

ჭაობების ამოშრობა

საქართველოში მრავალია ჭაობიანი ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ მალარიის გავრცელების ბუდეს. განსაკუთრებით ფეხ-მოკიდებულია მალიარია სამეგრელოში—სენაკის მაზრაში.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, ამ მაზრაში უკვე დაწყებულია ჭაობების ამოშრობა. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ჭაობების ამოშრობაზე დაიხარჯება 160.000 მანეთი. ამოსაშრობ ჭაობების სივრცე უდრის: 24.000 დესეტინას; რიონისა და ხობის მიდამოებში. 300 დესეტინას—ფოთის რაიონში, ხოლო 1300 დესეტინას ე. წ. ნარიონალზე.

წინასწარი გეგმით ეს ჭაობები ამოშრობილი უნდა იქნას 1932 წლის დამლევისათვის.

რათა ამოშრობილი რაიონები უზრუნველყოფილი იქნენ წყალდიდობის გამო ხელახლა ჭაობებად ქცევისაგან, პარალელურად იწარმოებს რიონის და სხვა მდინარეების ნაპირების გამაგრება.

ქრონიკა

გზათა სახ. კომისარიატის კომისია

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო გზათა სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივი ტრანსპორტის მდგომარეობის გამოკვლევა.

კომისიაში შედიან ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს უფროსი ინჟ. თაკიმოვი, ინჟ. ანისიმოვი და ინჟ. პილორი. დღეს კომისია შეუდგება მუშაობას.

პროფ. ფიგუროვსკი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის პოლიტექნიკ. ინსტიტუტის პროფესორი და აზერ. მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის მეტეოროლოგიური განყოფილების გამგე პროფ. ივ. ფიგუროვსკი.

პროფ. ფიგუროვსკის დავალებული აქვს გაეცნოს საქართველოში სეტყვასთან ბრძოლის საქმეს.

ახალშენები ტირიფონის ველზე

ტირიფონის არხის გაყვანის გამო, განზრახულია ტირიფონის ველზე საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან გადმოასახლონ უმიწო-წყლო გლეხები. პირველ რიგში ტირიფონის ველზე დასახლებული იქნება 18 უმიწო-წყლო გლეხი სოფ. იტენიდან. გლეხებს მიეცემათ სააღმშენებლო იასალა და სესხი მეურნეობათა მოსაწყობათ. გორის სამაზრო აღმასკომმა სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან ამ გლეხების დასასახლებლად გამოითხოვა (სესხად) 36 ათასი მანეთი. გლეხების დასახლება იწარმოებს ტირიფონის ველზე განზრახულ სააღმშენებლო გეგმით. სახლები აგებული იქნება ქართულ სტილზე, გაყვანილი იქნება განიერი ქუჩები, საერთოდ ახალშენები მოეწყობა გეგმაზე.

„საქართველოს ჩაი“

ა.-კავკასიის სახკომსაბჭომ განიხილა წინადადება სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის ჩაქვში გადაყვანის შესახებ და დაადგინა გამგეობა დატოვებულ იქნეს თბილისში.

ფასების დაკლება ფქვილზე

ა.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მნიშვნელოვნად დაუკლო ფასები ფქვილზე საქართველოში. ასე, მაგალითად, პირველი ხარისხის ფქვილზე 27 მანეთის მაგივრად დაწესებულია 24 მან. 95 კაპ. ცენტნერზე. ახალ ფასები საქართველოში შემოღებულია პირველი სექტემბრიდან.

ფასების დაკლება აზერბეიჯანში და სომხეთში გატარებული იქნება ამ დღეებში.

დახმარება სამტრედიის პროფსამდივნოს

საქ. პროფსაბჭომ სამტრედიის პროფსამდივნოს ქალაქის კლუბის შენობის დასამთავრებლად დახმარების სახით მისცა 500 მანეთი კულტფონდიდან.

„მოჯამაგირის ხმა“

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე, რათა ნება მიეცეს კავშირს გამოსცეს გაზეთი „მოჯამაგირის ხმა“.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა კულტგანყოფილებას მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობასთან ერთად დაამუშაოს აღნიშნული საკითხი და წარუდგინოს ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმს კონკრეტული წინადადებები ამ საკითხის შესახებ.

საგზაო მშენებლობა სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა მაზრებში გზების შესაკეთებლად გადასდო 9 ათასი მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **გადასაჯდომი ბილეთები.** ტრამვაის დირექციას დაევალა მუშა-მოსამსახურეთათვის შემოიღოს ვაგონიდან ვაგონში გადასაჯდომი ბილეთი.

◆ **ქალაქის სასაკლაოზე.** უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში დაკლეს 33.983 სული საქონელი.

◆ **წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის** აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს 150.000 მანეთი.

◆ **ტრამვაის მუშათა სახლი** დამთავრდება ახლო ხანში. სახლში მუშებს ჩაასახლებენ შემოდგომაზე.

განათლების კომისარიატში

◆ **ახალი კურსები.** დამდეგ სასწავლო წლიდან თბილისში იხსნება აღმშენებლობით ხუროთმოძღვრების კურსები.

◆ **ახალი სკოლები.** განათლების კომისარიატმა ახალციხეში, გახსნა 16 თურქული, 13 სომხური და 1 ქართული სკოლა.

ჯანსახკომში

◆ **ბორჯომში** ახალი ამბულატორიის ასაგებად გადადებულია 15.000 მანეთი.

◆ **ქეცის მკურნალობა.** ჯანსახკომმა წინადადება მისცა ადგ. ჯანმრთ. განყოფილებებს დაუყოვნებლივ თბილისში გადმოგზავნონ ქეცით დაავადებულნი.

შრომა № 6

გამოვიდა ჟურნალი „შრომა“ № 6 შემდეგი შინაარსით:

მოწინავე: ფასების დაკლების კამპანიის შედეგები. — როგორ ჩატარდა ფასების დაწევა ჩვენში — **ბ. მაჩაიძე,** ფასების დაკლების კამპანიის შედეგები — **ი. ზარიძე,** მუშათა დაწინაურების პრაქტიკული საკითხები — **ტომელი.**

შრომის დაცვა. — შრომის დაცვა და შრომის არტელები — **მ. ეღენტი,** შრომის დაცვა ტყიბულის მაღაროებში — **ლ. მაჩაიძე,** დაცვითი მუშაობა — **ალ. თურქია,** შრომის დაცვის ძირითადი საკითხები — **ლ. ელბაქიანი,** ცოტა რამ უმუშევართა დაზღვევაზე — **ვ. პაატაშვილი.**

კავშირები კულტურულ ფრონტზე: საუბარი პროფ-განათლების შესახებ — **გ. მებუკე,** ბოქსის მნიშვნელობა — **კაჯარ,** შრომის გმირი.

ადგილებზე: ჩვენი საწარმოო თათბირები— **პ. კვ—ძე,** გამოკვლევის შედეგები — **პროფმუშაკი.**

კაპიტალისტურ ქვეყნებში: საკკო და ვანცეტტი მოჰკლეს, კავშირებში პროფ. საბჭოში, კითხვა-პასუხი.

სხვა და სხვა

◆ **საქ. მუზეუმის დასამთავრებლად** კომუნალურმა ბანკმა გადასდო 100.000 მანეთი.

◆ **ცეკავშირის ინსტრუქტორთა** თათბირი გაიხსნება თბილისში 10 სექტემბერს.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ქრონიკაში მოთავსებული იყო ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქციამ ჰაეროპლანი „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შეაგროვა თავის ხელისმომწერლებში — 4.866 მანეთი

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, გაზ: „ახ. სოფლის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის საკუთრივ აგებს ჰაეროპლანს „ახალი სოფლის“ სახელწოდებით და ზემოაღნიშნული თანხა 4. 866 მანეთი შეკრებილი „ახ. სოფლის“ თანამშრომლებში და მკითხველებში შეტანილია თვითმფრინავ „ახალი სოფლის“ ფონდის გასაძლიერებლად.

—:—

შემთხვევები

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 6 სექ. ტრიბუნალის ქ. 7 გრიგოლ ჩხეიძის ბინიდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

◆ **ღიათ დარჩენილ კარებიდან** 6 სექ. გუდოვიჩის ქ. 11 გაქურდეს სევასტი თალაკვაძის ბინა.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 6 სექტ. პლეხ. გამზირი 171 გაქურდეს ალექსანდრა ლონჩინსკაიას სამკერვლო სახელოსნო. წაიღეს 1.600 მ. ტანისამოსი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 6 სექტ. მესხის ქ. 49 გაქურდეს ლევან შობიძის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ლერმონტოვის ქ. 19 ირინე ბარტის ბინიდან მოიპარეს 190 მან. ნივთები.

◆ **სასადილოს გაქურდვა.** 6 სექტ. პლეხ. გამზ. 43 გაქურდეს ალექსანდრე მაგრაქველიძის სასადილო, წაიღეს ვერცხლის საათი და 130 მან. ნივთები.

◆ **ფანჯრის მინების გამოღების** საშუალებით 6 სექტ. მადათოვის კუნძული 3 გაქურდეს ვლადიმერ ავალიანის ბინა.

◆ **დაჭრა.** 6 სექტ. შერემეტიევის ქ. 36 სერგო გაბუნიამ თავის ბინაზე შეუსწრო ქურდს, რომელთანაც მოუვიდა შეტაკება. ქურდმა დანით დასჭრა გაბუნია და მიიმალა ნაპარავი ნივთებით.

◆ **ქურდი ცოლი.** 6 სექტ. ფოთის ქ. 12 ნიკოლოზ თევდორაშვილის ბინა გაქურდა მისმა ცოლმა მარიამმა. წაღებულია 750 მანეთის ნივთები.

◆ **კედლის გამონგრევის** საშუალებით 6 სექ. პლეხ. გამზ. 175 გაქურდეს ნიკოლოზ შარლიაშვილის ღვინის სარდაფი.

ხელოვნება

მუსიკოსთა შრომის კოლექტივის კონცერტზე

თბილისის საკონცერტო ესტრადაზე პირველად გამოვიდა არა პროფესიონალი დირიჟორი, არამედ ორკესტრის ზოგიერთი მუსიკოსი. თუ გავითვალისწინებთ საორკესტრო კოლექტივის საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას, წინაწარ შეიძლება ითქვას, რომ პროგრამას ასრულებენ პასუხისმგებელი მუსიკოსები. მაგრამ ამ კონცერტზე შესაძლებელი გახდა ამა თუ იმ პირის დირიჟორული ნიჭის გამოჩენა.

მასნეს უვერტიურა „ფედრა“ შეასრულა ვიოლინოზე დამკვრელმა **სლონზნიკოვმა.** შესრულების დადებით მხარეებთან ერთად (კარგი ხმოვანობა, რიტმი) ადგილი აქვს უარყოფით მხარესაც. ეს არის უვერტიურის მკრთალი მელოდიური შინაარსი. არ შეიძლება ნაწარმოების შესრულება გარკვეული ფრაზიროვკის გარეშე. თემებში საჭიროა უფრო გარკვეული თანამიმდევრობის დაცვა. საჭიროა დრამის განვითარების ძირითადი მომენტების გამოყოფა (ფედრა—ძველი საბერძნეთის დედოფალი, რომელმაც არა ბუნებრივი გრძნობით შეიყვარა თავისი შვილი იპოლიტე) საჭიროა ფედრას განცდის, მისი სიკვდილის (ფინალური თემა), მუსიკალური თემების უფრო ნათლად გადმოცემა.

კონცერმეისტერმა **სტუპელმა** შეასრულა გლაზუნოვის საკონცერტო ვალსი. აქ, ძალიან რთულია თემატიური მხარე (მთავარი და დამატებითი თემები იხლართებიან რთულ ჰარმონიაში), სტუპელი მშვენივრად გაერკვა ამ თემებში და ასახა ნათელი მელოდიური სურათი.

ჩაიკოვსკის კვარტეტის ნაწილი სიმებიან საკრავებისათვის შეასრულა ფლეიტაზე დამკვრელმა **ზასუდინსკიმ.** შესრულება მუსიკალური იყო, მაგრამ აკლდა ემოცია. აქ საჭიროა მეტი განცდა. საკმაოდ მუსიკალურად შეასრულა ჩაიკოვსკის რომანსი ვიოლინოზე დამკვრელმა **იაზოვსკიმ.** იაზოვსკი გამოვიდა აგრეთვე, როგორც კომპოზიტორი და აი, სწორედ აქ იყო ის განსაკუთრებით საინტერესო. ის მუსიკაში არ ეძებს ახალ ბუნდოვან გზებს. მან საკუთარი ნიჭითა და ინტუიციით შექმნა მეტად შინაარსიანი და მელოდიური ნაწარმოები.

ილინმა მოხდენილად და ტემპერამენტით შეასრულა საბალეტო მუსიკა პონკიელის ოპერა „ჯიაკონდადან“ და მრავალ ფეროვანი მუსიკით ასახა მთელი რიგი ლამაზი და ეფექტიანი მომენტები.

ნიჭიერმა ვიოლონჩელზე დამკვრელმა **კაპელნიცკიმ** შეასრულა საკონცერტო შესრულებისათვის გადმოკეთებული ოპერა „პიკოვაია დამა“ და გადმოსცა მთელი რიგი ლამაზი ეპიზოდები, განსაკუთრებით კარგათ შეასრულა „სარაბანდა“. ზლატაგორის თემაში აკომპანიმენტის მუსიკა სჭარბობს მთავარ მელოდიას.

ელეფთერმა (ვიოლინოზე დამკვრელმა) ლამაზად შეასრულა ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“, მაგრამ ვალსი კი არ უნდა სრულდებოდეს ასეთი სწრაფი ტემპით.

კონცერტი დასრულდა შოპენის საკონცერტო პოლონეზის შესრულებით, უდირიჟოროთ (მოსკოვის „პერსიმფონსის“ ნიმუში).

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **გრომოვი და მილიჩი თბილისში.** დღეს ბაღ „არტო“-ში გაიმართება ცნობილ იუმორისტების გრომოვის და მილიჩის პირველი გასტროლი.

— **დები თარხნიშვილების კონცერტი.** დღეს გემო-კვების კავშირის კლუბში გაიმართება დები თარხნიშვილების კონცერტი.

— **სტოლერმანის კონცერტი.** საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის დირიჟორობით.

მედსანშრომის მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო ვენაძის, იუდინას, სპრიშევსკაიას და სხვ. მონაწილეობით.

— **მუშათა თეატრის** რუსული დრამის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.

— **სომეხ ხელოვანთა სახლთან** „ჰაიარტუნ-თან“ ამ თვის ბოლო რიცხვებში გაიხსნება დრამატიული სტუდია — სახელოსნო.

სასამართლო

ვახტანგ რაზიკაშვილის საქმე

გ. წ. 5 მაისს, **ვახტანგ ვაჟას (იგივე ლუკას) ძე რაზიკაშვილს** სოფ. ჩარგალში ესტუმრა ორი მეგობარი: **გიორგი პირქუშაშვილი და ილიკო თიბელაშვილი.**

საუზმის შემდეგ პირქუშაშვილმა უთხრა ვახტანგის დედას:

— შენ აქ რა გინდა, ვახტანგის საფლავს უნდა თხრიდეო.

ვახტანგმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ რადგან პირქუშაშვილი მთვრალი იყო, პასუხი არ გასცა.

ღამით სტუმრები წავიდნენ.

ამ ამბის შემდეგ გიორგისა და ვახტანგს შორის შავმა კატამ გაიარა. უკანასკნელ ხანებში მეგობრებმა შესწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა ერთმანეთთან.

ამ გარემოებას ზედ დაერთო ისიც, რომ ორთავეს ერთი ქალი შეუყვარდათ. ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირად ჰქონდა ადგილი უსიამოვნებას.

გიორგიმ წინადადება მისცა სატრფოს, ჩამოშორებოდა რაზიკაშვილს.

ქალმა მას კატეგორიული უარი განუცხადა.

პირქუშაშვილი ცდილობდა ხალხში ვახტანგისათვის სახელი გაეტეხა და ამ მიზნით უშვერი სიტყვებით ამკობდა მას.

ვახტანგმა გადასწყვიტა მოეკლა მისი შეურაცხმყოფელი პირქუშაშვილი.

არ გასულა დიდი ხანი, რომ რაზიკაშვილმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

ერთ დღეს, როცა პირქუშაშვილი და თიბელაშვილი ცხენებზე ისხდნენ და სოფ. მაღაროსკარში მიდიოდნენ, მათ გზაზე დახვდა ვახტანგ რაზიკაშვილი. ის ჯერ მიესალმა მათ, შემდეგ კი ოთხჯერ ესროლა „ნაგანის“ რევოლვერი პირქუშაშვილს. უკანასკნელი მძიმედ დაჭრილი, გადმოვარდა ცხენიდან.

რაზიკაშვილი შეჯდა პირქუშაშვილის ცხენზე და გამოცხადდა თიანეთის უბნის სახალხო გამომძიებელთან, რომელსაც უამბო მომხდარი უბედურების შესახებ.

რაზიკაშვილის საქმე წარსული წლის 26 სექტემბერს გაარჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ დუშეთში.

სასამართლომ სცნო, რომ რაზიკაშვილის მიერ მკვლელობა ჩადენილია თავდაცვის ნიადაგზე და ამიტომ საჭიროდ არ ჩასთვალა მის მიმართ სოციალური დაცვის ღონისძიებების შეფარდება.

პროკურორმა საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ საქმე გასარჩევად გადასცა ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

რაზიკაშვილის საქმე ამ დღეებში გაირჩა ხელმეორედ დუშეთში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ ამხ. ა. თენეიშვილის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ რაზიკაშვილი დამნაშავედ სცნო მკვლელობის წინასწარი განზრახვით ჩადენაში, რისთვისაც **მიუსაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და ორი წლით შეუზღუდა სამოქალაქო უფლებები.**

სახლის პატრონის მოკვლა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დასრულდა **ვასილ მელიქოვის** საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, მელიქოვს ბრალდებოდა **მოქ. აზალოვის მოკვლა.**

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულსა და მოკლულს შორის წინად ცუდი განწყობილება არსებობდა.

აზალოვი მოწადინებული იყო მელიქოვი გაესახლებინა თავის ბინიდან და როცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას.

სასამართლომ სცნო, რომ მელიქოვმა მკვლელობა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით, რისთვისაც **მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.**

„ქურთ—თამარა“ და „არაბუშა“

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაზხის** თავმჯდომარეობით, დაიწყო **თამარა საფაროვას,** (მეტ სახელად „ქურთ—თამარა“-ს), **გრიგოლ ნიჟარაძის და ხევერიან ნინუას** საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ **გიორგი ქათამაძის,** მეტ სახელად „არაბუშა“-ს მკვლელობა.

ბრალს სდებს პროკურორი **ირ. კუპრაშვილი,** ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ლომინაძე და ლოზინსკი.**

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

ბიბლიოგრაფია

„სოფლის მეურნეობა“ № 1. ივლისი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და ა. ლ. კ. კ. ცეკას ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი.—გაზ. „ახალი სოფელი“-ს გამოცემა. ტირაჟი 1.500. გვ. 77, ფასი 40 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის დიდ მოთხოვნილებას ჩვენში თუნდაც სასოფლო გაზეთის („ახალ სოფლის“) ასეთი ფართო გავრცელება ააშკარავებს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის არც ერთს დარგში ისე უგეგმოთ, მეურნეობითი პირობების შეუსწავლელად არ ხდება ამდენი სამუშაო ძალის დახარჯვა, როგორც სოფლის მეურნეობაში. აქ ყოველივე ერთხელ განმტკიცებულ ჩვეულებით მიმდინარეობს, ამისათვის დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ მეურნეობის ამ კონსერვატიულ დარგში გამოყენებულ იქნეს კულტურის მიღწევები და ჩვენი სოფლის მეურნეობა დაეყრდნოს ახალ, ტეხნიკურ საფუძველზე.

საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ გამოცემული ჟურნალი ამ მიზანს ისახავს, პირველ წერილში სახ.კომ. ა. გეგეჭკორი განმარტავს ჟურნალის დანიშნულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რათა დაამუშაოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით ყველა საკითხები: სასოფ.-სამ. პოლიტიკა, ეკონომიკა, ტეხნიკა, მეურნეობის ფორმის საკითხი, სხვადასხვა კულტურები, სასოფლო-სამეურნეო სწავლა - განათლების საქმე და ყოველივე ის, რაც სოფლის მეურნის მოქმედებასთან არის დაკავშირებული. ამ მიზნით რედაქციას საიმედო დამხმარე ძალათ მიაჩნია ახალგაზრდობა, ამიტომ რედაქცია კონტაქტში შესულა ა. ლ. კ. კ. ცეკასთან და ჟურნალი მათი უშუალო მონაწილეობით გამოდის. ჟურნალში შემდეგი ოთხი წერილი განმარტავს ახალგაზრდობის როლს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში და ახალი ტიპის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მნიშვნელობას.

ჟურნალში უმთავრეს ყურადღებას იპყრობს სპეციალისტების წერილები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. ეს წერილები უფრო თეორიული ხასიათის არის და მიუთითებენ იმ ახალ ღონისძიებებზე, რომელნიც არსებითს ცვლილებებს შეიტანენ ჩვენს სოფლის მეურნეობაში, ასეთია ვ. ხოფერიას აზრით, მაგ., პატივის სახით ნაცარის გამოყენება, ამ მეტად მნიშვნელოვანი სასუქის გამოყენება დღემდე ჩვენში უყურადღებოთ არის დატოვებული და იგი უნაყოფოდ იკარგება.

დ. სამადაშვილი ეხება საცდელ საქმეს ჩვენში ავტორის აზრით, ჩვენი მოსავლიანობის ჩამორჩენილობის მიზეზი სხვადასხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენში საცდელი საქმის ცუდათ დაყენებაა. საცდელი საქმის კარგად დაყენება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ საერთო ბლოკადის დროს გერმანიამ თავი დააღწია სიმშილისაგან განადგურებას, ეს მხოლოდ მისი საცდელ დაწესებულებათა მეოხებით, რომლისთვის იგი არავითარ ხარჯებს არ ზოგავდა და საცდელმა დაწესებულებებმა თავის მხრიო ახალი აღმოჩენებით დაიხსნა ქვეყანა. შეერთებულ შტატებშიც საცდელი საქმე აღიარებულია მეურნეობის განვითარების ფუძეთ, სადაც დახარჯული თანხა ნაზღაურდება 1:500. მხოლოდ საცდელი საქმის კარგად დაყენებით შეიძლება ჩვენი მეურნეობის წინ წაწევა.

ვ. ჯაში წერილში, „ჩვენი სოფლის მეურნეობის მტკივნეული საკითხები“ აღნიშნავს უკანასკნელ ხანებში სოფლის მეურნეობის ტეხნიკით გატაცებას, მაშინ როდესაც სრულიად არ არის შესწავლილი ამ მეურნეობათა ეკონომიკა, ამა თუ იმ კულტურის შემოსავლიანობა და მისი ეკონომიური უპირატესობა სხვა კულტურაზე. ამისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს: **„პირველად ყოვლისა საჭიროა არსებულ კულტურების ეკონომიური თვალსაზრისით შესწავლა, მათი შედარებითი რენტაბელობის გამორკვევა, რომლის შემდეგ შესაძლებელია სწორი დიაგნოზის დასმა და გარკვეულ ღონისძიებათა გეგმიანათ დასახვა და ჩატარება“.** აქ სწორად არის საკითხი დასმული, ჩვენს სას.-მეურნეობის მრავალგვარ დარგებში, ბევრია სრულიად სხვადასხვა შემოსავლიანობის მომცემი დარგები, მაგრამ მათი სერიოზულად შეუსწავლელობის გამო, ნაკლებად შემოსავლიანი დარგი მაინც განაგრძნობს არსებობას, რაც ისედაც ნაკლებად ნაყოფიერ მიწადმოქმედის შრომას, სრულიად უნაყოფოდ ხდის. ეს უნდა მიიღოს მხედველობაში სოფლის მეურნეობაში ჩაბმულმა კულტუროსანმა ძალებმა, რათა სხვადასხვა მეურნეობის რენტაბელობის შესწავლით, შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანის განსაზღვრა.

აღსანიშნავია **კ. მ. ამირაჯიბის** წერილი — „ნიადაგების ჰიგიენა“-ს სირთულე, რომელიც საშუალო მკითხველისათვის ძნელი გასაგებია; აგრ. **ი. ქურდიანის** წერილი — ტეხნიკურ კულტურის შესახებ, უფრო შემოკლებით ჟურ. „სოფლის კომუნისტ“-ში იყო დაბეჭდილი.

ჟურნალში ცალკე განყოფილებათ არის მოცემული: „წერილები ადგილებიდან“, სას.-სამეურნეო ქრონიკა, კითხვა-პასუხი, მაგრამ აქ მოთავსებული მასალა ერთობ მცირეა.

ბიბლიოგრაფიის სახით მოცემულია ოთხი საბიბლიოგრაფიო შენიშვნა სხვადასხვა საკითხებზე და უცხო ჟურნალებზე, მაგრამ ამ შენიშვნის სირთულემ და სიუცხოვემ არა გვგონია „სოფლის მეურნეობის“ მკითხველების ბიბლიოგრაფიული მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

საინტერესოა, ნუ თუ ჩვენში ამ ხანებში არც ერთი ისეთი სას.-სამეურნეო ხასიათის წიგნი არ გამოსულა, რომ ჟურნალ „სოფლის მეურნეობის“ საბიბლიოგრაფიო ნაწილის ხელმძღვანელთა ყურადღების საგნად გამხდარიყო.

საერთოდ, ჟურნალს აქვს ზოგიერთი დეფექტები: ზოგიერთ ნაწილებს შორის ისეთი განსხვავება არის რომ ჟურნალის ნაწილებს აშორებს ერთმანეთს. ჟურნალისათვის რომელიც საშუალო მკითხველისათვის არის დანიშნული, ისეთი რთული წესებს როგორიცაა „ნიადაგების ჰიგიენა“ არ გამოდგება, რედაქციას მტკიცედ უნდა ჰყავდეს გათვალისწინებული თავისი მკითხველთა კონტიგენტი და ანგარიში გაუწიოს მათ მომზადებას. ჟურნალის რედაქცია მოისუსტებს. სუსტია ჟურნალი ტეხნიკურადაც. გარდა სურათებისა შიგ არ არის არც ერთი კლიშე, რაც ჟურნალს საუწყებო ხასიათს აძლევს; ამ ჟურნალს, როგორც ჩვენს სასოფლო-მეურნეობაში ჩაბმულ კულტურულ ძალების დამხმარე სალიტერატურო ნაწარმოებს, საქმის კარგად დაყენებით დიდი მომავალი აქვს, ამისათვის რედაქციამ უნდა ეცადოს, თავის გარშემო შემოკრიბოს მკითხველთა ფართო მასები, და მით მისი არსებობის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს.

ვ. მ.

საქართველოს ცხენოსანშენის ცხენები

მოსკოვის იპოდრომზე

რუსეთის მიწსახკომის მიერ ამ ზაფხულს მოსკოვის იპოდრომზე მოწყობილ ცხენთა საკავშირო გამოცდაზე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

გამოცდა სექტემბრის ცხრას დამთავრდება, მაგრამ უკვე გამოირკვა, რომ საქართველოს სახელმწიფო ცხენთსაშენს, დოღში მონაწილე ცხენების მიერ მიღებულ ჯილდოს მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მეორე ადგილი რუსეთის უდიდეს ცხენთსაშენს—ჩესმენისას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს ცხენთსაშენს გამარჯვება მოუპოვა იმ ცხენებმა, რომლებიც დაბადებულ-აღზრდილნი არიან ამ ცხენთსაშენში და გაიწვრთნენ ადგილობრივ საწვრთნელ საჯინიბოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის იპოდრომზე ჩვენი ნახევარ-სისხლიანი ცხენები ეთერი, დარდიმანდი, დარდიანი, დაირა) მეტოქეობას უწევდენ წმინდა-სისხლიან ცხენებს.

რკინისგზეზე

მისასვლელი ხაზის გაყვანა

„აზნავთის“ მიერ ბათომში შენებულ ნავთის საწმენდ ქარხნებისათვის შენდება ორი მისასვლელი ხაზი, სამუშაოების ადგილთან საჭირო მასალების მისატანად.

ა.-კ. სახკომსაბჭოს კომისია

„ზაკპოგრუზი“-ს მდგომარეობის გამოსაკვლევად და მასთან ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას შორის ნორმალურ ურთიერთ დამოკიდებულების დასამყარებლად, ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით შექმნილია სპეციალური კომისია, ამხ. **სამოილოვის (თავმჯდომარე), გაბუნიას და გორიანოვის** შემადგენლობით.

კომისიამ ათი დღის განმავლობაში უნდა შეადგინოს მოხსენება „ზაკპოგრუზის“ მდგომარეობის გამოსარკვევად.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი 8 სექტემბერი

დღეს რადიო-მუშაკების დასასვენებელი დღეა; რადიო—გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 9 სექტემბერი

პარასკევს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირელთა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე (7-7 20).

კოოპერაციის როლი სოფლის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, რუსულ ენაზე (7—20—7—40).

მელიორაცია ამიერ-კავკასიაში, თურქულ ენაზე (7—40—8).

მესამე საგლეხო სესხი. სომხურ ენაზე—8—8—20).

საუბარი ჰიგიენაზე, თურქულ ენაზე (8—20—8—40).

ტეხნიკური კონსულტაცია, ქართულ და რუსულ ენებზე (8—40—9).

ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია, ქართულ და რუსულ ენებზე (9—9—20).

კონცერტი (9—20—11).

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 8 სექტემბერს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია:** მარიამ შოიშვილი; **გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია:** ივანე დადიანი; **მშენებელ მუშაკთა მე-5-თე სექცია:** ივანე არუთინოვი; **რკინისგზის მე-7-ე სექცია:** დავით მაჭავარიანი.

სპორტი

ფეხბურთის სეზონი

კვირას, 11 სექტემბერს, გაიხსნება ფეხბურთის საშემოდგომო სეზონი. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ საკმაოდ ძლიერი გუნდები.

სეზონის გახსნამდე, თბილისის ფიზკულტურის საბჭო აწარმოებს ფეხბურთელთა გუნდების რეგისტრაციას. ჯერ - ჯერობით პირველი კლასის გუნდებიდან რეგისტრაციაში გატარებული არიან: „არსრაიონ—1“, „არსრაიონ—2“, „დინამო—2“ (საგზაო - სატრანსპორტო სახელმწ. პოლიტსამმართველოს თანამშრომლებიდან), „საბჭოთა - სავაჭრო მუშაკები“ და სხვა.

ამ სეზონში მოსალოდნელია პირველი კლასის ფეხბურთელთა გუნდების რიცხვის გადიდება.

კალათბურთის სეზონი

კალათბურთის შემოდგომის სეზონი გაიხსნება 20 ოქტომბერს. სწარმოებს გუნდების წინასწარი რეგისტრაცია.

მოსალოდნელია საინტერესო შეჯიბრები, რადგან სეზონში წარმოდგენილი არიან საკმაოდ ძლიერი გუნდები.

შეჯიბრი მძლეოსნობაში

18-დან 25 სექტემბრამდე ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდება შეჯიბრი მძლეოსნობაში. შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც კოლექტივები, ისე ერთეული სპორტსმენები.

ამასთანავე, შეჯიბრში მონაწილენი მონაწილეობას მიიღებენ სროლის შეჯიბრშიაც. უკანასკნელი იწარმოებს თბილისის ფიზკულტურის საბჭოს სასროლო ტირში. სროლა იქნება სამხედრო რუსულ შაშხანა თოფებიდან შემცირებული დატენით. მანძილი იქნება 40 მეტრი. ნიშანი № 5.

თითოეული მონაწილისათვის საჭიროა 45 კაპ. შეტანა.

სტადიონი ფოთში

ფოთში დამთავრდა ახალი დიდი სტადიონის აგება; სტადიონი აგებულია ფოთის აღმასკომის და ფიზკ. საბჭოს მიერ. სტადიონი მეტად მოხერხებულ ადგილზეა მოწყობილი. ერთი მხრიდან სტადიონს აკრავს ზღვა, მეორე მხრიდან კი რიონი, რაც საშუალებას იძლევა სტადიონზე ჩატარებული იქნეს შეჯიბრები წყალის სპორტში.

განზრახულია ზოგიერთი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში გათამაშებულ იქნეს ფოთის სტადიონზე.

ფიზკულტურის ბიურო

საქართველოს პროფკავშ. საბჭოსთან არსებული ფიზკულტურის ბიურო საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობა:

გერასიმოვი, მერკვილაძე, კიკნაძე, ორჯონიკიძე (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი), **კანდელაკი** — (თბილისის რკ. გზ. უბნის კავშირიდან), **გურული** (სურსათ - გემოვნების კავშირიდან) და **თავდგირიძე** (კომუნალურ მეურნეობის კავშ.).

ნარევი

სიკვდილით დასჯა ელექტრონის საშუალებით

ცდები ელექტრონის გამოყენებაზე ბოროტმოქმედთა დასასჯელად ელექტრონის საშუალებით პირველათ სწარმოებდა ცნობილ **ედისონის ლაბორატორიაში,** — ასე გვაცნობს ამერიკელი პროფ. **იულიუს კრეტერი.** თავის ერთ ერთ შრომაში.

„24 ძაღლი, ორი ხბო და ერთი ცხენი მოჰკლეს ელექტრონის დენით და ამერიკის მედიცინა დარწმუნდა ელექტრონის საშუალებით სიკვდილით დასჯის უაღრეს „ჰუმანიურობაში“.

1889 წ. პირველ იანვარს დამტკიცებულ იქნა აქტი გენიალურ მისტერ Cerry-ის პროექტით სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ, შემდეგ ელექტრონით დასჯის საკითხი აღიძრა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ყველგან უარყოფილ იქნა, როგორც „არაჰუმანიური“.

პროექტის მიხედვით გადაწყვეტილი იყო ბოროტმოქმედთა მოკვლა 1.500 ვოლტიან ელექტროდენით. ელექტროდენი მიმაგრებული უნდა ყოფილიყო თავზე და წელზე.

პირველად ელექტრონის სკამზე დასჯილ იქნა ვინმე **ვილიამ კემლერი,** რომელიც 1890 წ. 29 აგვისტოს მოჰკლეს ობურინის ციხეში, ნიუ-იორკში.

აი როგორ აგწერს პროფ. **იულიუს კრეტერი** ამ დასჯას:

„—სიკვდილით დასჯას დაესწრო 25 მოწმე, მათ რიცხვში 14 ექიმი, ერთ ოთახში იყო: დინამ-მანქანა, ვოლტმეტრი და სხვ., მეორეში —ელექტრონის სკამი, მსჯავრდებული დააჯინეს სკამზე და ღვედებით მიაკრეს მასზე. თავზე დაახურეს ლითონის მუზარადი, რომელიც მიამაგრეს ნიკაპს ქვეშ და შუბლზე. გაუშვეს ელექტრო დენი და უბედური საშინლად დაიგრიხა. 17 წამის შემდეგ დენი ჩაჰკეტეს. მსჯავრდებული მკვდარათ ჩასთვალეს, მაგრამ 30 წამის შემდეგ მან საბრალოდ ამოიკვნესა და პირიდან ლორწოი წამოუვიდა. მაშინ, ორი წუთის შემდეგ, მის სხეულში ხელმეორედ გაატარეს დენი მანამდე, სამან იმ ადგილებზე, სადაც ელექტროდები იყო მიმაგრებული, ტანს ცეცხლი არ გაუჩნდა. ბოროტმოქმედი მოკვდა“.

1891 წ. 7 ივლისს სიკვდილით დასაჯეს: **სლოკუმი, სმაილერი, უოდა და ჯელჯიგო.**

„პირველი დენის გაშვების შემდეგ მეოცდა ჩვიდმეტე წამზე სლოკუმის მაჯისცემა გრძელდებოდა, ორი წუთის შემდეგ მას განუახლდა ნორმალური სუნთქვა, სმაილერის ტანში სამჯერ გაატარეს დენი და ის კიდევ სუნთქავდა. ოთხივეს ცეცხლი გაუჩნდა სხეულში რამოდენიმეჯერ დენის გაშვების გამო.

1893 წ. 6 ივნისს ბოროტმოქმედის სიკვდილით დასჯის დროს, კლინტონის ციხეში, როცა მსჯავრდებულის სხეულში გაატარეს 1.660 ვოლტიანი ელექტროდენი, მესამოცდაორ წუთზე ის კიდევ სუნთქავდა და იძულებული შეიქნენ ხელმეორეთ გაეტარებიათ დენი მის სხეულში.

ვილიამ ტეილორის დასჯის დროს 1893 წ. 27 ივლისს. პირველმა დენმა არ მოჰკლა იგი. მეორე დენი კი ვერ გაატარეს, რადგან დინამმანქანა გაფუჭდა. ნახევრად დამწვარი კაცი საშინლად კვნესოდა და ოხრავდა. ექიმებმა მას მორფი მისცეს. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გააკეთეს მანქანა და მოჰკლეს ბოროტმოქმედი“.

ასეთია ის „ჰუმანიური“ მეთოდი, რომელიც არსებობს, „განათლებულ“ ამერიკაში ბოროტმოქმედთა დასასჯელათ სიკვდილით.

პროფ. კრეტერი მკვლელობის ამ „ჰუმანიურ“ წესს ადარებს ადამიანის დაღრჩობას წყალში ან ცოცხლად დამარხვას მიწაში.

სიფილიტიკების და ჭლექიანების წინააღმდეგ

ნორვეგიაში შემუშავებულია კანონ-პროექტი, რომლის თანახმად სიფილიტიკებს და ჭლექით ავადმყოფებს ეკრძალებათ ნორვეგიაში შესვლა.

მეცნიერება და ტეხნიკა

მალარიასთან ბრძოლა

მალარიასთან მებრძოლ მოწაფეთა ორგანიზაციები

მალიარია, — ეს კაცობრიობის საშინელი სენი,- არა ერთხელ ყოფილა კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებულ მთელ რიგ რაიონების განადგურების მიზეზი. არა ერთი და ორი კუთხეები ვიცით ჩვენ, სადაც ოდესღაც ბუნების სიუხვით გალაღებული ადამიანები უზრუნველად სცხოვრობდნენ, მაგრამ დღეს სასტიკმა მალიარიამ უდაბნოდ გახადა, ზოგან ელვის სისწრაფით და ზოგანაც თანდათანობით მუსრი გაავლო ამ ადგილებში მცხოვრებთ. საქართველო და კერძოდ მისი კუთხეები — კახეთი და სამეგრელო უძველესი დროიდან ცნობილნი არიან მალიარიის გავრცელებით. როგორც ჩვენი აგრეთვე უცხოელი ისტორიკოსები, მოგზაურნი, აგვიწერენ იმ საშინელ სურათს, რომელსაც ქმნიდა მალარია ჩვენს ქვეყანაში. დღესაც დიდ საშიშროებას უმზადებს ჩვენს ხალხს ეს ავადმყოფობა. მოვიგონოთ საბურთალოს ამბავი, მოვიგონოთ ის მსხვერპლი, რომელიც შეიწირა მალარიამ. აქ მიუხედავად სასწრაფო და ენერგიული ზომების მიღებისა.

გადავხედოთ სამეგრელოს მომავალ მოზარდ თაობას, დავაკვირდეთ მათ გამხმარ გაფითრებულ - გაყვითლებულ სახეებს, გასიებულ მუცლებს და [illegible] ჩუმად, [illegible] სხვა გზით ერთ [illegible] ვლენაა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ [illegible] ლოს შემთხვევა იყო გამომაფხიზლებელი და [illegible] მოყვა მთელი რიგი ზომების მიღება, სამეგრელოში მცხოვრებნი თანდათან შეჩვევიან მაფარულ სენს და ავადმყოფობად არც კი მიაჩნიათ.

მისი საშიშროება ვერ წარმოუდგენიათ ერთის მხრით შეჩვევისა და მეორეს მხრით შეუგნებლობის გამო. ამიტომაც მალარია ასეთ კუთხეებში უფრო მეტ ზიანს გვაყენებს და მასთან ბრძოლაც უფრო ძნელია.

აქ ძნელია ხალხის ამოქმედება და ჩვენ ვიცით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მალარიის საწინაღმდეგო ზომებმა მიზანს მიაღწიეს თვით ხალხია აქტიური მონაწილე ამ ზომების მიღებაში. იტალიაში ეს სენი ეროვნულ უბედურებად არის გამოცხადებული და ხელისუფლებასთან ერთად მთელი ხალხიც შეგნებულად ებრძვის მას, ხარჯავს აურაცხელ თანხებს. ამერიკაში ხალხი კისრულობს მალარიასთან ბრძოლის ხარჯების ორ მესამედს და მთავრობა ეწევა მხოლოდ ერთი მესამედით.

რა თქმა უნდა ჩვენში ვერ მოვთხოვთ ისედაც ეკონომიურად ჩამოქვეითებულ გლეხობას რაიმე თანხების გაღებას, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ხარჯებს ეწევა ხელისუფლება, ბრძოლა მალარიასთან იქნება უნაყოფო, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ხალხში შეგნების შეტანა და თვითმოქმედების გაღვიძება. ანკი როგორ შეიძლება მიზანს მივაღწიოთ, როდესაც ხალხი ჯერ კიდევ მალარიის საწინააღმდეგოდ მარჩიელებს მიმართავს და თავიანთ ეზოებში ხელოვნურად აჩენს ჭაობებს და ტბებს.

სანიტარულ საგანმანათლებლო ხასიათის დიდი მუშაობაა საჭირო და მარტო ექიმები ვერას გახდებიან, თუ არ დავიხმარეთ შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. სოფლის მასწავლებლობას და მოწაფეობას შეუძლია ყველაზე მეტი სარგებლობა მოგვიტანონ ამ საქმეში. იქ, სადაც ექიმები ვერ მისწვდებიან, მასწავლებლებს და მოწაფეებს შეუძლიათ მჭიდრო კავშირი გააბან, მხოლოდ საჭიროა მოწაფეთა ორგანიზაციულად შეკავშირება და მათი სათანადოდ მომზადება.

ამ მიმართულებით საკუთარი დაკვირვებები აქვს ზუგდიდის სამალარიო სადგურს, რომელმაც ჯერ კიდევ 1925 წ. ზაფხულში შეადგინა მალარიასთან მებრძოლი რაზმი ქალაქის ფარგლებში არსებული სკოლების მოწაფეებიდან.

მოწაფეები ხალისით ჩაეწერენ ამ მაზრაში, ისმინეს სპეციალურად მათთვის მოწყობილი ლექციები და მას შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებენ სადგურის გამოკვლევითი, პროფილაქტიკური და სანიტარულ საგანმანათლებლო ხასიათის სამუშაოებში. მონაწილეობას იღებენ ტბების და მდინარეების გამოკვლევაში, ახდენენ წყალსაცავთა აღრიცხვას მათზე ყოველდღიურ დაკვირვებით, ახდენენ ქალაქის ქუჩების და ეზოების დათვალიერებას, აგროვებენ კიდების მოსახდენად და მუზეუმისათვის კოღოს კვერცხებს, ბოყოებს და თვით კოღოებს, არკვევენ, თუ როდის გამოფრინდებიან გაზაფხულზე პირველი კოღოები, როდის იწყებენ ზამთრობას და ან სად ზამთრობენ და რაც უმთავრესია, ისინი სამალარიო სადგურზე ნახულს ან გაგონილს გადასცემენ თავიანთ ოჯახის წევრებს და ამ რიგათ ქმნიან ცოცხალ კავშირს სადგურსა და მოსახლეობას შორის.

რაზმელები აწყობენ აგრეთვე მიტინგებს, გამოდიან ქუჩებში მწყობრად პლაკატებით, ავრცელებენ პოპულიარულ ლიტერატურას და საერთოდ ეწევიან ფართო აგიტაცია - პროპაგანდას.

ქალაქის ფარგლებში მუშაობის კარგმა შედეგმა სადგურს მისცა საბაბი მუშაობის გაფართოვებისა, მოწყობილი იქნა ასეთივე ორგანიზაცია ერთ-ერთ მახლობელ სოფელში, სახელდობრ ჯუმში. აქაც მიღებული შედეგები მეტად მნიშვნელოვანია.

სხვათა შორის მოწაფეებმა გამოიკვლიეს რამდენ მუშა ხელს კარგავს სოფელი ერთი კვირის განმავლობაში მალარიით დაავადების გამო.

აღმოჩნდა, რომ სოფელმა, სადაც სცხოვრობს შრომის უნარის მქონე 240 სული, დაჰკარგა ერთი კვირის განმავლობაში 186 მუშა ხელი.

გასული წლის ნოემბრიდან ზუგდიდის სადგურმა მალარიასთან მებრძოლი რაზმი დაჰყო ჯგუფებად და აწარმოებს მათ შორის სისტემატიურ მუშაობას ლექციების კითხვისა და პრაქტიკული მუშაობების სახით.

სადგურს უკვე ჰყავს მთელი კადრი მოწაფეთა რომელთაც დაახლოვებით სავსებით შესწავლილი აქვთ თანამედროვე შეხედულობა მალარიაზე, შეუძლიათ გამოცნობა მალარიის გადამტან კოღოების და აგრეთვე იციან მათთან ბრძოლაც.

ამრიგად მომზადებული მოწაფეობა, ჩვენის აზრით, მეტად დიდ ღვაწლს შეიტანს მალარიასთან ბრძოლის საქმეში. სხვა ღონისძიებებთან ერთად ეს ორგანიზაციებიც დააჩქარებენ სოფელში შეგნების შეტანას, გამოაფხიზლებენ და აამოძრავებენ მალარიის მიერ დაჩლუნგებულ-მიძინებულ ფიზიკურ და გონებრივ ძალღონეს.

ამავე აზრს ამტკიცებს ის შედეგები, რომელიც მიიღო სოხუმის ცენტრალურმა ტროპიკულმა სადგურმა მოწაფეთა ასეთივე ორგანიზაციების მოწყობით.

ექ. კუკუ ჩხოლარია.

იურიდიული რჩევა-დახმარება

პროფკავშირის წევრობის შესახებ

კითხვა

გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ ვის არა აქვს უფლება გახდეს პროფკავშირის წევრი.

ი. თ—დავა.

პასუხი

ყველა ის პირები, ვინც ცხოვრობენ არა შრომითი შემოსავლით და ის პირები, ვისაც აყრილი აქვთ, ან და არ სარგებლობენ საბჭოთა მოქალაქის უფლებებით, არ მიიღებიან არავითარ შემთხვევაში პროფკავშირთა წევრებად მანამდის, სანამდის ისინი არ დაიბრუნებენ საბჭოთა მოქალაქის სრულ უფლებებს და არ იმუშავებენ დაქირავებული შრომით. (იხ. საკავშირო ცაკის და საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს ინსტრუქციები 1926 წ. 28 სექტემბრიდან და 1926 წ. 26 სექტემბრიდან).

მიწის ჩამორთმევის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ სენაკის მაზრის ს. მარანის თემში, მაქვს რვა ქცევა მიწა; მყავს სარჩენი შვიდი სული. ადგილობრივმა საბჭომ დაადგინა ჩამომეჭრას აღნიშნული მამულიდან სკოლისათვის 1 ქცევა მიწა.

კანონიერია თუ არა საბჭოს ასეთი დადგენილება მაშინ, როდესაც მე არა მაქვს მიწა ნორმაზე ზევით.

შავლევა ვაჩეიშვილი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 20-ისა, საბჭოს დადგენილება კანონიერია. საბჭოს აქვს უფლება ბა საზოგადოებრივ საჭიროებისათვის (ამ შემთხვევაში სკოლისათვის) მოითხოვოს მიწის მოსარგებლისაგან მიწის ჩამორთმევა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს უნდა მიეცეს სხვა ადგილას ბადალი მიწა ჩამორთმეული რაოდენობით და უნდა აუნაზღაურდეს მისთვის მიწის ჩამორთმევით მიყენებული ზარალი

უმუშევარ ვასილი ოთარიშვილს

პასუხი

თქვენი შეკითხვა გადაეგზავნა ქალ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად.

სახელმწიფო გადასახადების შესახებ

კითხვა

43 წლის განმავლობაში ვეწეოდი ფიზიკურ მძიმე შრომას. ვიყავი ფოთის ნავთსადგურში მტვირთავად და ფოთის სატრანსპორტო კავშირის წევრი, როცა შევიქენი 61 წლისა, გავხდი შრომის ინვალიდი და ამის გამო გადამრიცხეს დამზღვევი სალაროს კმაყოფაზე და როგორც ინვალიდს სალაროდან მეძლევა „პენსია“ თვიურად 30 მანეთი და 40 კაპ. რაოდენობით. ამას გარდა, მაქვს სამთვალიანი ხის საკუთარი სახლი და ვსარგებლობ მიწის ნაჭერით.

გთხოვთ გვიპასუხოთ, მევალება თუ არა სახელმწიფო გადასახადების გადახდა.

შრომის ინვალიდი კოსტა ჟვანია.

პასუხი

თანახმად საკავშირო სახ. სოც. რეს. ფინსახკომის 1924 წ. 29 ნოემბრის ინსტრუქციის §-5-ის აბზაცი „დ“-ს და „ჰ“-ს, სახელმწიფო პენსიონერები და აგრეთვე ის პირებიც, რომელიც შრომის ინვალიდობის გამო გადარიცხული არიან სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოთა და სოცდაზღვევის ორგანოთა, ან და კერძო პირთა და ორგანიზაციათა კმაყოფაზე, სახელმწიფო გადასახადების გადახდიდან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მათთვის გასაცემი დახმარება (პენსიის) რაოდენობა არ აღემატება თვიურად ას მანეთს და მათ არ გააჩნიათ არსებობის სხვა რაიმე წყარო. თქვენ კი გაქვთ სახლი, სარგებლობთ მიწითაც და, ალბად, გექნებათ შემოსავალიც და ამიტომ შესაძლებელია დაიბეგროთ სახელმწიფო გადასახადებით, თუ კი თქვენი შემოსავალი პენსიის თან დართვით გადააჭარბებს ზემოხსენებულ ას მანეთს.

გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ ფინინსპექციას, რომელიც ვალდებულია იხელმძღვანელოს ინსტრუქციის ზემო მოყვანილი მუხლებით — სახელმწიფო გადასახადების აკრეფის დროს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 70

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ომის და შრომის ინვალიდების და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ გლეხთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ

ომისა და შრომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული გლეხების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ა.-კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 28 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნეს შემდეგი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან:

ა) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ომისა და შრომის ყველა კატეგორიის ინვალიდის კუთვნილი შენობა, რაც დაიბეგრება შეფასებითი გამოსაღებით არა უმეტეს 5 მან. რაოდენობით.

ბ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ინვალიდებისა და მათ რჩენაზე მყოფ პირთა კუთვნილი, ქალაქის ფარგლებში მდებარე ბაღები და ბოსტნები, უკეთუ აღნიშნული პირნი ამ ბაღებსა და ბოსტნებს დაქირავებული შრომის დაუხმარებლად ამუშავებენ;

გ) ის ვაჭრობა, რასაც „ა“ პუნქტში აღნიშნული პირები ეწევიან ხელით, მიწით ან თაბახით, ბაზარში და სხვა, ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილას;

დ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ გლეხების კუთვნილი საქონლის, რაც გასაყიდად ბაზარზე მოირეკება (ერთი სული მსხვილფეხა და სამი სული წვრილფეხა საქონელი ერთ ოჯახზე).

2. ომისა და შრომის ყველა კატეგორიის ინვალიდი და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული გლეხი, აგრეთვე მათ რჩენაზე მყოფი ოჯახის წევრი განთავისუფლდება საჩასაწერო გამოსაღებისაგან.

3. მეინჯოს მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ პირთ ყველა ის კომუნალური შეღავათი, რაც მინიჭებული აქვთ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც 50 მან. მეტ ჯამაგირს არ იღებენ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ.—**შ. სტურუა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი **აფციაური.**

1927 წ. ივლისის 30.

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. პეტრე ლევანის ძე მარგიანს, ვარვარა ცაგარელს და ლენო სიმონის ძე ვატიაშვილს, გამოცხადდენ საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში ოთახი № 12, (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული) დღეს, 8 სექტემბერს, დილის 10 საათისათვის.

— **საქ. ახალ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი** იუწყება, რომ დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (რუსთაველის პროსპექტი) მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის საერთო - საქალაქო აქტივის კრება. კრებაზე უნდა გამოცხადდენ უჯრედების მდივნები და საქ. აა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტისა და რაიკომის წევრები და კანდიდატები.

— **საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის სალექციო დარბაზში მოწვეულია **ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების ბიუროს წევრებთან ერთად.**

ყველა რაიკომის წევრებისა და ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 8 სექტემბერს, დილის ათ საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განყოფილების ოთახში (№ 45).

შოგირაძე (ამ.-კ. საოლქო კომიტეტი), მთვარელიძე (გემო - კვების კავშირი), კალატოზოვი (სას. - სამეურნეო ბანკი), ანთიძე (ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი), სოსიანი (ჯანმრთელობის განყოფილება), გორდელაძე (აღმასკომი), მარიამიძე (კომ. მეურნ. მუშაკთა კავშირი), ნ. მახარაძე (ცეკას საგიტ. - საპრ. განყ.) და ალი - ტაგი - ზადე („ბირლიკი“).

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. მიხეილ ბესარიონის ძე კაკულიას გამოცხადდეს შაბათს, 10 სექტემბერს, დილის 8 საათზე, საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული).

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მესამე **რაიკომის გაფართოებული პლენუმი** კომუჯრედების ბიუროს და ქალთა კომისიების წევრებისა და მდივნების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია: 1) სინსტრუქციო მოხსენება კომუჯრედების ბიუროს გადარჩევის შესახებ, 2) საინსტრუქციო მოხსენება სადელეგატო კრების გადარჩევის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სასწრაფოდ იწვევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის საგიტ-საპრ. განყოფილებაში დღეს, 8 სექტემბერს დილის ცხრა საათისათვის: სიხარულიძე (განათლების სახ. კომისარიატის უჯრედი) არაბ-ოღლი (ამიერ-კავკასიის ცენტრ. სამმართველო), ზახაროვი და მეფოდიევს (სახ. პოლიტ. ინსტიტ. უჯრედიდან) და ხუხუას (ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის უჯრედიდან.).

დღეს, რვა სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) **ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი.** დღის წესრიგშია: 1. უჯრედების ბიუროს არჩევისა და რაიონულ პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ. 2. სადელეგატო არჩევნების კამპანიის შესახებ.

დედა ნინო ბადალის ასული, ძმები ბაგრატ და არამ იაგორისძე ლოტოევები, და მარიამ იაგორის ასული და სიძე სტეფანე ალექსანდრეს-ძე კაიტანჯიანცები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 3 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ნერსეს იაგორის-ძე ლოტოევი

რომლის გამოსვენება და დასაფლავება მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 8 სექტემბერს დილის 11 საათზე, საკუთარი ბინიდან კ. ცეტკინის ქუჩ. № 49 (ყოფ. ელისაბედის), ხოჯივანქის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი დედა მელიკი, ძმები ლეონტი, ნესტორი, პლატონი, ანდრია და კოლია, მეუღლე ზინა შვილებით, რძლები ლიუბა, პაშა და ვერა, ძმისწულები ზინა, თინა, ქეთო, თამარა, სოსო, საშა, ვალოდია და ივლიტა ქებურიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 7 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქ. ზუგდიდში გარდაიცვალა

ევგენი სტეფანეს ძე ქებურია

დაკრძალვა მოხდება სოფ. ჩხოროწყუში. შ. 1-1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თეკლე გიწაძისა, შვილი ოლღა ამბაკოს ასული და სიძე პაპუნა ნიკოლოზის-ძე აბაშიძეები, შვილისშვილები ანდრო და ქეთო კვესიტაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ამბაკო სიმონის ძე გეწაძე

დაკრძალვა მოხდება ქალ. ზესტაფონში, პარასკევს, 9 სექტემბერს. (ე)

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლო (არტოს ბაღში).
0—7 ნ. 1388

არა ჩვეულებრივი ყურადღების გამო გაგრძელებულია მე-3-ე კვირისათვის მხატვრული სურათი
„სკარამუშ“
კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი
მხატვრულ შედევრში
„წარსული და მომავალი“
სურათი არაჩვეულებრივი წარმატებით მიდიოდა ლენინგრადში და მოსკოვში
მონოპოლურათ ჩვენს ეკრანზე, მხატვრული შედევრი
ნ. ლესკოვის მოთხრობის მიხედვით
„კატერინა იზმაილოვა“
მთავარ როლში ე. ეგოროვა
ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს ბაღში შესასვ. ფას არ იხდის

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე
საანგარიშო მეცნ-თა (საბუჰჰალტრო) კურსებზე
მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან **ზოგად** და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. № 166 მე-5 პროფ. სკოლის შენობაში. 3782

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 14 სექტემბერს 1927 წ. დღის 11 საათზე გაყიდული იქნება პირველი **საჯარო ვაჭრობით** ნიკოლოზ ბეკოს-ძე გოკაძის უფლება ქ. თბილისში, მე-9 სამილიციო უბანში, ბოჭორიშვილის (ყოფ. მე-2 თუმანოვის) ქუჩაზე № 38, მდებარე სამსართულიან სახლის მესამედ ნაწილზე, რომელიც შესდგება 25 ოთახისაგან, 3 აბაზანისაგან, 6 სამზარეულოსაგან, 3 საკუჭნაოსაგან, აქვს სარდაფები, შესავალი კარები, 2 რკინის აივანი ქუჩის მხარეზე. გოკაძის უფლება შეფასებულია სულ 700 მანეთად. მთელი სახლი დაგირავებულია თბილისის კომუნალურ ბანკში 3240 მან. 70 კაპ. საჯარო ვაჭრობა მოხდება სახლის მდებარეობის ადგილას თანახმად საპროცესო კოდექსის 301, 310, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებისა. უკეთუ აღნიშნული საჯარო ვაჭრობა არ შესდგა იმ მიზეზების გამო, რომელიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 316 მუხლით, ხელმეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება იქვე 24 სექტემბერს 1927 წ. დღის 11 საათზე და დაიწყება შეფასების ან პირველ შემოძლეულ თანხიდან. 3779

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 15 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 52 პეტროვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ ლომაძის უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს თუნუქით დახურულს, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან ერთი სამზარეულოთი, ორი სარდაფით, ეზოში მოთავსებული ორი ფლიგელით და კანალიზაციით შეფასებულს 6000 მანეთად, თბ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალში მუშა-მოსამსახურეების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოსაგან 28 თებ., 20 მაისს 1927 წ. თარიღით, №№ 1171, 1172, 1181, 1183, 1184 და 1186 გაცემულ ბრძანებისა ვაჭრობა ჩატარდება ს. საპრ. კოდ. 311—312 მუხ. დაცვით. ნ. 1622

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 16 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 25 კობის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ევგინი ლომაძის უძრავ ქონებას: სამსართულიან სახლს თუნუქით დახურულს, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან კანალიზაციით შეფასებულს 5000 მანეთად, თბ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალში, მუშა-მოსამსახურეების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 28 თებ., 3 მარტს 1927 წ. თარიღით, № 1170—1185 გაცემულ ბრძანებისა ვაჭრობა ჩატარდება ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 1622

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების. ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში.
ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

დაკარგა ქორწინების მოწმობა, პირადობის მოწმობა, მეტრიკული მონაწერები ფილიპე ლევანის-ძე მერეკელის სახელზე და ცოლის მეტრიკული ამონაწერი [illegible] მეტრეველი. სახელზე, ჩ. გ. 3776

დაკარგა სამ. აღრ. წიგნაკი ფორმა № 4, სიმონ ნიკოლოზის-ძე ზენგელიას სახელზე. ჩ. გ. 3777

დაკარგა პირადობის მოწმობა გიორგი გძელიძის სახელზე. ჩ. გ. 3781

[illegible] მეტრიკული ამონაწერი შოთა ნიკოლოზისძე ონანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3780

ალმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68.